გაზეთი ზოგისა, „ვერსიას" ერთი

# ვერსია

№54 (810) 17 – 19 მაისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## 20 გვერდი 40 თეთრი

## საზოგადოება „ფერადი" აქციის წინააღმდეგ



„ღირსების საკითხია — ქაშუეთის წინ, სადაც ქართველი გმირების სისხლი დაიღვარა ლგბტ აქციას არ ჩავატარებინებთ!"

გვ. 8

**დავით უსუფაშვილი:** „მათ სექსუალური უმცირესობა იმიტომ ჰქვიათ, რომ უმრავლესობა სხვაგვარად ფიქრობს! სახელმწიფო და ხელისუფლება ვალდებულია, დაიცვას ყველა მოქალაქის უფლება და თავისუფლება, მიუხედავად შეხედულებებისა"

## ექსკლუზიური ინტერვიუ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან



სამართალი

გვ. 10–11

## „სასამართლოს დამოუკიდებლობა, ქვეყნის ევროპისკენ წამყვანი გზაა"

„მე და პრემიერ-მინისტრმა ვისაუბრეთ არსებულ ხარვეზებზე, მას შეკითხვები ჰქონდა არა კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით, ზოგადად, სასამართლოს პროცედურულ საკითხებზე. პრემიერს მივაწოდე დეტალური ინფორმაცია, თუ როგორაა პროცედურული საკითხები კანონმდებლობით მოწესრიგებული"

## „ეს ჭორი შეგნებულად გაავრცელეს ჩვენი დისკრედიტაციისთვის, რამაც ვერ იმუშავა"



რატომ დატოვა ცაგერის მაჟორიტარმა დეპუტატმა სერგო ხაბულიანმა ნაციონალები და რას სთავაზობდნენ ივანიშვილის გარემოცვიდან?!

გვ. 9

## „ნება იბოძონ, ცირკი შეინახონ, დასი აალორძინონ, საცირკო სასწავლებელი კი — აღადგინონ!"

მსახიობები მოითხოვენ, ცირკი სახელმწიფოს დაუბრუნდეს

გვ. 14

### „გაგიმხელთ, მე, დავით ბაქრაძე, გიგი და ვანო მერაბიშვილი შევთანხმდით, რომ..."

მიხეილ მაჭავარიანი პოლიტიკიდან მიდის და მემუარების წერას იწყებს?

გვ. 3

### „ქართული ოცნების" შემომწირველი ფიზიკური პირები ისევ დამნაშავეებად ითვლებიან?!

რატომ ასაჩივრებს აღსრულების ეროვნული ბიურო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც რომან კუსიანმა პროცესი მოიგო

გვ. 6

### დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს

გვ. 2

### ოპოზიცია საერთო საპრეზიდენტო კანდიდატზე თანხმდება?

გვ. 4

### მსოფლიოში სასურსათო კრიზისი იწყება!

გვ. 12

### „ასკანელი ძმების" კონიაკის ხარისხთან დაკავშირებით, გაუგებრობა მალე გაირკვევა!



როდის გაივლის კომპანიის პროდუქცია მოსკოვში ხელახალ რეგისტრაციას

გვ. 7

### „ნატახტარის" ტრადიციული გათამაშება — შეიძინეთ ლუდი და მოიგეთ 50 000 ლარი!



გვ. 7

გათამაშებაშია 300 000 უფასო ლუდი და კაფსულაში მოთავსებული თანხა 10-დან 200 ლარამდე



## „2012 წლის ბიუჯეტში 9 თვე სრულიად უკონტროლო იყო“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელი 2012 წლის ბიუჯეტს მარაზმს უწოდებს და აცხადებს, რომ გასული წლის 9 თვე ბიუჯეტში სრულიად უკონტროლო იყო: **„პარლამენტში გამოდის გასული წლის ბიუჯეტის ანგარიში. ვფიქრობდი, ხმა არ მიმეცა ამ ანგარიშის დამტკიცებაზე, რადგან 9 თვე აბსოლუტურად უკონტროლო იყო და წარმოდგენა არავის ჰქონდა, მანამდე რა ხდებოდა ბიუჯეტში. ნოდარ ხადურის ფინანსთა მინისტრობის პერიოდში მომეცა საშუალება, ის ნაწილი, რომელიც ჩვენს ხელისუფლებაში ყოფნას არ ეხება და არ არის დაკავშირებული ჩვენთან, ღია გავხადოთ საზოგადოებისთვის. ამ ბიუჯეტს თან ერთვის ყველა დოკუმენტი, რაც კი ოდესმე ყოფილა საზოგადოების მომატებული ინტერესის საგანი და იმედი მაქვს მედიისა, რომ შესაძლებლობას მისცემს ქართულ საზოგადოებას, სრული ინფორმაცია ჰქონდეს იმაზე, თუ რა მარაზმი ხდებოდა 2012 წლის 9 თვის განმავლობაში საქართველოს ბიუჯეტში“.**

უმრავლესობის წევრის თქმით, დღევანდელი მინისტრები არ გაურბიან უმცირესობასთან შეხვედრებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია: **„საზოგადოება ხედავს, როგორი ინტენსიურია პარლამენტისა და მთავრობის ურთიერთობა. მინისტრები რამდენჯერმე ჩამოვიდნენ უკვე ამ 7 თვის განმავლობაში უმცირესობასა და უმრავლესობასთან შესახვედრად. მთავარია, უმცირესობასთან შეხვედრა და ჩვენი მინისტრები არ გაურბიან მათთან ურთიერთობას, მათ ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებენ და სრულიად ნორმალური პროცესია, მაგრამ საქართველოსთვის უპრეცედენტო“.**

***„ინტერპრესნიუსი“***

# კახა ბაინდურაშვილი „ტვ 3“-ის გენერალური დირექტორია!

## ფინანსთა ექსმინისტრი „ბლუმბერგის“ ქართულ ანალოგს აკეთებს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი კახა ბაინდურაშვილი, ტელეკომპანია Real TV-ის, რომელსაც ახლა „ტვ 3“ ეწოდება, გენერალური დირექტორი გახდა. „ვერსიასთან“ საუბრისას, კახა ბაინდურაშვილმა აღნიშნა, რომ ახალი ტელევიზია აქცენტს ბიზნესსა და ეკონომიკაზე გააკეთებს.**

კახა ბაინდურაშვილმა „ვერსიას“ განუცხადა, რომ „ტვ 3“-ის (ყოფილი Real TV) მფლობელმა, ლალი ეგაძემ ოფიციალური წერილით მიმართა საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას. ამ წერილით უკვე განსაზღვრულია, რომ ტელეკომპანიის მფლობელის საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილიდან, 90% კახა ბაინდურაშვილის, ხოლო დარჩენილი 10% კვლავ ლალი ეგაძის საკუთრებაში დარჩება. შესაბამისად, ფინანსთა ექსმინისტრი და ლალი ეგაძე, ამიერიდან, პარტნიორები ხდებიან. რაც მთავარია, „ტვ 3“-ის მფლობელი მარეგულირებელი კომისიისგან ითხოვს, ტელევიზიის გენერალური დირექტორი კახა ბაინდურაშვილი იყოს.

კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია დღეს, 17 მაისს შეიკრიბება და, სავარაუდოდ, დღის ბოლოს ამ საკითხს დადებითად გადაწყვეტს. ლალი ეგაძის გარდა, კახა ბაინდურაშვილის პარტნიორები მისი მეგობრები — ლაშა ჩხენკელი (სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვიცე-პრეზიდენტი) და დავით მჟავია არიან. არც ერთი მათგანი არ ფლობს რაიმე მედიასაშუალებას და არც ოფშორში არიან რეგისტრირებულნი.

ახალ არხზე, რომელსაც ფინანსთა ყოფილი მინისტრი შეიძენს, პოლიტიკური თოქ-შოუ, ბრაზილიური თუ ვენესუელური ტელესერიალები და პოლიტიკაზე ორიენტირებული საინფორმაციო გადაცემები არ გავა. ცხადია, ტელევიზია საინფორმაციო გამოშვებებსაც მოამზადებს და, სავარაუდოდ, თოქ-შოუებსაც, მაგრამ მხოლოდ ეკონომიკური და ბიზნეს-პროფილით. ეს სივრცე და ნიშა, ანუ ბიზნეს-ეკონომიკური პროფილის ტელეარხი საქართველოში თავისუფალია და კახა ბაინდურაშვილი სწორედ ამ ნიშის ათვისებას შეეცდება. უფრო ადვილად აღსაქმელი რომ



იყოს, ტელევიზია, რომელსაც ფინანსთა ყოფილი მინისტრი გახსნის, დაახლოებით, „ბლუმბერგის“ ქართული ანალოგი იქნება.

**„ზუსტად ვიცით, რომ არ გვინდა, სტანდარტული არხი იყოს და, შესაბამისად, პოლიტიკურ-საინფორმაციო გადაცემებზე აქცენტს არ ვაკეთებთ. ამ პროფილის ტელეარხებით ქართული ბაზარი სავსეა და დიდი კონკურენციაა. რა თქმა უნდა, ახალ არხს ბიზნესის მიმართულებით განვიხილავ და რადგან პოლიტიკური ფოკუსის მქონე ტელებაზარზე დიდი კონკურენციაა, აქცენტს ბიზნესსა და ეკონომიკაზე ვაკეთებთ. ეს იქნება ბიზნესტელევიზია და ვფიქრობთ, მაყურებლებისთვისაც საკმაოდ საინტერესო უნდა იყოს. მართალია, კონცეფცია უკვე დამუშავებული გვაქვს, მაგრამ კონკრეტულ გადაცემებზე ახლა ვერაფერს გეტყვით, რადგან ეს კომერციული საიდუმლოა“,** — განუცხადა „ვერსიას“ კახა ბაინდურაშვილმა.

რაც შეეხება არხის სახელწოდებას, სამუშაო ვერსიად „ტვ 3“ რჩება, მაგრამ ბაინდურაშვილის თქმით, ტელევიზიის სახელსა და ლოგოზე დიზაინერები უკვე მუშაობენ, სამუშაო ვერსიებს შორის, ყველაზე საუკეთესოს შეარჩევენ, ისეთს, რომელიც ეკონომიკურ პროფილს ყველაზე უკეთ შეესაბამება.

Real TV-ის 100%-იანი წილი ლალი ეგაძემ 2012 წლის 16 ოქტომბერს, ამ ტელეკომპანიის დამფუძნებლის, ლია დოლიძისგან 30 000 ლარად შეიძინა. ამ ხნის განმავლობაში, ტელეკომპანია გაჩერებულია, მაგრამ ლალი ეგაძემ ყოფილი Real TV-ის ლოგო და სახელი შეცვალა და „მესამე არხი“ დაარქვა.


# დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს






**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 18-იდან 27 წლის ასაკის მოქალაქეთა მიღებას საკონტრაქტო სამსახურში.**

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები სამსახურში მიიღებიან ერთი წლის ვადით. დაცვის პოლიციაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, წვევამდელების გარდა, შეუძლიათ სტუდენტებს, ოჯახში ერთადერთ შვილებს, 27 წლამდე მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა თუ მათ სამომავლო კარიერისთვის სურვილი აქვთ, გაიარონ სამხედრო სამსახური, შეუძლიათ მიმართონ შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

**საკონტრაქტო სამსახურის პირობები:**
**ვადა:** 12 თვე
**გრაფიკი:** სამ დღეში ერთხელ 24 საათიანი რეჟიმი (შესაძლებელია სწავლის შეთავსება).
ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;
**ყოველთვიური ანაზღაურება:** 90 ლარი;

**სამსახურში ჩასარიცხად საჭიროა:**
1) კანდიდატი მობრძანდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: ალმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.
2) დაასახელოს/წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლის რეკომენდაცია;
3) გაიაროს გასაუბრება და ჯანმრთელობის კომისიის შემოწმება;

წარმატებული კანდიდატები ორი კვირის განმავლობაში გაივლიან სპეციალური მომზადების კურსს. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ქვედანაყოფებში გადანაწილდებიან.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 125 (ზარი უფასოა).

# „გაგიმხელთ, მე, დავით ბაქრაძე, გიგი და ვანო მერაბიშვილი შევთანხმდით, რომ...“

## მიხეილ მაჭავარიანი პოლიტიკიდან მიდის და მემუარების წერას იწყებს?



რუსუდან შელია
557-100-768

**ნაციონალური მოძრაობა პარტიულ რეორგანიზაციას აპირებს, თუმცა მანამდე შიდაპრაიმერის ჩატარება და საპრეზიდენტო კანდიდატის გამოვლენა იგეგმება. რატომ ფიქრობს, რომ მისი ძველი მეგობარი, ამჯერად კი, ბიძინა ივანიშვილის ფავორიტი გიორგი მარგველაშვილი სუსტი საპრეზიდენტო კანდიდატია, ვინ აუკრძალა დავით კირვალიძეს მასთან ურთიერთობა და რატომ ითხოვს ყოფილი მაღალჩინოსნების ბრალეულობის დადგენას? — „ვერსიას“ საპარლამენტო უმცირესობის წევრი მიხეილ მაჭავარიანი ესაუბრა.**

— გიორგი მარგველაშვილს, დაახლოებით, 37 წელია ვიცნობ — იგი ჩემი ძმის კლასელი იყო და, შესაბამისად, ჩემთვის რთულია მასზე, როგორც პოლიტიკოსზე საუბარი, თუმცა ფაქტია, რომ მინისტრის პოსტზე საკმაოდ სუსტი აღმოჩნდა. რაც შეეხება მის საპრეზიდენტო კანდიდატურას, საკმაოდ მყარად ჩამოყალიბებული პოზიცია მაქვს, რომ გიორგი მარგველაშვილს კომპეტენციის ნაკლებობა ექნება.

**— რატომ, თქვენი ძველი მეგობარი არაამბიციური და კრიზისულ ვითარებაში კარგი მენეჯერი არ არის, რის გამოც გიორგი მარგველაშვილი პრემიერმა საპრეზიდენტო კანდიდატად დაასახელა?**

— კრიზისულ ვითარებაში გიორგი მარგველაშვილთან ერთად არ აღმოვჩენილვარ, თუმცა

**მოქალაქეთა კავშირიდან ერთდროულად წამოვედით და ზურაბ ჟვანიასთან ერთად „გაერთიანებული დემოკრატები“ ჩამოვაყალიბეთ. მარგველაშვილი 2003 წელს მთაწმინდაზე, გიგი წერეთლის შტაბის უფროსიც იყო და თუ არ ვცდები, იმავე წელს ჩვენ პარტიულ სიაშიც ჩავსვით. გიორგი პოლიტიკიდან „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ წავიდა, თუმცა მალევე, 2008 წელს, ნინო ბურჯანაძის პარტიაში აღმოჩნდა. მიმაჩნია, რომ ის არ არის ფიგურა, რომელიც ქვეყანას უნდა წარმოადგენდეს.**

მართალია, ახალ პრეზიდენტს უფლებამოსილებები უმცირდება, მაგრამ ის რჩება არბიტრად, რომელმაც მთავრობასა და პარლამენტს შორის კრიზისის დაწყების შემთხვევაში, ვითარების სწორად მართვა უნდა შეძლოს, რასაც სავარაუდოდ, გიორგი მარგველაშვილი ვერ გაუმკლავდება.

**— ნაციონალები ამიტომ ამბობდით, კარგი იქნება, ალასანიას კანდიდატურას თუ დაასახელებს „ოცნებაო“?**

— ირაკლი ალასანიას კანდიდატურასთან დაკავშირებით, თანაგუნდელებს ვერ დავეთანხმები. პრემიერმა ალასანია საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ჩააყენა, მაგრამ ირაკლის პოლიტიკური გადაწყვეტილების მისაღებად ძალა არ ეყო და „ჩაწოლა“ არჩია. საინტერესოა, რომ პრემიერის გადაწყვეტილებას გუნდში არავინ ეწინააღმდეგება, რადგან რეალურად, კოალიცია — ივანიშვილია. სხვათა შორის, არმაზ ახვლედიანმა, რომელსაც ასევე 1994 წლიდან ვიცნობ, საკმაოდ საინტერესო განცხადება გააკეთა — ქვეყანაში ახალი პოლიტიკური ეტაპი დაგვიდგა, ადრე არავის არაფერს ეკითხებოდნენ, ახლა კი გადაწყვეტილება ჩვენ მივიღეთო. სასაცილოა! ჩემი მინუსი და პლუსი ის არის, რომ მთავრობაშიც და კოალიციაშიც, ბევრს დიდი ხანია, ძალიან კარგად ვიცნობ და ამიტომაც გავხდი პოლიტიკოსების უმრავლესობისთვის არასასურველი ადამიანი. წიგნის დაწერას ჯერ არ ვგეგმავ, მაგრამ თუ ოდესმე მსგავსი გადაწყვეტილება მივიღე, მერწმუნეთ, საპენსიო ასაკი უზრუნველყოფილი იქნება. შემიძლია, ექსკლუზიურად, წიგნის სახელწოდებაც გაგიმხილოთ — მე და პოლიტიკა.

**— სანამ წიგნს დაწერთ და საზოგადოებას პოლიტიკოსების ბეგრაუნდზე მოუყვებით, ნაციონალურ მოძრაობას პრაიმერი აქვს ჩასატარებელი. უკვე იცით გიორგი მარგველაშვილს ვის დაუპირისპირებთ?**

— ჩვენი პარტია მუდმივად ძიების პროცესშია. ჯერჯერობით, რამდენიმე კანდიდატურა გამოიკვეთა და ვფიქრობთ, დავით ბაქრაძეც პრაიმერში აქტიურად ჩაერთვება.

**— ბაქრაძემ განაცხადა, საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელება არ მინდაო, ძალაზე ხართ თუ მასზე რეიტინგული კანდიდატი არავინ გყავთ?**

**— მესმის, მაგრამ ამ შემთხვევაში პარტია ვართ და გუნდურად უნდა ვიმოქმედოთ. სიმართლე გითხრათ, კარგია, რომ ამ მიმართულებით ახალი სახეები, მაგალითად, ზურა ჯაფარიძე აქტიურობს. გაგიმხელთ, რომ ცოტა ხნის წინ, მე, დავით ბაქრაძე, გიგი უგულავა და ვანო მერაბიშვილი შევთანხმდით, ძველმა სახეებმა ჩრდილში უნდა გადავინაცვლოთ და ახალი სახეები წამოვწიოთ. სწორედ, ესაა იმის მიზეზი, მედიაში ხშირად რომ არ ვჩანვარ. მიმაჩნია, რომ ჩემი საქმე უკვე გავაკეთე.**

**— პოლიტიკიდან მიდიხართ? რომელი ახალი სახეების წინ წამოწევა დაგეგმეთ და იქნება თუ არა ეს გამოსავალი იმ ფონზე, როცა ნაციონალების მიმართ აგრესია საზოგადოებაში მატულობს?**

— ჯერჯერობით, არსად ვგეგმავ წასვლას, აქ ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს! რაც შეეხება რეორგანიზაციის პროცესს, დეტალებს პრაიმერის დასრულების შემდეგ გაიგებთ. საზოგადოების აგრესია ჩვენს მიმართ ბუნებრივია და მესმის, რომ მის შენელებას დრო სჭირდება. ჯერჯერობით, ქართველი ხალხი საკუთარ არჩევანს ამართლებს და სიმართლეს არ იჯერებს. ეს დაახლოებით, იმ იმერულ ანეკდოტს ჰგავს, ვისაც გვჯერა, გაგვატარეთო, მაგრამ მოდით, ვიმსჯელოთ: რუსეთს, რომ პირდაპირ მის მიერ შერჩეული ხელისუფლება საქართველოში დაესვა, პირველ რიგში, რას გააკეთებდა? რა თქმა უნდა, ოკუპაციის კანონს გააუქმებდა და აგვისტოს ომს გამოიძიებდა. არ მიხარია, როცა საუბარი მიწევს ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაზე, რისი აღმოფხვრაც მომავალში ძალიან გაძნელდება, მაგრამ ფაქტია, ახალი სამუშაო ადგილები არ შექმნილა, პირიქით, არსებული სამსახურებიც უქმდება. სამარშრუტო ტაქსების მძღოლებმა მითხრეს, მგზავრების რაოდენობაც კი შეგვიმცირდაო. ინვესტიციებისა და იმპორტის რაოდენობა კლებისკენ მიდის... ასე რომ, სახეზე ეკონომიკური სტაგნაცია გვაქვს.

**— თუმცა, პრემიერს აქვს არგუმენტი — 9 წლის განმავლობაში ნაციონალებს ბიზნესზე მონოპოლიები ჰქონდათ და ამ ფონზე, ეკონომიკის 7 თვეში აყვავება შეუძლებელია.**

— კი, ბატონო. ვაცადოთ, ვაცადოთ, მაგრამ ჯერ, ეკონომიკის ნგრევის გარდა, პირადად მე, ვერაფერს ვხედავ. რაც შეეხება ნაციონალების წილებს, ბევრჯერ მსმენია, თითქოს იმის გამო, რომ „პე-ეს-პეს“ მფლობელი ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი კანდიდატი იყო, წამლების ფასს ხელოვნურად ვზრდიდით. დღეს „პე-ეს-პეს“ ხელმძღვანელი უმრავლესობაში არ არის, მაგრამ კოალიციის ყველა ინიციატივას, შრომის კოდექსის გარდა, აბსოლუტურად ეთანხმება, ხმა მისცა. ამ ფონზე, სად არის ჩვენი „წილები“, გამაგებინონ, როცა წამლების ფასი კლების ნაცვლად, გაიზარდა? ვანო ჯავახიშვილის არ იყოს, ახლა ვინ შეუშვირა ჯიბე ბენზინის საფასურიდან მიხეილ სააკაშვილის მიერ „მოტეხილ“ ერთ ლარს ან სად არის განახევრებული ტარიფები, რომელსაც თურმე ნაციონალები ხელოვნურად „ვბერავდით“? თუ კომუნალური გადასახადები რამდენიმე თეთრით შემცირდა, ეჭვი მაქვს, ეს საბოლოოდ, ქართულ ეკონომიკას შეარყევს. სხვათა შორის, ენერგეტიკის სამინისტრო ახლა ერთ საინტერესო სქემას გვთავაზობს: ტარიფების რამდენიმე თეთრით შემცირების ნაცვლად, სახელმწიფო საწარმო იქმნება, რომელიც გაზიფიცირებას მოახდენს. ეს იმას ნიშნავს, რომ ენერგეტიკის სამინისტრომ ერთი ჯიბიდან ფული ამოიღო და მეორე ჯიბეში ჩაიდო.

**— ახლა ისე საუბრობთ, თითქოს ქვეყანას უშეცდომოდ მართავდით, თუმცა ხელისუფლებამ დაპატიმრებების სერიის დაწყება დაგიანონსათ.**

— არ უარვყოფ, რომ ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით. ციხეებში არსებული ვითარება კატასტროფა იყო, თუმცა ჩვენზე საზოგადოებაში აბსოლუტურად უსაფუძვლო მითი შეიქმნა, თითქოს ყველგან ყველაფერს ვაკონტროლებდით, არადა თავად პრემიერმაც განაცხადა, ნაციონალები საზოგადოებას არც ისე მასშტაბურად უსმენდნენო. კი, ბატონო, ვაღიარებ, რომ ლიბერალური ეკონომიკური რეფორმების ფონზე, როცა გადასახადები შევამცირეთ, ბიზნესმენებს ზედმეტად მკაცრად ვექცეოდით, სამაგიეროდ, სახელმწიფო ბიუჯეტი ხომ იზრდებოდა?

*დასასრული მე-5 გვერდზე*

რუსუდან შელია
557-100-768

„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე ხელისუფლებისგან საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, სპეციალური კომისიის შექმნას ითხოვს, რომელმაც პრემიერის უფლებამოსილებებზე უნდა იმსჯელოს. მისი განცხადებით, ამ მიმართულებით, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილისგან საზოგადოებამ დაპირება მიიღო, თუმცა რეალურად, პროცესი ჯერ არც დაწყებულა: **„მოვითხოვთ, საკონსტიტუციო ცვლილებებზე მუშაობა დაუყოვნებლივ დაიწყოს, რადგან რეალურად, დღეს ერთ კაცზე, პრემიერზე აწყობილი სისტემა გვაქვს. საკმაოდ სახიფათოა, რომ ფართომასშტაბიან საკონსტიტუციო ცვლილებებს მცირე დროს უთმობს. თუ მმართველი გუნდი საპრეზიდენტო არჩევნებს ელოდება, ცდება, რადგან შესაძლოა, ცვლილებების განხორციელება არჩევნების შემდეგ უბრალოდ ველარ შევძლოთ. ამ მიმართულებით სპეციალური კომისიის შექმნაც აუცილებელია, რომელსაც სხვათა შორის, დავით უსუფაშვილი გვპირდებოდა, გრაფიკიც კი წარმოგვიდგინა, რომლის მიხედვითაც პროცესი მარტში უნდა დაწყებულიყო, თუმცა ჯერჯერობით, ნაბიჯიც არ გადადგმულა“.**

# „ახალი მემარჯვეენეები“ დავით უსუფაშვილისგან დაპირების შესრულებას ითხოვენ




**ფიქრია ჩიხრაძემ** პრემიერ-მინისტრის პრესკონფერენციაც შეაფასა და აღნიშნა, რომ საგარეო კურსისა და შიდაპოლიტიკური ბალანსის კუთხით, ქვეყანაში ვითარება რადიკალურად არ შეცვლილა: **„7 თვე სავსებით საკმარისია, რომ სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო მიმართულებებით ხელისუფლების სტრატეგია გამოიკვეთოს. ეკონომიკური, საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების, ასევე ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ბალანსის კუთხით არჩევნების შემდეგ რადიკალური ცვლილებები არ განხორციელებულა. მმართველი გუნდის არგუმენტი, ეკონომიკა რამდენიმე წელიწადში აყვავდებაო, საზოგადოებას ვერ დაარწმუნებს. რეალურად, ხელისუფლებას ბიზნესთან ურთიერთობის მოსაგვარებლად ნოვატორული ნაბიჯი არ გადაუდგამს. არადა, წინა ხელისუფლების მიერ შევიწროებულ და დატერორებულ ბიზნესმენებს მოლოდინი ჰქონდათ, რომ არჩევნებში კოალიციის გამარჯვების შემდეგ, ვითარება რადიკალურად შეიცვლებოდა. ვხედავთ, რომ ამ ეტაპზე, ხელისუფლებამ მემარცხენე მიმართულება აირჩია, რაც ბიძინა ივანიშვილის წინასაარჩევნო დაპირებებს აბსოლუტურად ემიჯნება. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, ფაქტია, ამ მიმართულებით გუნდში შეთანხმებული აზრი არ არსებობს და ეს ჟურნალისტებთან პრემიერის შეხვედრისას გამოჩნდა, როცა კოსოვოსა და სერბეთის მაგალითზე ისაუბრა. საერთაშორისო საზოგადოება კოსოვოსა და სერბეთის შემთხვევას ერთმანეთთან არც კი აიგივებს და აბსოლუტურად გაუგებარია, ჩვენ რატომ მივისწრაფვით ამ მიმართულებით? ეს ნიშნავს, რომ მმართველი გუნდი საგარეო ორიენტაციის საკითხებს არასერიოზულად აფასებს“.**

ფიქრია ჩიხრაძემ მედიის წარმომადგენლებს იმის შესახებაც ამცნო, რომ იმ ფონზე, როცა არასაპარლამენტო ოპოზიცია საერთო კანდიდატის შერჩევაზე მუშაობს, „ახალი მემარჯვენეები“ ამ საკითხის ირგვლივ კოლეგებთან კონსულტაციებს არ მართავენ.

# ოპოზიციური პარტიები ივანიშვილის ფავორიტს საერთო კანდიდატს დაუპირისპირებენ

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**„გიორგი მარგველაშვილი სახელმწიფო პიროვნებაა, აქვს სახელმწიფო დონის ხედვა, კარგ ანალიზს აკეთებს და სახელმწიფოს უკვე გამზადებული ხელმძღვანელია“, — ასე ზეალმატებულად, პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა კოალიციის პრეზიდენტობის კანდიდატი ბოლო, ერთ-ერთ ყველაზე აგრესიულ პრესკონფერენციაზე შეაფასა და ამით ფილოსოფოსისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება კიდევ ერთხელ დაადასტურა.**



გიორგი მარგველაშვილი ივანიშვილის კოალიციამ 11 მაისს, უალტერნატივო საპრეზიდენტო კანდიდატად დაასახელა. „ოცნების“ ლიდერებმა ერთხმად განაცხადეს — კანდიდატურაზე კამათის გარეშე შევთანხმდითო, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ „ოცნებაში“, მარგველაშვილის გარდა, სხვა გვარი არც განიხილებოდა. კანდიდატს გამოხმაურებაც ერთგვაროვანი მოჰყვა — ფაქტობრივად, ყველა პოლიტიკური პარტიისა და სოციალური ჯგუფის მხრიდან ცალსახად უარყოფითი, რადგან მარგველაშვილი არც პატრიარქივით ბრძენი აღმოჩნდა, არც სალომე ზურაბიშვილივით დიპლომატი და არც კახა კალაძესავით პოპულარული. მის წინააღმდეგ ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ბრალდება პოლიტიკური გამოუცდელობა და ქვეყნის მომავალი პრეზიდენტისთვის შეუფერებელი ბეგრაუნდია: **44 წლის გიორგი მარგველაშვილს ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში დიპლომი აქვს, მისი ყველაზე ხანგრძლივი სამუშაო გამოცდილება კი საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს „ჯიპას“ უკავშირდება, ხან რექტორის, ხან კვლევითი დეპარტამენტის უფროსის პოზიციაზე. განათლების მინისტრად მარგველაშვილი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მოგვევლინა და ნახევარწლიანი მოღვაწეობის მიუხედავად, რამდენიმე ხისტი განცხადებისა და გადაწყვეტილების ავტორია. ნაციონალების შეფასებით კი, მარგველაშვილი დროებითი კანდიდატია, რადგან რეალურად, კენჭს ივანიშვილი თავად იყრის.**

როგორია „არამეოცნებე“ პარტიების შეფასება „ოცნების“ კანდიდატისადმი, ვინ დაუჭერს მხარს ან მოუხსნის კანდიდატურას ივანიშვილის რჩეულს და რას აპირებენ პარტიები საპრეზიდენტო არჩევნებისთვის — „ვერსია“ „ოცნების“ გარეთ არსებული პარტიების პოზიციით დაინტერესდა.

ერთადერთი პოლიტიკური ძალა, რომელთანაც გიორგი მარგველაშვილი თანამშრომლობდა, ნინო ბურჯანაძის პარტია „დემოკრატიული საქართველოა“, რომელიც, გავრცელებული ხმების თანახმად, საპრეზიდენტო კანდიდატად ნინო ბურჯანაძეს 26 მაისს დაასახელებს. **გიორგი კობახიძე: „ბურჯანაძემ აუცილებლად უნდა დააყენოს თავისი კანდიდატურა. ალბათ, ის ჯერ საზოგადოებრივ აზრს შეისწავლის და საბოლოო გადაწყვეტილებას შემდეგ მიიღებს. რაც შეეხება მარგველაშვილს, როცა საქმე ეხება საყოველთაო არჩევნებით ქვეყანაში მოსულ პრეზიდენტს, ის მხოლოდ კარგი ადამიანი კი არა, კარგი პოლიტიკოსიც უნდა იყოს. „კრებასთან“ მისი ურთიერთობა უხერხულობას არ ქმნის“.**

კენჭისყრის შემთხვევაში, ნინო ბურჯანაძე კიდევ ერთი პოლიტიკური ძალის, ანუ „მემარცხენე ალიანსის“ მხარდაჭერას მიიღებს. **სოსო შატბერაშვილი: „მოხარულნი ვართ, რომ ხელისუფლებამ მარგველაშვილის კანდიდატურა დააყენა, რადგანაც იგი კონკურენციას ვერ გაუწევს ჩვენს მიერ მხარდაჭერილ პერსონას. მარგველაშვილი გახლავთ ურეიტინგო, ქარიზმის არმქონე ადამიანი, რომლის ბეგრაუნდი მხოლოდ უაზრო ფილოსოფიაა. მას არ მოხვედრია ხელკეტი, არ მოწამლულა გაზით, არ დაუკავებია პოლიციას, არ გამოუვლია პოლიტიკური ბატალიები, არც საკრებულოსა და პარლამენტის წევრი ყოფილა — როგორც პოლიტიკოსს, არანაირი გამოცდილება არ აქვს. ჩვენთვის ასეთი სუსტი კანდიდატის დასახელება კარგია! მიგვაჩნია, რომ არსებულ სპექტრში ყველაზე კარგი და ღირსეული ნინო ბურჯანაძის კანდიდატურაა!“**

საკუთარი კანდიდატის დასახელებაზე არ საუბრობენ ახალი მემარჯვენეები, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გაუგებარია, რა ტიპის მმართველობისთვის ირჩევს ქვეყანა პრეზიდენტს. **ფიქრია ჩიხრაძე: „არაერთხელ მივმართეთ წერილით პარლამენტს. ვითხოვთ საკონსტიტუციო კომისიის დროულად შექმნას, რათა კონსტიტუციაში გაჩნდეს ბალანსი. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რა ფუნქციით ირჩევს პრეზიდენტს — პრეზიდენტის თუ ივანიშვილის რჩეულის! მარგველაშვილს დიდი ხანია ვიცნობ, კარგად ვარ განწყობილი, მაგრამ ბოლო პერიოდში მის ნაბიჯებში ბევრი რამ გაუგებარი იყო. არ ვიცი, რამდენად მოახერხებს, იყოს არბიტრი, რადგან ზედმეტად დამოკიდებულია პრემიერზე“.**

ლეიბორისტული პარტიისთვის კი უცვლელად, საპრეზიდენტო კანდიდატი, შალვა ნათელაშვილია. **გიორგი გუგავა: „მარიონეტ-სატელიტი თოჯინა მარგველაშვილი ივანიშვილმა პლასტელინივით უნდა მოარგოს პრეზიდენტის სკამს! ის მართვადი სათამაშო იქნება, ივანიშვილს ძალაუფლების გაყოფის საშიშროება არ შეექმნება და შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე პრემიერად დარჩება! შალვა ნათელაშვილი ერთადერთი კანდიდატურაა, რომელმაც არაფრის ფასად არ გაყიდა სიმართლე და პირნათელი დარჩა“.**

საკუთარი კანდიდატურის მოხსნას არ აპირებს უპარტიო **ნესტან კირთაძე,** რომელიც ხაზს სამშვიდობო იდეასა და იმას უსვამს, რომ სხვა, განსაკუთრებით „ოცნების“ რჩეულს, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე არანაირი იდეის პრეზენტაცია არ ექნება: **„საქართველოს სამივე პრეზიდენტი, ხელისუფლების სათავეში, გარკვეული იდეით მოვიდა. დღეს, მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების წინ, მხარი უნდა დავუჭიროთ გიორგი მარგველაშვილს, რომელსაც არ აქვს არანაირი პოლიტიკური წარსული და უბრალოდ, ივანიშვილის მეგობარია! სად არის აქ პოლიტიკური იდეა?! მე, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატი, მოვდივარ სამშვიდობო იდეით. თუ აქამდე სამაჩაბლოსა და აფხაზეთის საკითხი საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის რიგითი, სავალდებულო თემა იყო, ამ არჩევნებში ჩემი მთავარი ლაიტმოტივი იქნება“.**

გამოიკვეთა კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია — თუკი ლევან გაჩეჩილაძის შემდეგ, ქართული ოპოზიციური სპექტრიდან 2 პარტიაც კი ვერ ახერხებდა საერთო საპრეზიდენტო კანდიდატზე შეთანხმებას, ამჯერად, ვითარება შეიცვალა. „ოცნების“ სახეებით დაკომპლექტებული სახელისუფლო ვერტიკალის თავიდან ასარიდებლად, ქართული დასი, თავისუფალი საქართველო და ქრისტიანდემოკრატები დაირაზმნენ და როგორც „ვერსიას“ გაუმხილეს, საერთო საპრეზიდენტო კანდიდატზე შეთანხმდებიან, რომელიც პოლიტიკური წრიდან არ იქნება. **ჯონდი ბაღათურია: „ოცნებაც“ მიისწრაფვის სახელისუფლო ყველა შტოს კონტროლისკენ და სატელიტი პარტიების შექმნასაც ცდილობს. თუ საპრეზიდენტო არჩევნებშიც „ოცნება“ გაიმარჯვებს, ხანგრძლივი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაგნაცია გველის. მარგველაშვილის მიმართ ცუდად არ ვართ განწყობილნი, მაგრამ უნდა შევძლოთ გაერთიანება და ისეთი კანდიდატის წარმოდგენა, რომელიც არა მარტო გაიმარჯვებს, არამედ ხალხს განვითარების ახალ, მესამე გზას უჩვენებს. რა დასამალია, მიმდინარეობს კონსულტაციები და საბედნიეროდ, ასეთი კანდიდატი ერთზე მეტია. ვცდილობთ, ისეთ პერსონაზე შევჯერდეთ, ვინც სხვადასხვა პარტიის გამაერთიანებელი იქნება. თამამად გეტყვით, საკითხს კახა კუკავასთან ერთად განვიხილავთ. იმედია, ამ კვირის ბოლოს თუ არა, მომავალი კვირის დასაწყისში მაინც გვექნება ჩამოყალიბებული პოზიცია და გვეყოლება საერთო კანდიდატი!“**

**ლევან ვეფხვაძე: „მარგველაშვილი, ცნობადობის კუთხით, რეგიონებში ძალიან დაბალ პოზიციაზეა, როგორც მინისტრი, მეათეადგილოსანია და რეიტინგებშიც ქვემოთაა — მას შანსი აქვს, საპრეზიდენტო არჩევნებში აიღოს ხმების არაუმეტეს 40%, არადა 50%-იანი ბარიერის გადალახვა აუცილებელია, ამიტომ ჩემი აზრით, მეორე ტური დაინიშება. ვერ ვიტყვი, ჩვენ ან რომელიმე პარტიას ისეთი კანდიდატი ეყოლება, ვინც პირველ ადგილზე გავა-მეთქი, მაგრამ მეორე ტურში მარგველაშვილთან ერთად გადასვლა შანსს ზრდის. მიგვაჩნია, ჩვენი კანდიდატი არ უნდა იყოს პარტიის ლიდერი ან პოლიტიკური სახე — დანარჩენმა პარტიებმა ხალხს ისეთი კანდიდატი შევთავაზოთ, რომელსაც მეორე ტურში მარგველაშვილის დამარცხების შანსი ექნება. ასეთი 2-3 ადამიანია, მაგრამ წინასწარ ვერ დავასახელებ. მოლაპარაკებები დაწყებულია. უახლოეს ერთ კვირაში, საერთო კანდიდატიც გამოიკვეთება“.**

ამგვარად, ნინო ბურჯანაძის, ნესტან კირთაძისა და შალვა ნათელაშვილის გარდა, მარგველაშვილს კიდევ ერთი, 3-4 პარტიის მიერ რჩეული აპოლიტიკური სახე დაუპირისპირდება, რომ აღარაფერი ვთქვათ **სალომე ზურაბიშვილზე**. ის ამჟამად აფრიკაში იმყოფება. ჟურნალისტებთან კონტაქტი დროებით შეწყვიტა, თუმცა საყურადღებოა მის მიერ ფოთში გაკეთებული განცხადება: **„ახალი პრეზიდენტი უნდა იყოს ხალხის არჩეული და არავის დანიშნული. იგი არ უნდა იყოს არანაირი გუნდის წარმომადგენელი. ერთადერთი გუნდი საქართველოა, ამიტომ ვფიქრობ დამოუკიდებელ კანდიდატურაზე და ამ ნაბიჯის გადადგმისთვის მჭირდება ხალხის რეალური მხარდაჭერა. თუ მხარდაჭერა იქნება, ამ ნაბიჯს გადავდგამ!“**

## ვერსიანიუსი

### „ინფო 9“-ის ოფისში ხანძრის გაჩენისთვის ამავე სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი დააკავეს




სამართალდამცველებმა საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“-ის ოფისში ხანძრის გაჩენის ბრალდებით, ამავე სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი, 1990 წელს დაბადებული ზაალ ფ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ბრალდებული ფარულად შევიდა „ინფო 9“-ის ოფისის სააპარატურო ოთახში და შურისძიების მიზნით, ვიდეოკამერების შესანახ ჩანთებს ცეცხლი წაუკიდა, შემდეგ ფარულად აიღო ერთ-ერთი ვიდეოკამერა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ზაალ ფ. დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დააკავეს. მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას „ინფო 9“–ის კუთვნილი, მოპარული კამერა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ქურდობისა და ცეცხლის წაკიდებით ნივთის დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს (სსკ-ს 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ინფო 9“-ში ხანძარი 15 მაისს გაჩნდა.

*„ინტერპრესნიუსი“*

### შსს-მ ოკუპირებული ცხინვალის წარმომადგენლების მიერ დაკავებული ორი მოქალაქე გაათავისუფლა




შსს-მ ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ დაკავებული ორი მოქალაქე გაათავისუფლა.

სამინისტროს ცნობით, შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენლების მიერ, „ცხელი ხაზის“ მეშვეობით, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების შედეგად, უკანონოდ დაკავებული საქართველოს ორი მოქალაქე გათავისუფლდა.

შსს-ს ინფორმაციით, 3 მაისს გორის რაიონის სოფელ ბერშუეთში მცხოვრები ხვიჩა გლურჯიძე და 8 მაისს კასპის რაიონის სოფელ საკორინთლოში მცხოვრები ვასილ სალამაშვილი ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის „უკანონო კვეთის“ ბრალდებით დააკავეს.

*„ინტერპრესნიუსი“*

ქრისტინე მალანია
5-93-608-508

# „მომწონს, როგორც პიროვნება, მაგრამ არა როგორც საპრეზიდენტო კანდიდატი“

**„ვერსიამ“ გადაწყვიტა, ხალხის აზრი გაეგო „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის შესახებ. „მოგწონთ თუ არა „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი და დაუჭერთ თუ არა გიორგი მარგველაშვილს მხარს საპრეზიდენტო არჩევნებში?“ — ამ კითხვებზე ადამიანებს განსხვავებული პასუხები აქვთ. „ვერსიამ“ თსუ-ს, ილიაუნის, ჯიპას სტუდენტები, გამომცემლობების ხელმძღვანელები და შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, სხვადასხვა ასაკის მოქალაქეები გამოკითხა.**




ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა უმრავლესობა აცხადებს, რომ განათლების მინისტრი სუსტი კანდიდატია და საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე უფრო ღირსეული წარმომადგენლის ხილვას ისურვებდა. ნაწილს მიაჩნია, რომ „ქართული ოცნებიდან“ უკეთესი პოლიტიკური გამოცდილების მქონე კანდიდატის დასახელება შეიძლებოდა, მაგალითად კი ირაკლი ალასანიასა და დავით უსუფაშვილს ასახელებენ. არიან ისეთებიც, ვინც ფიქრობს, რომ კანონმდებლობით პრემიერ-მინისტრისთვის გაზრდილი ძალაუფლების ფონზე, უკეთესი იქნება, პრეზიდენტად დამოუკიდებელი ძალის კანდიდატი ავირჩიოთ, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, წინააღმდეგობას გაუწევს ბიძინა ივანიშვილს. სასურველ კანდიდატებად კი ისინი სალომე ზურაბიშვილსა და „თავისუფალი საქართველოს“ წევრს დიმიტრი ლორთქიფანიძეს ასახელებენ. რამდენიმე მათგანს მიაჩნია, რომ ამ პოსტისთვის ყველაზე ღირსეული დავით ბაქრაძეა.

თსუ-ს რამდენიმე კორპუსში გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა აცხადებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გიორგი მარგველაშვილს მხარს არ დაუჭერს. 100 გამოკითხულიდან, მხოლოდ 29 სტუდენტი აპირებს, არჩევნებში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი შემოხაზოს.

**„იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები, გრანტის მოთხოვნით, საინიციატივო ჯგუფის ფარგლებში, განათლების მინისტრს შევხვდით, რომელიც დახმარებას კი დაგვპირდა, მაგრამ ფუჭი სიტყვები აღმოჩნდა. ვფიქრობ, ძალიან სუსტი პრეზიდენტი იქნება, ირაკლი ალასანია უფრო შესაფერისი კანდიდატურა მგონია“,** — აცხადებს იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი.

არიან ისეთებიც, ვინც პრეზიდენტად „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს არ ისურვებდა, რადგან ქართულ პოლიტიკურ სპექტრში მესამე, დამოუკიდებელი ძალის არსებობა აუცილებლობად მიაჩნია. რამდენიმე სტუდენტი განათლების მინისტრისადმი სიმპათიას ღიად აფიქსირებს და აცხადებს, რომ სიამოვნებით მისცემს ხმას არჩევნებში.

**„გიორგი მარგველაშვილი, როგორც პიროვნება, პოლიტიკური საქმიანობის გარეშეც იმსახურებდა ჩემს სიმპათიას, გარდა ამისა, ჩემთვის სასურველი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელია და ამიტომ საპრეზიდენტო არჩევნებზე სიამოვნებით შემოვხაზავ მის გვარს“,** — აცხადებს ჟურნალისტიკის მიმართულების მეორე კურსის სტუდენტი ნიკოლოზ ტაბატაძე.

გაცილებით ნაკლები მხარდამჭერი ჰყავს განათლების მინისტრს ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ილიაუნის 100 გამოკითხული სტუდენტიდან, მხოლოდ 13 აპირებს არჩევნებში მის მხარდაჭერას.

**„საპრეზიდენტო არჩევნებში მარგველაშვილს მხარს არ დავუჭერ. პოლიტიკური გუნდი „ქართული ოცნება“ ისევე, როგორც ნაციონალური მოძრაობა არ მომწონს. პრემიერს სხვა კანდიდატურა რომ წამოეყენებინა, მაგალითად, ირაკლი ალასანია, ამაზე კიდევ დავფიქრდებოდი, დავით უსუფაშვილის კანდიდატურას კი აუცილებლად დავუჭერდი მხარს. დამოუკიდებელ კანდიდატად, სალომე ზურაბიშვილმა რომ მიიღოს მონაწილეობა, ამაზეც დავფიქრდები. გიორგი მარგველაშვილის რეიტინგი აგრარული უნივერსიტეტის ირგვლივ ატეხილი სკანდალის დროს დაეცა“,** — აცხადებს ილიაუნის სტუდენტი გიორგი კიკონიშვილი.

მარგველაშვილს გამოუცდელ პოლიტიკოსად მიიჩნევს ილიაუნის სტუდენტი ანზორ ჭავჭავაძე: **„არ ვაპირებ, მარგველაშვილს მივცე ხმა, რადგან მას არ აქვს საკმარისი პოლიტიკური გამოცდილება. რამდენიმე თვის წინ სისულელეებს ამბობდა, როცა რამიშვილთან იჯდა გადაცემაში და მისი პრეზიდენტობა მიუღებელია ჩემთვის. ალასანია გაცილებით უკეთესი ვარიანტი იქნებოდა“.**

გამოკითხულ სტუდენტთა მცირე რაოდენობა აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ ნებისმიერ კანდიდატს დაუჭერს მხარს, რადგან მთავარია, ნაციონალმა არ გაიმარჯვოს.

**„მარგველაშვილი „ოცნების“ წარმომადგენელია და მას ვაძლევ ხმას, რადგან ჩემთვის მთავარია, ნაციონალების კანდიდატი არ გავიდეს“,** — აცხადებს ილიაუნის მეოთხე კურსის სტუდენტი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა. რამდენიმე სტუდენტის აზრით კი, საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე საუკეთესო კანდიდატურა დიმიტრი ლორთქიფანიძე იქნებოდა, რადგან კარგად იცნობენ პოლიტიკოსის საქმიანობას და მიაჩნიათ, რომ პარტია „თავისუფალი საქართველოს“ წევრი მათ მოლოდინს გაამართლებს.

**„სიამოვნებით მივცემდი ხმას დიმიტრი ლორთქიფანიძეს, თუ რა თქმა უნდა, კანდიდატურას დააყენებს. ვიცნობ მის საქმიანობას და უდიდეს პატივს ვცემ“,** — აცხადებს მეორე კურსის სტუდენტი.

გიორგი მარგველაშვილი, როგორც პიროვნება და განათლების მინისტრი მოსწონთ ჯიპას სტუდენტებს, თუმცა საპრეზიდენტო არჩევნებში მისთვის ხმის მიცემას უმრავლესობა არ აპირებს. 50 გამოკითხულიდან, 9 საერთოდ არ მიდის არჩევნებზე, 7-ს გადაწყვეტილი არ აქვს, ვის მისცემს ხმას, 11-ს მხოლოდ დავით ბაქრაძე მიაჩნია პრეზიდენტობის ღირსეულ კანდიდატად, დანარჩენი 27 სტუდენტი კი აცხადებს, რომ გიორგი მარგველაშვილი იმსახურებს მათ სიმპათიას, თუმცა აქედან მხოლოდ 17-ს აქვს გადაწყვეტილი, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ კანდიდატს დაუჭერს მხარს.

**„გიორგი მარგველაშვილი მომწონს, როგორც განათლებული და დადებითი პიროვნება, თუმცა არ მომწონს, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატი. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტს უფლებამოსილება შეუმცირდება, მაინც მგონია, რომ განათლების მინისტრი სუსტი პოლიტიკოსია და, შესაბამისად, სუსტი პრეზიდენტი იქნება“,** — განაცხადა ჯიპას ერთ-ერთმა სტუდენტმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა.

**„განათლების მინისტრი საინტერესო პიროვნებაა, ბუნებით დემოკრატი, ძლიერი კანდიდატია და სწორედ ამიტომ საპარლამენტო არჩევნებში მას ვუჭერ მხარს“,** — აცხადებს ერთ-ერთი სტუდენტი.

გამოკითხვისას, ნათელი გახდა, რომ მარგველაშვილს გაცილებით მეტი მხარდამჭერი ჰყავს უფროსი ასაკის მოქალაქეებში. მარჯანიშვილისა და რუსთაველის მეტროების მიმდებარე ტერიტორიაზე გამოკითხული სხვადასხვა ასაკის ადამიანები აცხადებენ, რომ სიამოვნებით მისცემენ ხმას „ქართული ოცნების“ ნებისმიერ წარმომადგენელს, მათ შორის გიორგი მარგველაშვილსაც. ასეთი პოზიცია, გამოკითხული 100 მოქალაქიდან, 79-ს აქვს.

**„ნაციონალების პერიოდში შიშისა და ტერორის ქვეშ ვცხოვრობდით, ახლა ყველაფერი შეიცვალა. რა თქმა უნდა, ხმას ვუჭერ გიორგი მარგველაშვილს და ასევე მოვიქცეოდი „ოცნების“ ნებისმიერი სხვა წარმომადგენლის შემთხვევაშიც“,** — აცხადებს 46 წლის ზაირა გაბუნია.

**„გარდამავალი პერიოდია, ამიტომ „ქართულ ოცნებას“ უამრავი საკითხის ერთდროულად მოგვარება უწევს, რომელიც დროში იწელება. ამის გამო ზოგიერთი მოქალაქე უკმაყოფილებას გამოთქვამს. მესმის, ძნელია 9-წლიანი დიქტატურის შემდეგ ქვეყნის ფეხზე დაყენება. აუცილებლად მივცემ ხმას გიორგი მარგველაშვილს და ამით ახალი ხელისუფლებისადმი ჩემს ნდობას კიდევ ერთხელ დავადასტურებ“,** — ეს 38 წლის ირინა გოგოლაძის პოზიციაა.

რამდენიმე მოქალაქე გამოკითხული სტუდენტების აზრს იზიარებს და ფიქრობს, რომ გიორგი მარგველაშვილი სუსტი კანდიდატია, ამიტომ მესამე, დამოუკიდებელი ძალის წარმომადგენელს ისურვებდნენ პრეზიდენტად.

**„მარგველაშვილს პიროვნულად არაფერს ვერჩი, თუმცა ვფიქრობ, რომ სუსტი კანდიდატია და პრეზიდენტის ამპლუაში უფრო გამოცდილი და ძლიერი პოლიტიკოსის ნახვას ვისურვებდი. სალომე ზურაბიშვილი კარგი დიპლომატია და პრეზიდენტის შემცირებული ფუნქციების ფონზე, მიმაჩნია, რომ ის საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყნის დადებითად წარმოჩენას შეძლებს“,** — აღნიშნა 27 წლის ქეთევან ლობჟანიძემ და დასძინა, რომ „ქართულ ოცნებას“ უფრო ძლიერი კანდიდატებიც ჰყავს, მაგალითად, ირაკლი ალასანია და დავით უსუფაშვილი.

„ვერსია“ გამომცემლების აზრითაც დაინტერესდა. „დიოგენეს“, „ლოგოსპრესის“, „ინტელექტის“ ხელმძღვანელებმა „ვერსიასთან“ საუბრისას განაცხადეს, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით არსებული უკმაყოფილების მიუხედავად, გიორგი მარგველაშვილთან პიროვნული დაპირისპირება არ აქვთ და გადაწყვეტილება, ვის მისცემენ ხმას საპრეზიდენტო არჩევნებში, ჯერ არ მიუღიათ.

---

ოპოზიცია

# „გაგიმხელთ, მე, დავით ბაქრაძე, გიგი და ვანო მერაბიშვილი შევთანხმდით, რომ...“

*მე-3 გვერდიდან*

— **და ეს რა იყო, თუ არა ტერორი? ისიც საკითხავია, სახელმწიფო ბიუჯეტს რამდენად მიზანმიმართულად ხარჯავდით.**

— მესმის, რომ ბევრს აქვს კითხვა ბიუჯეტის მიზნობრივად ხარჯვასთან დაკავშირებით, მაგრამ ვნახოთ, „ოცნება“ სახელმწიფო ხაზინას როგორ გამოიყენებს. თანაც არ მესმის, ექვსი თვის განმავლობაში, რატომ არ გამოიძიეს მსგავსი საკითხები და რატომ არავინ დაიჭირეს ბაჩო ახალაიას გარდა, ისიც აბსურდული ბრალდებების საფუძველზე? ვანო მერაბიშვილი გამომძიებლებთან სამ-ოთხჯერ თავად მივიდა. თუ მისი დაკავება უნდოდათ, რატომ არავინ დაიჭირა?

— **თეა თუთბერიძე ამტკიცებს, მერაბიშვილსა და ივანიშვილს შორის გარიგება შედგა და სააკაშვილის ხელისუფლების დამხობა „ნაციონალების ხერხემლის“ დამსახურებააო. მის წინააღმდეგ კომპრომატების გამოქვეყნებას როლანდ ახალაიაც გეგმავს.**

— თუ არგუმენტირებული ბრალდებები იქნება, მეც მაინტერესებს, რა ბრალი მიუძღვის ვანო მერაბიშვილს, თუმცა თეა თუთბერიძეს სერიოზულ პიროვნებად ვერ აღვიქვამ. ალბათ, ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ გამაკრიტიკებს, მაგრამ ეს მხოლოდ გამახარებს. თანაც, საბედნიეროდ, თეა თუთბერიძე დიდი ხანია, ჩვენს გუნდში მიმდინარე პროცესებში ჩახედული არ არის. უკანონო ჩანაწერების თემაც ჩვენი ერთ-ერთი სერიოზული შეცდომა იყო, რაც ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გამოიძიოს და დამნაშავეებმა საზოგადოების წინაშე პასუხი უნდა აგონ.

— **ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში შეგროვილ უკანონო ფარულ ჩანაწერებს ახლა გელა ხვედელიძე გადაყვა. გიორგი ფარესაშვილის მიერ დასახელებულ ლაშა ნაცვლიშვილსა და გია ხუხაშვილს, ჯერჯერობით, პრემიერი იცავს. საზოგადოებამ უნდა დაიჯეროს, რომ ხვედელიძე მარტო მოქმედებდა?**

— ობიექტურად უნდა ითქვას, რომ ღარიბაშვილმა მართლაც, მისასალმებელი ნაბიჯი გადადგა, თუმცა ვერავინ დამარწმუნებს, რომ მარტო მოქმედებდა. შეხვედრაზე, რომლის შესახებაც ინფორმაცია გავრცელდა, ხვედელიძე მხოლოდ საკუთარი თავის წარმომადგენელი ვერ იქნებოდა — ელემენტარულად, ასე ვერ გარისკავდა. ეს იგივე სერიის გაგრძელება მგონია, ხუხაშვილთან ბიზნესმენები „აღსარებაზე“ რომ დადიოდნენ. სხვათა შორის, მის მიმართ უმრავლესობა და მთავრობა დადებითად განწყობილი არ არის, რაც მათი რეაქციებიდან ადვილი შესამჩნევია. ლაშა ნაცვლიშვილი კი, შევარდნაძის პერიოდში უშიშროების მინისტრის მოადგილე იყო, პარლამენტშიც გარკვეული პერიოდი ერთად ვიყავით, მაგრამ მასთან შეხება არასოდეს მქონია. ახლა ორივემ საზოგადოებაში გაჩენილ კითხვებს უნდა უპასუხოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ყველაფერი ხვედელიძეზე ხელის შეწმენდას დაემსგავსება.

**კიდევ ერთ საინტერესო ფაქტს გეტყვით, მე და დათო კირვალიძე ჯგუფელები ვართ, ჩვენი მამები მეგობრები იყვნენ და მეგობრობა არასოდეს შეგვიწყვეტია. როცა ხელისუფლებაში ვიყავი, ის კი წასული მინისტრი, საკმაოდ კარგ ურთიერთობას ვინარჩუნებდით. იგივე ხდებოდა მისი მინისტრობის პერიოდშიც. ცოტა ხნის წინ, დათო კირვალიძეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა უთხრეს, მიშა მაჭავარიანთან ფეხბურთს ნუ თამაშობო, თუმცა დათო ვაჟკაცურად მოიქცა და თქვა, მეგობრებს შორის პოლიტიკურ არჩევანს არ გავაკეთებო. დასკვნები თავად გამოიტანეთ.**



## ამნისტიის აღსრულებისთვის განსაზღვრული ვადა ამოიწურა

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამნისტიის აღსრულებისთვის განსაზღვრული ოთხი თვის ვადა ამოიწურა.

სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 12 იანვრიდან 12 მაისის ჩათვლით პერიოდში, ამნისტირებულია პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული 17533 პირი, მათ შორის: საპატიმრო სასჯელის მოხდისგან სრულად გათავისუფლდა 8686 ბრალდებული/მსჯავრდებული (მათგან 175 პოლიტპატიმარი), საპატიმრო სასჯელი გაუნახევრდა 767 მსჯავრდებულს, საპატიმრო სასჯელი შეუმცირდა 8080-ს.

სამინისტროს ცნობით, ამნისტირებულ 17533 პატიმარს შორის 16781 მამრობითი და 752 მდედრობითი სქესის იყო.

***„ინტერპრესნიუსი“***



## პროფესიული გაერთიანების დაფუძნება ხუთ ადამიანს შეეძლება

დეპუტატი კობა დავითაშვილი პარლამენტს პროფესიული გაერთიანებების შექმნის გამარტივების ინიციატივას შესთავაზებს, რის შესახებაც დეპუტატმა ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე მას შემდეგ განაცხადა, რაც პარლამენტის წევრთა ნაწილმა „შრომის კოდექსში“ შესატან ცვლილებებში, შრომით ბაზარზე ერთი კონკრეტული ორგანიზაციის — პროფკავშირების მონოპოლიის გაჩენის საფრთხეზე ისაუბრა.

საქმე კანონპროექტით შეთავაზებულ იმ მუხლს ეხება, რომლის მიხედვით, „შრომითი ურთიერთობის სუბიექტები არიან დამსაქმებელი (დამსაქმებელთა გაერთიანება) და დასაქმებული (პროფესიული კავშირი)“.

როგორც ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე, კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვისას, უმცირესობის წევრმა ზურაბ ჯაფარიძემ განაცხადა, აღნიშნული ჩანაწერი ერთ კონკრეტულ გაერთიანებას მონოპოლიას აძლევს და სხვა გაერთიანებებს შრომით ბაზარზე შესვლის შესაძლებლობას უზღუდავს.

მისივე თქმით, წარმოდგენილი ინიციატივა გააძლიერებს მას, რომელიც ამჟამად არსებობს. ჯაფარიძემ მთავრობასა და კოლეგებს კანონში ამ მიმართულებით უფრო ფართო გაგების მუხლის ჩადების წინადადებით მიმართა.

ზურაბ ჯაფარიძის პოზიციას მხარი დაუჭირა როგორც მისმა თანაგუნდელმა გიგი წერეთელმა, ასევე ჯანდაცვის კომიტეტის პირველმა მოადგილემ, უმრავლესობის წევრმა გუგული მაღრაძემ.

აღნიშნულთან დაკავშირებით იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძემ განმარტა, რომ კანონმდებლობაში „პროფესიული კავშირის“ დაფიქსირებით ძლიერდება არა ერთი კონკრეტული ორგანიზაცია, არამედ პროფკავშირი, როგორც ორგანიზაციული ფორმა. მისი თქმით, სამართლებრივი ფორმა უნდა იყოს პროფკავშირი, რომელიც შრომითი ურთიერთობების დაცვაზე იზრუნებს.

ანალოგიურად ფიქრობს უმრავლესობის წარმომადგენელი გია ჟორჟოლიანი. მისი თქმით, კანონის ეს ჩანაწერი არ გულისხმობს იმას, რომ პროფკავშირი არის „დელისის“ მეტროსთან. მისივე თქმით, არავის აეკრძალება შრომითი უფლებების დაცვა.

აღნიშნულ საკითხზე გამართული დებატებისას დეპუტატ კობა დავითაშვილისგან გახდა ცნობილი, რომ იგი პარლამენტისთვის „პროფესიული კავშირების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეთავაზებას აპირებს, რომლის საფუძველზეც, ასეთი გაერთიანების დაფუძნება ხუთ ადამიანს შეეძლება და როგორც კობა დავითაშვილი ამბობს, „ამით აღნიშნული პრობლემა გადაიჭრება“.

***„ინტერპრესნიუსი“***

# „ქართული ოცნების“ შემომწირველი ფიზიკური პირები ისევ დამნაშავეებად ითვლებიან?!



## რატომ ასაჩივრებს აღსრულების ეროვნული ბიურო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც რომან კუსიანმა პროცესი მოიგო

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**პოლიტიკური პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი რომან კუსიანი დახმარებისთვის იუსტიციის მინისტრის მოადგილეს, ალექსანდრე ბარამიძეს მიმართავს. პრობლემა ისაა, რომ ამნისტიის შესახებ კანონის მიხედვით, რომან კუსიანი, როგორც კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი შემომწირველი ფიზიკური პირი, ახალი ხელისუფლების პირობებში კვლავ დამნაშავედ ითვლება! სახელმწიფომ მხოლოდ და მხოლოდ, ჯარიმები აპატია შემომწირველ ფიზიკურ პირებს, თორემ აბსოლუტურად ყველა გადაწყვეტილება, რაც კი წინა ხელისუფლებამ მიიღო, ძალაში დატოვა, რის გამოც, რომან კუსიანი და მასთან ერთად, სხვა შემომწირველებიც ისევ დამნაშავეები არიან!**

„ვერსიაში“ უკვე ვწერდით, რომ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს, ზუსტად ერთი წლის წინ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა კოალიცია „ქართული ოცნების“ შემომწირველი ფიზიკური პირების ქონება უკანონოდ დააჯარიმა, თბილისის საოლქო სასამართლომ დააყადაღა და აღსრულების ეროვნულ ბიუროს გადასცა. კანონის მიხედვით, ამ უკანასკნელმა შემომწირველი ფიზიკური პირების ქონება ელექტრონულ აუქციონზე გაიტანა. „ვერსიაში“ აუქციონის შედეგები დეტალურად განვიხილეთ და ისიც აღვნიშნეთ, რომ შემომწირველი პირების ქონება აუქციონზე არ გაყიდულა, რადგან ქონების ის მცირე ნაწილიც კი, რაც თითქოს აუქციონზე გაიტანეს, კარგად მოფიქრებული „ბლეფი“ იყო, რომელშიც პროკურატურის მაღალჩინოსნები მონაწილეობდნენ.

საინტერესოა, რა ვითარებაა ახლა? კონკრეტულად, რა შეიცვალა ან შეძლეს თუ არა საკუთარი ქონების დაბრუნება შემომწირველმა ფიზიკურმა პირებმა? „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა შემომწირველმა, ავთო დავითაძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ კუთვნილი უძრავი ქონება — ორი სახლი თბილისის ცენტრში და აგარაკი მხოლოდ იმიტომ დაუყადაღეს, რომ „ქართულ ოცნებას“ 37 000 ლარი შესწირა. არადა, მას დოკუმენტი გააჩნდა, რომლითაც, სრული უფლება ჰქონდა, ამ ტიპის შემოწირულობა გადაერიცხა პარტიაში. ეს იყო იმ ფულადი გზავნილების ამონაწერი, რასაც მისი უახლოესი ნათესავები მოსკოვიდან უგზავნიდნენ. ავთო დავითაძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ ამ დოკუმენტის მიუხედავად, სასამართლომ მისი ქონება მაინც დააყადაღა, მაგრამ საჯარო რეესტრის ამონაწერების მიხედვით, ორივე სახლი და აგარაკი კვლავ მის სახელზეა რეგისტრირებული. ავთო დავითაძე აპირებს, პროკურატურას სარჩელით მიმართოს, რადგან აინტერესებს, რატომ აზარალა სახელმწიფო იმ შემოწირულობით, რომელიც „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ გაიღო. 4 თვის მანძილზე კი, როდესაც მისი ქონება დაყადაღებული იყო, ავთო დავითაძე ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა.

პოლიტიკური პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, **რომან კუსიანმა** „ვერსიას“ სკანდალური ინფორმაცია მიაწოდა:

— ჩემი ქონება, რომელიც დაყადაღებული იყო, გაიყიდა და, შესაბამისად, პრობლემა არ მოგვარებულა. ყველაზე დიდი შეცდომა, რომელზეც პარლამენტის ზოგიერთ წარმომადგენელთანაც მქონდა საუბარი, ისაა, რომ ამნისტიის მიუხედავად, ჩვენ, „ქართული ოცნების“ შემომწირველი ფიზიკური პირები კვლავ დამნაშავეებად ვითვლებით. ამნისტიის კანონმა, რომელიც პარლამენტმა მიიღო, სასამართლო გადაწყვეტილება და საქმის წარმოება, რაც შემომწირველ ფიზიკურ პირებს უკავშირდებოდა, ძალაში დატოვა. ერთადერთი შედეგი, რაც ამ კანონს მოჰყვა ისაა, რომ სახელმწიფომ ჩვენ, დამნაშავეებს, დაკისრებული ჯარიმები ჩამოგვაწერა და გვაპატია. ეს იმას ნიშნავს, რომ რეალურად, ადმინისტრაციული წესის მიხედვით, ყველა შემომწირველი ფიზიკური პირი და მათ შორის მეც, ნასამართლევია, უფრო ზუსტად კი, წინა ხელისუფლებასთან მიმართებაში, დამნაშავეები ვართ, ხოლო ნაციონალური მოძრაობა, რომელმაც უკანონოდ დაგვიყადაღა ქონება და მერე აუქციონზე გაგვიყიდა, ცამდე მართალია. გარდა ამისა, კიდევ ერთი ნიუანსია და მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელის ბრძანებით, ჩვენთვის ჩამორთმეულ ქონებაზე ყადაღა კი მოიხსნა და საჯარო რეესტრის ინფორმაციით, მესაკუთრეებად ჩვენ ვითვლებით, მაგრამ რამდენად გამართულია ეს ნორმა სამართლებრივად, პასუხი არ გვაქვს. ქონება, რომელიც ჩამოგვართვეს და დააყადაღეს, სახელმწიფოს ანუ ეკონომიკის სამინისტროს გადაუფორმეს. ქონება კი, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნის, პიროვნებაზე ორი საშუალებით გაიცემა, პირველი — უნდა იყიდო სახელმწიფოსგან და მეორე — პრეზიდენტის ან მთავრობის დადგენილებით, უნდა გადაეცეს პირს. ჩვენთან დაკავშირებით, არც ერთი ნორმა არ განხორციელებულა, მხოლოდ აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელის გადაწყვეტილება გააუქმეს და თითქოს, ეს ქონება დაგვიბრუნდა. წარმოიდგინეთ, ყოფილი ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელი ამ საკითხს იურიდიულად რომ მიუბრუნდეს, შემომწირველი ფიზიკური პირების უძრავ-მოძრავი ქონება ისევ სახელმწიფოს საკუთრებაში აღმოჩნდება. მნიშვნელოვანი ისაა, რომ საკაშვილის სასამართლოში, ჩემს ქონებასთან დაკავშირებული დავა აღსრულების ბიუროს მოვუგე, მაგრამ ახალი ხელისუფლების პირობებში, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ სასამართლოში მიჩივლა და ადრინდელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა. მორიგი სასამართლო პროცესი ამ დღეებში უნდა გაიმართოს.

**— ეს დეტალები როგორ გამორჩათ ამნისტიის კანონის მიღების დროს?**

— ესაა არაკვალიფიციური, იურიდიულად გაუმართავი კანონი. შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ და მხოლოდ, პოლიტიკური პარტიების ამნისტირებაზეა მორგებული და ჩვენი ცნობილი ყადაღები თუ ჯარიმები, რომელიც აუდიტის სახელმწიფო სამსახურმა დაგვაკისრა, გათვალისწინებული არ არის.

**— პარლამენტის წევრებსა და კოალიციის იურისტებს ესაუბრეთ ამ საკითხზე?**

— ღიად ვაცხადებ, ვეთანხმები ბატონ ბიძინასა და დავით უსუფაშვილს, რომ საქართველოს პარლამენტს იურისტები არ ჰყავს! ამას იმიტომ ვამბობ, რომ მერვე თვეა, პარლამენტში არიან და ამ პრობლემის მოგვარება ვერ მოახერხეს; მეტიც — ვერ შეძლეს, არ მიეღოთ ისეთი კანონი, რომლითაც ჩვენ, შემომწირველი ფიზიკური პირები, რომლებიც თავის დროზე, კოალიციას დავეხმარეთ, დამნაშავეებად დაგვტოვეს!

**— პროკურატურაში სარჩელის შეტანას აღარ აპირებთ?**

— არა, პროკურატურაში სარჩელი უკვე შეტანილი მაქვს. ვვარაუდობ, აღსრულების ეროვნულ ბიუროს წინა სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება იმიტომ უნდა დღეს, რომ ჩემი საჩივარი უფრო არ გამძაფრდეს. ერთადერთი ადამიანი ვარ, რომელმაც ქონების ყადაღასთან დაკავშირებით, საკაშვილის სასამართლოს სარჩელი მოუგო.

**— ამნისტიის კანონის შეცვლას არ აპირებთ?**

— ჩვენმა გულშემატკივარმა დეპუტატებმა იუსტიციის მინისტრის მოადგილეს, ალექსანდრე ბარამიძეს სთხოვეს, ამ პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმაროს. იმედი მაქვს, დაგვეხმარება.

„ვერსია“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, მარიამ სხილაძეს დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, რომ ალექსანდრე ბარამიძისთვის, ოფიციალურად, არც ერთ დეპუტატს არ მიუმართავს. ერთადერთი, რომან კუსიანი იყო, რომელმაც ამ პრობლემის შესახებ იუსტიციის მინისტრის მოადგილეს, სოციალური ქსელის საშუალებით მიმართა.

*დასასრული მე-8 გვერდზე*

# „ასკანელი ძმების“ კონიაკის ხარისხთან დაკავშირებით გაუგებრობა მალე გაირკვევა!




## რა განცხადებით მიმართეს კომპანიის დამფუძნებლებმა ონიშჩენკოს და როდის გაივლის მათი პროდუქცია მოსკოვში ხელახალ რეგისტრაციას

„გაუგებრობა“ — ასე აფასებდნენ 16 მაისს, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე ალკოჰოლის მწარმოებელი კომპანია „ასკანელი ძმების“ დამფუძნებლები რუსული მედიასაშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს რუსეთის სანიტარული სამსახურის უფროსმა გენადი ონიშჩენკომ „ასკანელი ძმების“ 5 სახეობის კონიაკი დაიწუნა და რუსეთის ბაზარზე შესვლის უფლება არ მისცა. ქართული კომპანიის წარმომადგენლებს ეჭვი იმაშიც ეპარებათ, რომ მსგავსი რამ ონიშჩენკომ ნამდვილად თქვა. ეჭვებს ისიც ამძაფრებს, რომ მათ არც განცხადების ჩანაწერი მოუსმენიათ, არც რაიმე სახის ოფიციალური ცნობა მიუღიათ და არც ხარისხის შემოწმების შემდეგ დადებული დასკვნა უნახავთ. პრესკონფერენციაზე ცნობილი გახდა, რომ ინფორმაციის გავრცელებისთანავე, „ასკანელი ძმების“ დამფუძნებლებმა გენადი ონიშჩენკოს ოფიციალური განცხადება გაუგზავნეს და განმარტებების გაკეთება მოსთხოვეს. პარალელურად, კომპანიის წარმომადგენლები რუსეთში გაემგზავრნენ ვითარებაში გასარკვევად.

**ჯიმშერ ჩხაიძე ასკანელი: „აშკარაა, ადგილი აქვს გაუგებრობას. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი კონიაკის ხარისხით, რომელიც 15 ქვეყანაში იყიდება, სადაც გააჩნია სახელმწიფო რეგისტრაცია და მომხმარებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. კონიაკის ხარისხთან დაკავშირებით, მიღებული გვაქვს ოქროსა და ვერცხლის მედლები. წერილობით პასუხს ველოდებით, ზეპირად კი, ჩვენმა წარმომადგენლებმა მოსკოვიდან უკვე გვაუწყეს, რომ მოლაპარაკებები გაიმართა და პროდუქციის ნიმუშები, სავარაუდოდ, უმოკლეს ვადაში გაიგზავნება ხელახალი სერტიფიცირებისთვის“.**

„ასკანელი ძმების“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ბექაურმა ჟურნალისტებს აუწყა, რომ საკითხთან დაკავშირებით, თავადაც ბევრი კითხვა გაუჩნდა, თუმცა ონიშჩენკოსგან ოფიციალური პასუხის მიღებამდე, ვარაუდის გამოთქმისგან თავს იკავებენ. სამაგიეროდ, ბექაურმა დეტალურად ისაუბრა იმაზე, როგორ გადის 15 წლის ისტორიის მქონე კომპანია „ასკანელი ძმების“ პროდუქცია შემოწმებას სისტემატურად.

**ირაკლი ბექაური: „კომპანია „ასკანელი ძმები“ მხოლოდ მიესალმება, თუ რუსეთის სანიტარული სამსახურის მიერ მკაცრად და ობიექტურად იქნება შეფასებული და გაკონტროლებული იქ შესული პროდუქციის ხარისხი. მნიშვნელოვანია, აღმოიფხვრას ფალსიფიცირებული პროდუქციის გავრცელება. ჩვენს შემთხვევაში, რაღაც გაუგებრობაა, დარწმუნებულები ვართ, ყველაფერი მალე გაირკვევა. „როსპოტრებნადზორისთვის“ წარდგენილმა პროდუქციამ ხარისხის კონტროლის სამი საფეხური გაიარა: უშუალოდ წარმოებაში, ქარხნის, ასევე დამოუკიდებელ ლაბორატორიაში „ღვინის ლაბორატორია“. პროდუქციამ ღვინის ნაციონალური სააგენტოს დადებითი შეფასებაც მიიღო. კონიაკის ხარისხთან დაკავშირებით, აქამდე არასოდეს მიგვიღია შენიშვნა. ამის მიუხედავად, მზად ვართ, გავიაროთ ხელმეორე შემოწმება“.**

„ასკანელი ძმების“ დამფუძნებლების მიერ ჩატარებულ პრესკონფერენციას ეკონომისტი, BPI (Georgian Business&Political Insight) დამფუძნებელი **ირაკლი ლექვინაძეც** ესწრებოდა. მისი თქმით, **„ნებისმიერი კომპანია, რომელიც რუსეთის ბაზარზე გასვლას აპირებს, მზად უნდა იყოს, რომ მის წინააღმდეგ შეიძლება აგორდეს მსგავსი მითქმა-მოთქმა. როცა საუბარი რუსეთის ბაზარს ეხება, ამის რისკი ყოველთვის არსებობს, მით უფრო, რომ იქ არსებობენ კონკურენტები, რომლებსაც მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოჩენა აშფოთებს“.**

პრესკონფერენციის კიდევ ერთმა მონაწილემ, „ევროპის ხარისხის ორგანიზაციის“ წარმომადგენელმა საქართველოში და, ამავდროულად, საქართველოს ხარისხის ასოციაციის პრეზიდენტმა **გრიგოლ კუნჭულიამ** კი იმაზე ისაუბრა, რომ აქამდე „ასკანელი ძმების“ პროდუქცია არავის გაუკრიტიკებია: **„კომპანია „ასკანელი ძმების“ პროდუქცია ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით. კომპანია საქართველოს ხარისხის ასოციაციის სრულუფლებიანი წევრია, რომელიც ხარისხზე ორიენტირებული კომპანიებისგან შედგება. პირველად მესმის პრეტენზია ამ კომპანიის პროდუქციის მისამართით. „ძმებმა ასკანელებმა“ ხარისხის მენეჯმენტისა და მზა პროდუქციის შეფასების საკმაოდ რთული პროცედურა წარმატებით გაიარა და, მალე, მის კონიაკსა და სხვა პროდუქციას „ხარისხის ნიშნის“ მარკირების უფლებაც მიენიჭება“.**

გიორგი კუნჭულიამ ისიც გვაუწყა, რომ შარშან ნოემბერში, საქართველოში გამართულ ევროპის ხარისხის კვირეულზე, მისმა ორგანიზაციამ სწორედ „ასკანელი ძმების“ პროდუქცია შეიძინა, რათა ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრებისთვის ემასპინძლათ. პროდუქცია სტუმრებს საჩუქრადაც გადასცეს. **„მოხარული ვარ, რომ ისინი აღფრთოვანებულები დარჩნენ, რისთვისაც „ძმებ ასკანელებს“ დიდ მადლობას გადავუხდი “,** — დასძინა კუნჭულიამ.

„ასკანელი ძმების“ კონიაკის დაგემოვნების საშუალება პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებსაც გვქონდა. პროფესიონალი სომელიე არ გახლავართ, მაგრამ კონიაკი არომატულიც იყო, გემრიელიც და სასიამოვნოდ დასალევიც. დეგუსტაციის შემდეგ, მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლები იმაზე საუბრობდნენ, რომ აქ, მართლაც, რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი. ამ ფონზე, მოლოდინიც შესაბამისია — კომპანიის კონიაკი ხელახალ რეგისტრაციას გაივლის, ყველაფერი გაირკვევა და „ასკანელი ძმების“ კონიაკი, ონიშჩენკოს ორგანიზაციის მიერ მოწონებულ ამავე კომპანიის 9 სახეობის ღვინოსთან ერთად, რუსეთის ბაზარზე მალე გავა.

„ასკანელი ძმები“ ერთ-ერთი წამყვანია ალკოჰოლის მწარმოებელ ქართულ ელიტურ კომპანიებს შორის, აწარმოებს 8 სახეობის კონიაკს, 32 დასახელების ღვინოს, 4 დასახელების ჭაჭას, პროდუქცია აღიარებულია საუკეთესოდ და მიღებული აქვს 100-ზე მეტი პრიზი. „ასკანელი ძმების“ მიერ წარმოებული სასმელი გადის ექსპორტზე აშშ-ში, უკრაინაში, ჩინეთში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, ესტონეთში, ლიტვაში, ლატვიაში, პოლონეთში, ჩეხეთში, ყაზახეთში, ფინეთში, აზერბაიჯანსა და ბელორუსში, რაც ადასტურებს, რომ კომპანია იცავს მაღალ სტანდარტებს. „ასკანელი ძმების“ თანამედროვე ქარხანა ღვინისა და ბრენდის მწარმოებელი უახლესი დანადგარებითაა აღჭურვილი. წარმოების პროცესის ყველა ეტაპის მკაცრი კონტროლი, ასევე სიცივით დამუშავება მაღალი ხარისხისა და ფართო ასორტიმენტის ღვინის წარმოების საშუალებას იძლევა.

ამაში კი ჟურნალისტები მალე დარწმუნდებიან — ირაკლი ბექაურის განმარტებით, 23 მაისს „ასკანელი ძმების“ ქარხანაში მედიატური მოეწყობა, სადაც გვექნება საშუალება, დეტალურად გავეცნოთ წარმოების ციკლს და მოვახდინოთ სხვადასხვა წლოვანების ქართული ბრენდის დეგუსტაცია.

*ნინო ლურსმანაშვილი*

# „ნატახტარის“ ტრადიციული გათამაშება — შეიძინეთ ლუდი და მოიგეთ 50 000 ლარი!



## გათამაშებაშია 300 000 უფასო ლუდი და კაფსულაში მოთავსებული თანხა 10-დან 200 ლარამდე

**კომპანია „ნატახტარი“ ტრადიციულად, უკვე მეხუთედ, 15 მაისიდან, 15 ივლისის ჩათვლით, ლუდის მოყვარულებს ინოვაციურ გათამაშებას სთავაზობს. კომპანიის მარკეტინგის დირექტორმა, თორნიკე ნიკოლაიშვილმა „რედისონ ბლუ ივერიაში“ შეკრებილ ჟურნალისტებს განუმარტა, რომ ინოვაციის არსი ლუდის მინისა და პლასტმასის ბოთლებში მოთავსებული კაფსულაა. თუ „ნატახტარის“ ლუდს გახსნით და სახურავზე მოთავსებულ კაფსულას ნახავთ, აუცილებლად გახსენით, რომელშიც 10, 20, 50, 100 და 200-ლარიან კუპიურას აღმოაჩენთ. საპრიზო ფონდი 500 000 ლარზე მეტია, თანხის გარდა, გათამაშებაშია 300 000 ცალი უფასო ლუდი და მთავარი პრიზი — 50 000 ლარი, რომელიც კაფსულაში არ დევს, მაგრამ ლუდის ბოთლის სახურავზე ლაზერით დატანილი წარწერით მიხვდებით.**

კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის დირექტორმა, **თორნიკე ნიკოლაიშვილმა** აღნიშნა, რომ საპრიზო ფონდი წლიდან წლამდე იზრდება. შესაბამისად, მოგების ალბათობაც იმატებს და უფრო ინოვაციური ხდება:

**„ლუდის მოყვარულებისთვის მნიშვნელოვანია, რომ იმ ლუდის ბოთლების შეფუთვა, რომლებიც გათამაშებაში მონაწილეობს, გარკვეული ნიშნით განსხვავდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მინისა და პლასტმასის ბოთლების შეფუთვის საყელოზე, სპეციალური წარწერაა დატანილი, რაც ამ ბოთლის გათამაშებაში მონაწილეობას ადასტურებს. ასეთ მეთოდს იმიტომ მივმართეთ, რომ გათამაშებამდე ორი კვირით ადრე, საცალო ქსელს ხომ არ დავაცარიელებდით? შესაბამისად, ბოთლის საყელოზე წარწერა დავიტანეთ და მომხმარებელი შეცდომაში აღარ შევა, თუკი ლუდის წარწერიან ბოთლს შეიძენს, მიხვდება, რომ ის გათამაშებაში მონაწილეობს, მაგრამ თუ სპეციალური წარწერის გარეშე იქნება, ისიც ზუსტად ეცოდინება, რომ ეს ბოთლი ქსელში გათამაშებამდე შევიდა“.**

თორნიკე ნიკოლაიშვილის თქმით, გათამაშებაშია „ნატახტარის“ 0,5-ლიტრიანი მინის, ასევე 1-ლიტრიანი, 1,5-ლიტრიანი და 2-ლიტრიანი პლასტმასის ბოთლები. კომპანიის მარკეტინგის დირექტორმა განმარტა, რომ ესაა ინოვაციური და საინტერესო გათამაშება, რადგან მოგების მყისიერად მიღების სხვა საშუალება ნამდვილად არ არსებობს:

**„ამაზე უფრო სწრაფი და ინოვაციური მეთოდი ჯერ არ გამოგონილა, მაგრამ თუ გამოიგონებენ, პირობას გაძლევთ, რომ ჩვენს ბაზარზე აუცილებლად დავნერგავთ. ინოვაციურია, რადგან თანხა, რომელიც თამაშდება, თავსახურზე მიმაგრებულ კაფსულაშია მოთავსებული. ზოგჯერ არის გათამაშება, რომელიც მომხმარებელს ცხოვრებას ურთულებს, რადგან მან რაღაც უნდა შეავსოს, შეაგროვოს, ჩააკრას, ჩააწებოს, გაგზავნოს ელექტრონული ფოსტით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით და ასე შემდეგ. ამ მეთოდით კი ყოველგვარი ბარიერის გარეშე, თან ისე, რომ ოფისში მოსვლაც არ გიწევთ, შეგიძლიათ, ადგილზე მოიგოთ თანხა და ისე გამოიყენოთ, როგორც გსურთ“.**

რაც შეეხება მთავარ პრიზს — 50 000 ლარს, თორნიკე ნიკოლაიშვილმა დააზუსტა, რომ ლუდის ბოთლის თავსახურზე, წარწერა — 50 000 ლარი, ლაზერით იქნება ამოტვიფრული. ლაზერითვე იქნება ამოტვიფრული ლუდის ბოთლიც, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენ „ნატახტარის“ ლუდი მოიგეთ. მოგებული ლუდის მიღება, ნებისმიერ საცალო-სავაჭრო ქსელში შეგიძლიათ. თუ გარკვეული პრობლემა შეგექმნებათ, ნუ ინერვიულებთ, 24 საათის განმავლობაში, კომპანიის ცხელი ხაზი — 2 550 700 იმუშავებს. ცხელი ხაზის ნომერიც ლუდის ბოთლის ეტიკეტზეა დატანილი და პრობლემის შემთხვევაში, რაც არა მარტო გათამაშებას, არამედ „ნატახტარის“ პროდუქციის დისტრიბუციას უკავშირდება, შეგიძლიათ დარეკოთ.

თორნიკე ნიკოლაიშვილის განმარტებით, მომგებიანი თავსახურები თანაბრად გადანაწილდება. შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც „ნატახტარის“ ლუდის ბოთლის გამოშვებას აკონტროლებს: **„წარმოებაშიც რომ ნახოთ, თუ როგორ და რა სიხშირით იყრება ეს თავსახურები, დარწმუნდებით, რომ თვითონ ეს სიხშირე უზრუნველყოფს მომგებიანი თავსახურების თანაბარ გადანაწილებას. თავსახურები დიდ და ტევადი მოცულობის ადგილზე იყრის თავს და შეუძლებელია ამოცნობა, სად მოხვდება მომგებიანი თავსახური. აქედან გამომდინარე, თავისუფლად შეიძლება, 50 000-ლარიანი პრიზი ნებისმიერ რეგიონში აღმოჩნდეს. რაც შეეხება მოგების გადასახადს, ამას ჩვენ, კომპანია „ნატახტარი“ ვიხდით, რაც იმას ნიშნავს, რომ გამარჯვებული 50 000 ლარს მიიღებს. გარდა ამისა, ნებისმიერ კუპიურაზე, რომელიც კაფსულაში იდება, 10-ლარიანი იქნება, 20, თუ 200-ლარიანი, გადასახადი უკვე გადახდილი გვაქვს, რადგან ჩვენ ხომ არ ვიცით, ვინ, როდის და სად მოიგებს ამ თანხას“.**

კითხვაზე, რამდენად შესაძლებელია, რომ მაღაზიის გამყიდველმა კაფსულა შენიშნოს და სავარაუდოდ, მომგებიანი ბოთლი გადამალოს, თორნიკე ნიკოლაიშვილმა დააზუსტა, რომ ასეთი რამ წარმოუდგენელია. ის პირადად ამოწმებს ლუდის ბოთლებს, სპეციალური ფანრით და ლაზერით ანათებს, მაგრამ კაფსულა არ ჩანს.

**„კომპანია, რომელსაც ეს ინოვაცია ეკუთვნის და რომელმაც ორიოდე წლის წინ საავტორო უფლება მოგვყიდა, რათა ეს ტექნოლოგია საქართველოში გამოვიყენოთ, დაცულობაც უზრუნველყო. როგორც უნდა გახედოთ ლუდის ბოთლს, კაფსულას მაინც ვერ დაინახავთ, რომელიც ისეთი ფერისაა, რომ სითხესთან კონტრასტს არ იძლევა, მათ შორის, ლაზერით მინათების შემთხვევაშიც კი“.**

*მაია მიშელაძე*

პროტესტი




# „ქაშუეთის ეკლესიის წინ ტანგა-ტრუსიკიანმა კაცებმა არ უნდა ჩაიარონ!“

## როგორ დაიცავს ქაშუეთის მიმდებარე ტერიტორიას სამოქალაქო მოძრაობა სექსუალური უმცირესობებისგან

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**ლგბტ საზოგადოება 17 მაისს, ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობასთან დილის პირველ საათზე შეიკრიბება. ამ აქცია-ფლეშმობს ჯერ კიდევ ჩატარებამდე მოჰყვა სერიოზული პროტესტი და ე.წ. ლგბტ-ების წინააღმდეგ ერი და ბერი დაირაზმა — საქართველოს საპატრიარქო და სრულიად მართლმადიდებელი საზოგადოება, სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლები, 10-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, პოლიტპატიმრების დიდი ჯგუფი და, უბრალოდ, აღშფოთებული მოქალაქეები. იმის მიუხედავად, რომ ეს ღონისძიება მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში ყოველ წელს იმართება, ქართულმა საზოგადოებამ იგი გეიაღლუმად მონათლა და ამ აქციის პარალელურად, რამდენიმე სოციალურმა ჯგუფმა სხვადასხვა საპროტესტო ღონისძიება დააანონსა: მოძრაობა „ეროვნული ფრონტი“ და რამდენიმე არასამთავრობო დილის 9 საათიდან შეიკრიბება და ქაშუეთის ეკლესიის ტერიტორიას „დაიცავს“. დილის 11 საათიდან მათ მრევლი და სასულიერო პირებიც შეუერთდებიან და საკანონმდებლო ცვლილებებსაც მოითხოვენ.**

აქციას საკმაოდ პრინციპული პოზიციით გამოეხმაურა საქართველოს საპატრიარქო, რომელმაც 9 რელიგიურ გაერთიანებასთან ერთად, საერთო განცხადება გაავრცელა: **„გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს და იგი რიგი პირობების შედეგად, შეიძლება შეიზღუდოს. ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა იმ ტრადიციული რელიგიების მიმდევარია, რომლის მოძღვრების მიხედვით, ერთსქესიანთა სქესობრივი ურთიერთობა ცოდვად მიიჩნევა, 2012 წლის 17 მაისის მსგავს პროპაგანდისტულ აქციებზე საზოგადოებას ლეგიტიმური უფლება აქვს, მშვიდობიანი, არაძალადობრივი ფორმით პროტესტი გამოხატოს. სამწუხაროდ, შარშან მომსწრენი გავხდით არაერთი უხამსი ქმედებისა, რასაც არასრულწლოვანთა თვალწინ ჰქონდა ადგილი. მოვუწოდებთ აქციის მონაწილეებს, თავიანთი სექსუალური ორიენტაციის დემონსტრირება-პროპაგანდისგან თავი შეიკავონ!“** ამის შესახებ, პატრიარქის სახელით, 16 მაისს ქორეპისკოპოსმა მეუფე იაკობმა ისაუბრა, თბილისის მერიისა და მოქმედი ხელისუფლებისგან „გეების აღლუმის“ ნებართვის გაუქმება მოითხოვა და მკვეთრი პოლიტიკური განცხადებებიც გააკეთა: **„ვფიქრობთ, თბილისის მერიამ და ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ობიექტური რეალობა და გააუქმოს ჰომოსექსუალებისთვის მიცემული ნებართვა, მით უმეტეს, ქვეყანაში საყოველთაო გლოვაა მოყვასისთვის თავგანწირული ვაჟკაცებისა! პირდაპირ გეტყვით, ესაა თავსმოხვეული და ვიღაცები ამას მხოლოდ და მხოლოდ, გრანტის ასაღებად იყენებენ. როგორ ცხოვრობენ, ეს მათი პირადი საქმეა, მაგრამ ვიმედოვნებთ, ეს აქცია არ ჩატარდება... ძალიანაც რომ მოინდომონ, არ დავუშვებთ, ესეც იცოდეთ!“**

დაახლოებით, ასეთივე შინაარსის განცხადებას აკეთებს აქციის წინ სამოქალაქო მოძრაობა „დაიცავი ზნეობა“, რომლის მხარდამჭერები დილის 11 საათიდან, რუსთაველის გამზირზე ლოცვით, მდუმარე მსვლელობას გამართავენ და როგორც ირწმუნებიან, არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ მიერ დაგეგმილ აქცია-ფლეშმობის ჩატარებას ხელს შეუშლიან. სხვათა შორის, მოძრაობის წარმომადგენლები საგამოძიებო ორგანოებს „იდენტობის“ საქმიანობითა და დაფინანსების წყაროებით დაინტერესებასაც სთხოვენ, „დაიცავი ზნეობის“ ლიდერი, **გიორგი გაბედავა** კი მთელი საქართველოს სახელით, „გეების უზნეობის“ გაპროტესტებას ასე აპირებს: **„საყურიან ბიჭებს ტაშ-ფანდურს არ ჩავატარებინებთ, თანაც იქ, სადაც ქართველი გმირების სისხლი დაიღვარა და იმ ეკლესიის სიახლოვეს, სადაც ავღანეთში დაღუპული ჩვენი გმირების ცხედრები ასვენია — ეს ღირსების საკითხია! ჩვენი მსვლელობა აგრესიული არ იქნება, თუმცა წინასწარი პროგნოზების გაკეთება რთულია. ნებისმიერ შემთხვევაში, სექსუალურ უმცირესობას რუსთაველზე „გეი-პარადს“ არ ჩავატარებინებთ! გვექნება ლოცვითი მსვლელობა და გავჩერდებით იქ, სადაც საქართველოს სჭირდება!“**

„იდენტობის“ მიერ დაანონსებულ აქციას პოლიტპატიმართა ერთი ჯგუფიც ეხმაურება. არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ნანა კაკაბაძემ „ვერსიას“ რამდენიმე დღის წინ მიცემულ ექსკლუზივში წინასწარ გაუმხილა, რომ სექსუალურ უმცირესობათა აქციის პარალელურად, ფილარმონიის წინ, ზუსტად პირველ საათზე ალტერნატიული აქცია ჩატარდება. ამ თემაზე გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე კი „ვერსიამ“ რამდენიმე დეტალი **მელორ ვაჩნაძეს** დააზუსტებინა: **„გეებს ამხელა ყურადღება პოპულარიზებისთვის, რა თქმა უნდა, სჭირდებათ და აწყობთ, მაგრამ ერთს გეტყვით — ქაშუეთის ეკლესიის წინ ტანგა-ტრუსიკიანმა კაცებმა არ უნდა ჩაიარონ! ეს ადამიანები, ჩემი აზრით, დაავადებულები არიან, მაგრამ გაგებით ვეკიდები მათ არსებობას, ამიტომ მათ უნდა მიეცეთ საშუალება, კანონის ფარგლებში, თავიანთი პოზიცია გამოხატონ, ოღონდ სხვა ადამიანებს შეურაცხყოფა არ უნდა მიაყენონ. სამართალდამცველებმა კი ორივე მხარის უფლებები მაქსიმალურად უნდა დაიცვან და ამ ორ ჯგუფს შორის დაპირისპირება არ დაუშვან. აქვე განვმარტავ, პოლიტპატიმრების სახელით, პარალელურ აქციაზე ვერავინ მოვა, რადგან თავად პოლიტპატიმრებს ამ თემაზე საერთო აზრი არ გვაქვს და ეს საკითხი ჩვენს შორის არ განხილულა. უბრალოდ, საკუთარ აზრს ყველა ინდივიდუალურად გამოხატავს და ეს ჩვენი უფლებაა“.**

მოკლედ, 17 მაისს თბილისის მოსახლეობა რუსთაველზე ერთდროულად რამდენიმე სანახაობის მომსწრე გახდება. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ლგბტ-ების წინააღმდეგ დაგეგმილი აქციების ყველა მონაწილე ღია კონფრონტაციაში შედის და საბოლოოდ, თავს სწორედ იმ ადგილას და იმ დროს იყრის, სადაც ეს „ფერადი“ აქციაა დაანონსებული.

სხვათა შორის, დღის ბოლოს, საპატრიარქოს ოფიციალურ მოთხოვნებს თბილისის მერიაც გამოეხმაურა და მოქმედი ხელისუფლებაც. მერიამ ყველას კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ აქციის ჩატარების შესახებ სხვადასხვა ჯგუფი მას უბრალოდ გამაფრთხილებელ შეტყობინებას უგზავნის და ნებართვას არ სთხოვს: **„თბილისის მერიაში 2 მაისს შემოვიდა „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ პროექტის მენეჯერის, ეკა წერეთლის განცხადება 2013 წლის 17 მაისს, პარლამენტის ყოფილი შენობის წინ, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით აქციის გამართვის თაობაზე. 13 მაისს მერიას მომართა მოქალაქე გიორგი გაბედავამ, რომ 17 მაისს, ეკლესიის მოძღვართა მიერ, საკუთარი მრევლთან ერთად, იგეგმება შეკრება-მანიფესტაცია პირველი გიმნაზიის მიმდებარე ტერიტორიაზე. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შეკრების ჩატარებისას, თვითმმართველი ერთეულის მხოლოდ გაფრთხილება ხდება და არა მასზე ნებართვის გაცემა. შესაბამისად, თბილისის მერიის მიერ, ორივე აქციის თაობაზე გაფრთხილებულ იქნა შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი“,** — ნათქვამია მერიის განცხადებაში. მოქმედი ხელისუფლებიდან კი საპატრიარქოს პარლამენტის თავმჯდომარემ, **დავით უსუფაშვილმა** უპასუხა და სრულიად საქართველო დაამშვიდა, პოლიცია მოწოდების სიმაღლეზე იქნება და დაპირისპირებას თავიდან ავიცილებთო: **„ყოველგვარი ძალადობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგი ვარ. ეს უნდა იქცეს ჩვენი ცხოვრების წესად — ქვეყანაში არ უნდა ილახებოდეს ვინმეს უფლებები. როცა ზოგადად, უმცირესობის უფლებებზეა საუბარი, ერთხელ და სამუდამოდ, შევთანხმდეთ — უმცირესობას იმიტომ ჰქვია ეს სახელი, რომ უმრავლესობა სხვაგვარად ფიქრობს! რაც შეეხება კონკრეტულ აქციებს, როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, სახელმწიფო და ცენტრალური ხელისუფლება იმისთვისაა, რომ დაიცვას ყველა მოქალაქის უფლება და თავისუფლება, მიუხედავად მათი შეხედულებებისა. კონსტიტუციაში განსაზღვრულია, ვის რა უფლებები აქვს, ამიტომ კეთილი ვინებოთ და, ამ უფლებებში ჩავეტიოთ“.**

სკანდალი

# ქართული ოცნების შემომწირველი ფიზიკური პირები ისევ დამნაშავეებად ითვლებიან?!

*მე-6 გვერდიდან*

„ვერსია“ აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარეს, **მიხეილ სარჯველაძეს** დაუკავშირდა, რომელმაც არა მარტო რომან კუსიანთან, არამედ შემომწირველ ფიზიკურ პირებთან დაკავშირებით, ექსკლუზიური ინტერვიუ მოგვცა:

**— ბატონო მიხეილ, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ შემომწირველი ფიზიკური პირების ქონებას ყადაღა მოხსნა, მაგრამ სამართლებრივად, ყველაფერი წესრიგში არ არის და ქონება კვლავ ყოფილ მფლობელებს ეკუთვნის, თან არც ეკუთვნის... რა ხდება სინამდვილეში?**

— არჩევნების შემდეგ, როდესაც სასამართლოში ამ ტიპის საქმეები შეჩერდა, წარმოება ყველაზე შეწყდა და, შესაბამისად, არსებული ყადაღა მოიხსნა. ბუნებრივია, გარკვეული რესტიტუცია (ძველი, უფლებრივი მდგომარეობის აღდგენა, — ავტ.) გათვალისწინებული იყო, მაგრამ მხოლოდ კანონით ქონება ვერ დაჯარიმდებოდა, თუ აღსრულების საფუძველი არ იარსებებდა. ამ შემთხვევაში, სასამართლოს დადგენილებები წარმოდგენილი იყო და სწორედ ამ დადგენილებების მიხედვით წარმოებული აღსრულება ქმნიდა პრობლემებს. მეორე კატეგორიის პრობლემა უკავშირდება უკვე ჩატარებულ, განხორციელებულ აღსრულებებს, სადაც რეალიზებული იყო ქონება. ჩვენი აუქციონის წესი ისეთია, რომ ქონება საბაზრო ღირებულების ნახევარ ფასად გადის ან შესაძლოა, ნულოვან აუქციონზე გაიყიდოს. მაგალითად, თუ იმ უსამართლობის შედეგად, ადამიანმა 10 000 დოლარად ღირებული ნივთი დაკარგა, აუქციონზე 5 000 დოლარად შემოვა, არადა, თუ ამ ადამიანს 5 000 დოლარს დავუბრუნებთ, ეს მის რეაბილიტირებას არ ნიშნავს. აღსრულების ეროვნული ბიურო ამ თანხის კომპენსირებას ვერ მოახდენდა, რადგან ჩვენი უწყება, უშუალოდ, ამ დადგენილებების გამოცემაზე პასუხისმგებლობას ვერ აიღებდა, თუმცა კარგად გვესმის, რომ ამ ადამიანებისთვის მინიჭებული რეაბილიტირების უფლება მნიშვნელოვანია და ამის უკონტროლოდ დატოვება არ შეიძლება. გაგვიჭირდებოდა გვეთქვა, რომ სასამართლოს ესა თუ ის გადაწყვეტილება სწორი იყო თუ არა, რადგან იუსტიციის სამინისტროში არსებული გუნდი განუხრელად იცავს კანონს და ყველა უწყება კანონით მინიჭებულ უფლებას ასრულებს. მესმის, საკმაოდ არაპოპულარულია ჩვენი ბიურო, მაგრამ კანონი კანონია, რომელიც უნდა აღსრულდეს.

**— რომან კუსიანთან დაკავშირებით რა ხდება, რატომ გაასაჩივრეთ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც კუსიანმა პროცესი მოგიგოთ?**

— რამდენიმე გარემოება უნდა მივიღოთ მხედველობაში. პირველი — აბსოლუტურად ლეგიმიტურია, როდესაც სასამართლო დავაში ერთ-ერთი მხარე ასაჩივრებს, თუ ის არ ეთანხმება გადაწყვეტილებას, მეორე — მესმის, რომ ინსტიტუციურად არაფერი შეცვლილა ჩვენს დაწესებულებაში, ხელმძღვანელი პირის შეცვლა არ ნიშნავს, რომ ახალი უწყება გვაქვს. აგიხსნით, რაზეა დავა, რომან კუსიანის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთზე ჩატარდა აუქციონი, მაგრამ ჩემი ინფორმაციით, ეს უძრავი ნივთი არასწორად იყო შეფასებული. შესაბამისად, მიიღეს გადაწყვეტილება აუქციონის შეწყვეტის შესახებ. ცალკეულ ადამიანებს რა მოტივაცია ჰქონდათ, არ ვიცი, თუმცა როდესაც აუქციონი შეწყდა, რომან კუსიანმა დააფიქსირა, რომ ეს იყო უკანონო გადაწყვეტილება, რადგან აუქციონი დასრულებული იყო, სადაც ქონება სხვა ადამიანმა შეიძინა. რამდენადაც ვიცი, აუქციონზე გატანილი ქონება ბატონი რომანის მეუღლემ „შეიძინა“. მარტივად აგიხსნით, ბატონი რომანი ასაბუთებდა, რომ აუქციონზე მისი ქონება გაიყიდა, ხოლო აღსრულების ეროვნული ბიურო საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. ეს დამოკიდებული იყო ერთ დეტალზე. თუ აუქციონი განსაზღვრული ვადის ამოწურვის შემდეგ შეწყდა, რა თქმა უნდა, უკანონო იყო, მაგრამ თუ აუქციონი დასრულებამდე, თუნდაც 1 წამით ადრე შეწყვიტეს, ეს კანონიერი ქმედება გახლდათ. როდესაც ეს საკითხი შევისწავლე, შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს ფაქტი სრულყოფილად არ იყო გამოკვლეული. როგორც იცით, აუქციონს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო ატარებს და ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, ამ უწყებას მივმართეთ. დაზუსტებული ინფორმაციით, აუქციონი დასრულებამდე შეწყდა.

**— უკაცრავად, მაგრამ არ მესმის, რას ასაჩივრებთ?**

— პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, აუქციონი უკანონოდ შეწყდა და აქედან გამომდინარე, უნდა დაგვეფიქსირებინა რომან კუსიანის წინააღმდეგ ჩატარებული აუქციონის შედეგი. უცნაური ვითარება, მაგრამ ჩვენ დაინტერესებულები ვართ, რომ ჩვენი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაში დარჩეს. სიმართლე გითხრათ, ამ აქტის უკანონობას ვერ ვხედავდი და ვფიქრობდი, ამ ადამიანის წინააღმდეგ სააღსრულებო ღონისძიების ჩატარება მისთვისვე იქნებოდა ცუდი. თქვენს კითხვას დავაზუსტებ, ჩვენ არაფერს არ ვასაჩივრებთ, რადგან სარჩელი არ შეგვიტანია. აქ ერთი დეტალია, არ მახსოვს ვის, მაგრამ ვიღაცას ტელეფონზე მესიჯი მიუვიდა, რომ აუქციონი დასრულდა და გამარჯვებულიც ჰყავს. როგორც ამიხსნეს, ტექნიკურად, იმდენად სრულყოფილი სისტემა არ არის, რომ აუქციონის შეწყვეტა-შეჩერების შემთხვევაში, სისტემის ბლოკირება შეიძლებოდეს, ამიტომ ბოლოს დაფიქსირებული ბიჯის ავტორთან მესიჯი მაინც გაიგზავნა. აი, ამ ფაქტზე დაყრდნობით გამოიტანა პირველი ინსტანციის სასამართლომ ის გადაწყვეტილება. ნებისმიერ შემთხვევაში, დაველოდებით სასამართლოს გადაწყვეტილებას და იმის მიხედვით ვიმოქმედებთ, როგორი შედეგიც დადგება. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო იტყვის, რომ არ უნდა შეწყვეტილიყო აუქციონი, ქონება გადაეცემა ბატონი რომანის მეუღლეს და იმის გამო, რომ ქონება იაფად გაიყიდა, რა თქმა უნდა, ზიანის დაბრუნების ვალდებულებაც გაჩნდება. თუ სასამართლოს წავაგებთ, მაშინ ბატონ რომან კუსიანს დაუბრუნდება მისი კუთვნილი უძრავი ნივთი და ზიანის დაბრუნების ვალდებულება აღარ იარსებებს.

# „ეს იყო შეგნებულად გავრცელებული ჭორი ჩვენი დისკრედიტაციისთვის, რამაც ვერ იმუშავა“

ეკა სეხნიაშვილი

**ცაგერის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც „ნაციონალური მოძრაობა-მაჟორიტარები“ დატოვა და ახლადშექმნილ დამოუკიდებელ მაჟორიტარებში გაწევრიანდა. დეპუტატი სერგო ხაბულიანი აცხადებს, რომ ნაციონალებიდან გამიჯვნა ჯერ კიდევ ე.წ. ციხის კადრების გამოჩენისთანავე გადაწყვიტა და ხმები დამოუკიდებელი მაჟორიტარების გადაბირებაზე მხოლოდ შეგნებულადაა გავრცელებული. „მაჟორიტარის ტრიბუნას“ „ვერსია“, ამჯერად, ცაგერის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს, სერგო ხაბულიანს უთმობს.**



რატომ დატოვა ცაგერის მაჟორიტარმა დეპუტატმა ნაციონალები და რას სთავაზობდნენ ივანიშვილის გარემოცვიდან?!

**— ბატონო სერგო, დეპუტატობამდე ბიზნესში საქმიანობდით. ამ გადასახედიდან, პარლამენტარობა უკეთესია თუ ბიზნესმენობა?**

— ჩემი შეფასებით — ბიზნესმენობა. დეპუტატის მანდატი უფრო მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს — საქმე უკვე მოსახლეობის ინტერესებთან გაქვს, მათ კეთილდღეობასთან და არა კომპანიის ბიზნეს-საქმიანობასთან. ცაგერის რაიონში 15 000-მდე ადამიანი ცხოვრობს... ამ ხალხის ნდობის გამართლება პატარა საქმე არ გახლავთ.

**— დაახლოებით, 15 ათასი ადამიანის გული როგორ მოიგეთ?**

— წარმოშობით ლეჩხუმელი ვარ, იქ დავიბადე და გავიზარდე. დეპუტატობაზე არასოდეს მიფიქრია, მაგრამ ჩემი კუთხეც არასოდეს მიმიტოვებია. მუდმივად ვცდილობდი, ახლოს ვყოფილიყავი, არსებულ პრობლემებს არასოდეს გავურბოდი და შეძლებისდაგვარად, გვერდით ვედექი.

**— უკვე 7 თვე გავიდა, რაც დეპუტატად აგირჩიეს. თქვენ ერთ-ერთი პირველი იყავით, ვინც ნაციონალური მოძრაობის ფრაქცია დატოვა და დამოუკიდებელ, უპარტიო მაჟორიტარებში გადავიდა. ამ გადაწყვეტილებას, თავის დროზე, სკანდალიც მოჰყვა...**

— არჩევნების პირველივე დღიდან განსაზღვრული მქონდა და ჩემი ამომრჩევლისთვისაც არასოდეს დამიმალავს, რომ ოპოზიციაში არასოდეს ვიქნებოდი. გულწრფელად, ასეთი გახლდათ ჩემი მიდგომა. ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე. მიმაჩნია, რომ ჩემს ლეჩხუმელებს არაფრად სჭირდებათ ოპოზიციონერი მაჟორიტარი დეპუტატი. ეს რაიონი შემოსავლებით, ფაბრიკა-ქარხნებითა და სასარგებლო წიაღისეულით განებივრებული არაა და დაპირისპირება, პოლიტიკური გარჩევა მას უფრო უკან დახევს. ჩემს პოლიტიკურ ნაბიჯებს რაიონს ვერ შევწირავდი. ვაპირებთ, რაიონში გავხსნათ ხილის გადამამუშავებელი ქარხანა. ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ახლახან გადაწყვიტა ის, რასაც ლეჩხუმი ელოდება ხუთი ათეული წლის განმავლობაში — გაკეთდეს ქუთაისი-ალპანა-ჭრებალოს გზის 60-კილომეტრიანი მონაკვეთი. მიზნად გვაქვს დასახული წყლისა და შიდა გზების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულება... 2013 წლის დასასრულს, რაიონი შვებას იგრძნობს, მომავალი წლიდან კი, სრული რეაბილიტაცია მოხდება.

**— თავის დროზე, მაჟორიტარობის კანდიდატად თქვენმა დასახელებამ, იმთავითვე, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მართლა არ გინდოდათ და „ნაციონალების“ „ვერხუშკა“ ჩაერია, რომ თანხმობა გეთქვათ არჩევნებში მონაწილეობაზე?**

— „ზემოდან“ მოხდა თუ არა ჩარევა, ამას დღეს მნიშვნელობა აღარც აქვს — ფაქტია, მაჟორიტარი ვარ, თუმცა მაშინ, მაინცდამაინც არ ვიყავი მაჟორიტარად ჩემი კანდიდატურის დაყენების მომხრე. ერთი მხრივ, კარგია, რომ დავთანხმდი. მოსახლეობასთან პირდაპირი და აქტიური კონტაქტი მაქვს, ჩემი ბიუროს კარი მათთვის მუდმივად ღიაა და შემიძლია, ზუსტად გითხრათ, როგორ მიმდინარეობს რაიონში ხვნა-თესვა, სად რომელი ტრაქტორი მუშაობს...



**— თქვენ ხომ ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი კანდიდატი იყავით. მათგან გასვლა ერთგვარ უხერხულობას არ გიქმნით? ამ თემაზე აქამდე არც გისაუბრიათ...**

**— ადამიანური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ასეთი მოქმედებები, გარკვეულწილად, უხერხულია, მაგრამ ე.წ. ციხის კადრებმა გარკვეული ზემოქმედება მოახდინა ბევრის, მათ შორის ჩემს შეხედულებებზე. გარდა ამისა, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ჩემი რაიონის მცხოვრებთა ინტერესებს საკუთარ შეხედულებებზე მაღლა ვაყენებ და ამიტომ არ გამიჭირდა ამ გადაწყვეტილების მიღება, მით უმეტეს, „ვალში“ არავისთან ვყოფილვარ. არჩევნებამდეც უკვე განსაზღვრული მქონდა, რომ ამ გუნდთან არ დავრჩებოდი. სკანდალური „ციხის კადრები“ იყო ერთგვარი ლაკმუსის ქაღალდი ჩემი პოლიტიკური შეხედულებებისთვის.**



ნაციონალური მოძრაობა უმრავლესობით რომც გასულიყო პარლამენტში, მაინც დავტოვებდი მას და დამოუკიდებელ მაჟორიტარობას ვარჩევდი. როგორც კი ეს კადრები გამოჩნდა, კანდიდატურის მოხსნა გადავწყვიტე, მაგრამ ჩემს უკან იდგა დიდი გუნდი რაიონიდან, ჩემი გულშემატკივრები, აპარატი... მათ გავუწიე ანგარიში და კანდიდატურა არ მოვხსენი.

**— თუმცა, დღეს თქვენი ოპონენტები ხშირად აცხადებენ, სერგო ხაბულიანი წინა ხელისუფლების დროს, ბიზნესში სასათბურე პირობებში იმყოფებოდა და საგზაო ტენდერებითაც გახლდათ განებივრებულიო...**

**— განებივრებული ნამდვილად არ ვყოფილვარ, პირიქით — მე ვანებივრებდი სხვებს. სამშენებლო კომპანია ნულიდან ავაწყვეთ, ჭანჭიკიც კი არავის უჩუქებია ჩვენთვის და მეგობრებთან ერთად, ავამუშავე ყველაფერი. ვინ იყო ჩვენი პატრონი, დაუმსახურებლად ვინ მოგვაგებინებდა ტენდერს? მაგალითად, საგზაო დეპარტამენტში ტენდერი იყო ცაგერში შიდაგზების მოასფალტებაზე. იქ სრული ბაზა გამაჩნია — ბეტონის, ასფალტის ქარხანა... ტენდერი მოიგო უცხოურმა, კერძოდ აზერბაიჯანულმა კომპანიამ, რომელმაც ვერ შეასრულა სამუშაოები და ბოლოს, მე დამავალეს საქმის დასრულება. ჩვენმა კომპანიამ ფინანსურად იზარალა კიდეც ამის გამო. ასე რომ, ნამდვილად ვერავინ წამომაყვედრებს, წინა ხელისუფლებისგან ხელშეწყობა გქონდაო.**

**— უპარტიო მაჟორიტარებში თქვენი გადასვლისთანავე გაჩნდა ვერსია, რომ ბიზნესიდან მოსული დეპუტატების ნაწილი, ივანიშვილის გარემოცვამ გიყიდათ ან სხვა ბიზნეს-ფაქტორის გამო, იძულებულები იყავით, ასე მოქცეულიყავით...**

— ეს ჭორი შეგნებულად გაავრცელეს ჩვენი დისკრედიტაციისთვის, რამაც ვერ იმუშავა. ივანიშვილის გუნდიდან არათუ ერთი ზარი, ერთი გადალაპარაკება ან მინიშნებაც არ ყოფილა ამის თაობაზე. ჩემთან არავინ მოუგზავნიათ და საჭიროც არ იყო, რადგან ისედაც გადაწყვეტილი მქონდა ჩემი შემდგომი ნაბიჯი.

**— ეს პარლამენტი უკვე 7 თვეა ფუნქციონირებს. დროის ამ მონაკვეთში საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის მუშაობას როგორ შეაფასებთ?**

**— არის ძალიან ბევრი საკითხი, რომელიც იწვევს ჩემს უკმაყოფილებას. მაგალითად, უმცირესობის აკვიატებული მიდგომები ზოგიერთ საკითხთან, ვთქვათ, ოკუპაციის შესახებ კანონთან დაკავშირებით. როცა ქვეყნის 20 პროცენტი დაკარგული გაქვს, რაღაც წვრილმანებს არ უნდა გამოეკიდო. ასევე, შრომის კოდექსთან, დამქირავებლისა და დაქირავებულის უფლებებთან დაკავშირებით მაქვს გარკვეული შენიშვნები უმრავლესობასთან. ვფიქრობ, პრემიერ-მინისტრი, როგორც სერიოზული ბიზნესიდან მოსული ადამიანი, ზუსტად აფასებს შრომის კოდექსის განსაკუთრებულ როლს ბიზნესმენებისა და ინვესტიციების მოზიდვის საქმეში და მივიღებთ ისეთ კოდექსს, რომელიც არც ერთ მხარეს არ დააზარალებს. პრემიერი ის ადამიანია, რომელმაც ბიზნესის ხელშეწყობის ფასი იცის და ვფიქრობ, ყველაფერს გააკეთებს მისი განვითარებისთვის.**

# "სასამართლოს დამოუკიდებლობა, ქვეყნის ევროპისკენ წამყვანი გზაა"

*"მოსამართლე არ უნდა იყოს ქვეყანაში მომხდარ პოლიტიკური ცვლილებებზე დამოკიდებული, რამდენჯერაც არ უნდა შეიცვალოს პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი, მოსამართლეს არ უნდა ჰქონდეს განცდა, რომ ის ამ ცვლილებების მონაწილეა. მას თავის საქმე უნდა ჰქონდეს გასაკეთებელი და თუ მას მოუწევს მაგალითად, ფინანსთა მინისტრის, ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის სარჩელის განხილვა, მან საქმე უნდა განიხილოს ობიექტურად. სასამართლომ ახლა უნდა აჩვენოს, რომ მართალია, პოლიტიკური ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ სასამართლო სისტემა ხელშეუხებელია," - აცხადებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი, რომელთან ვრცელ ინტერვიუსაც ქვემოთ გთავაზობთ.*



**- ბატონო კოტე, პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც უნდა შეიცვალოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტებისა და საქმიანობის წესები, თქვენ კანონპროექტთან დაკავშირებით გქონდათ შენიშვნები, რომელიც მთავრობამ მოგვიანებით გაითვალისწინა, ეთანხმებით კანონის ახალ ვარიანტს?**

- თავიდან დავიწყებ და გეტყვით, რომ კანონპროექტის ძალზე დიდი ნაწილი ჩვენთვის მისაღები იყო და არის ახლაც. მეტიც, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად თავად ვმუშაობდით მათზე. ჩვენი მუშაობის პირველი ეტაპი დამთავრდა იმით, რომ 2012 წლის გაზაფხულზე პარლამენტმა "საერთო სასამართლოების შესახებ კანონში" ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა. მეორე ეტაპი უნდა დაგვეწყო, შემუშავებული გვქონდა ცვლილებების პაკეტი და 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ იუსტიციის სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ ეს პაკეტი თვითონ წარმოადგინა. ასე, რომ ჩვენთვის ამ კანონპროექტში ახალი არაფერი იყო, მას ვეთანხმდებოდით და მისაღებიც გახლდათ, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ ჩვენს მიერ მომზადებულ საკანონმდებლო პაკეტს შემდეგ დაამატა. სწორედ ამ დამატებული ნორმების წინააღმდეგ გამოვთქვით სამართლებრივი შენიშვნები, რადგანაც მივიჩნიეთ, რომ ჩამატებები სამართლებრივად დაუსაბუთებელი იყო.

საუბარია, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეთა არჩევის წესზე, რა დროსაც მათი ვარიანტით, სასამართლოს და კოლეგიების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები, ასევე, თავმჯდომარეები, რომელთაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში ეკავათ ეს პოსტი, ვერ მიიღებდნენ მონაწილეობას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის არჩევნებში და მეორე საკითხი, რომელზეც კრიტიკული სამართლებრივი შენიშვნა გამოვთქვით იყო ის, რომ კანონპროექტის მიხედვით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოქმედ წევრებს უნდა დაეტოვებინათ თანამდებობები. ორივე შეზღუდვაზე გამოვთქვით შენიშვნები, მეტიც, ჩვენი მოთხოვნა იყო, რომ კანონპროექტი გაგზავნილიყო ვენეციის კომისიაში, სადაც გაკეთდა დასკვნა.

ვენეციის კომისიის რეკომენდაციის ნაწილი მთავრობამ გაითვალისწინა და გარკვეული დათმობები მოხდა. კანონპროექტში შეტანილი ცვლილებებით ახლა ყველას აქვს უფლება იყაროს კენჭი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად. რაც შეეხება მოქმედ წევრებს, ამ ნაწილში ცვლილება არ მომხდარა, მართალია, რაღაც გასწორება მოხდა, მაგრამ ეს საკითხი მაინც სამართლებრივად ხარვეზიანია. ვთვლი, რომ მოქმედი წევრებიდან შეიძლებოდა მაქსიმუმ 4-ის მიმართ, რომელთაგან სამია თავმჯდომარე, გაგვევრცელებინა ვენეციის კომისიის რეკომენდაცია. მათ უნდა ჰქონოდათ არჩევანის უფლება - საკუთარი სურვილით გადამდგარიყვნენ თანამდებობიდან და მხოლოდ საბჭოს წევრობა აერჩიათ ან დარჩენილიყვნენ თანამდებობებზე და უარი ეთქვათ წევრობაზე. ახლანდელი კანონით, თავმჯდომარეებმა და მოადგილეებმა უნდა დატოვონ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობა, თუმცა მათ არ ეკრძალებათ არჩევნებში მონაწილეობა. შეუძლიათ თავიდან მიიღონ კენჭისყრაში მონაწილეობა. ჩვენი პოზიცია გაიზიარეს იმ ნაწილშიც, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობა შეუძლია კოლეგიის, პალატის ან სასამართლოს თავმჯდომარეებს და მოადგილეებს. თუ კანონპროექტის ადრინდელი ვარიანტით მოსამართლეების ნება იზღუდებოდა, მათი სურვილის მიუხედავად არ შეეძლოთ აერჩიათ თავმჯდომარეები ან მოადგილეები, ახლა ეს აკრძალვა მოხსნილია და არსებობს ქვოტა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს სამი წევრი შეიძლება იყოს კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე ან მოადგილე, თუ მას მოსამართლეები აირჩევენ.

**- გამოდის, რომ კანონის საბოლოო ვარიანტთან დაკავშირებით კრიტიკული შენიშვნები აღარ გაქვთ?**

- რაც გითხარით იმ საკითხებთან მიმართებაში სრულად უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ჩვენი შენიშვნები, რასაც ვენეციის კომისიაც იზიარებდა და რისი გასწორებაც ნაწილობრივ მოხდა. თუმცა, რაც არის იმ ვარიანტის მიხედვით, ჩვენი შენიშვნები ნაწილობრივ გაზიარებულია. მოსამართლეთა სურვილი, აირჩიოს წევრად თავმჯდომარე ან მოადგილე იგნორირებული არ არის და თუ კანონი ამოქმედდება იმ სახით როგორც ახლაა, ჩვენ ჩავატარებთ არჩევნებს და როგორი იქნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა ამას მოსამართლეები გადაწყვეტენ.

**- იმ ფონზე, როცა არსებობს პრეტენზია სასამართლო სისტემის პოლიტიზირებულობასთან დაკავშირებით, რა მოტივითაც მოხდა კანონის შეცვლა, გახდება ეს კანონი გარანტი იმისა, რომ საბჭოს წევრთა არჩევა დამოუკიდებლად, ჩარევის გარეშე მოხდება? და ახალ წევრთა არჩევა გახდება სასამართლოს დამოუკიდებლობის მიღწევის გარანტი?**

- საბჭოს ამჟამინდელი წევრებიც დამოუკიდებლად და ობიექტურად არჩეული არიან, ისინი დასახელდნენ მოსამართლეთა კონფერენციაზე და შემდეგ მოსამართლეებმა კანონის შესაბამისად კენჭისყრით აირჩიეს. ახალი არჩევნები, ცოტა განსხვავებული იქნება, ის ფარული კენჭისყრით ჩატარდება. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ძალზე მნიშვნელოვანი სტრუქტურაა და მას კონსტიტუციურად უმნიშვნელოვანესი ფუნქციები გააჩნია, დარწმუნებული ვარ მომავალ წევრებს კარგად ექნებათ გააზრებული მათი ვალდებულებები. თუმცა, იმის თქმა, რომ ახალი წევრების არჩევით სასამართლო სისტემაში რაღაც განსაკუთრებული მოხდება, არ შეიძლება.

ჩემი მოსაზრებით, სასამართლო სისტემის ბოლომდე სრულყოფილებისთვის, მისი სტაბილურობისა და დამოუკიდებლობის ხარისხის ბოლომდე მისაღწევად, მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ცვლილება არ არის საკმარისი. ამ პროცესების სრულყოფილების გარანტი, მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ძალაში შევა საკონსტიტუციო ნორმა, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეები უვადოდ დაინიშნებიან. კონსტიტუციაში დატოვებულია შესაძლებლობა, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეები თავდაპირველად გარკვეული გამოსაცდელი ვადით დაინიშნებიან, თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ უვადო დანიშვნა ყოველგვარი გამოსაცდელი ვადის გარეშე მოხდეს. ჩემი აზრით, მოსამართლეები უვადოდ უნდა დაინიშნონ და გამოსაცდელი ვადის გამოყენება არ არის საჭირო, რადგანაც, ჩვენ გვაქვს ძალიან კარგად აწყობილი სისტემა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მოსამართლეთა გადამზადება-დანიშვნისა. გარდა ამისა, ჩემი მოთხოვნაა მთავრობისადმი, რომ დღეს მოქმედი მოსამართლეებიც გადაინიშნონ უვადოდ. ზოგმთგანს დარჩენილი აქვს 1, 2, 3, 4 წელი და ა.შ. თუ ასე არ მოხდება, სასამართლო სისტემაში არასტაბილური პროცესის ხელშეწყობა მოხდება, რადგანაც, მოსამართლეები ვადის გასვლის მოლოდინში იქნებიან და მომავალ სამსახურებრივი საქმიანობის გაგრძელებაზე ფიქრში, რაც სიფხიზლესა და ყურადღების მოდუნებას გამოიწვევს და პროფესიონალიზმისა და ობიექტურობის ხარისხის ვარდნას. ვთვლი, რომ კეთილსინდისიერ და პროფესიონალ მოსამართლეს, რომელიც უვადოდ დაინიშნება, სტაბილურობის უზარმაზარი განცდა აქვს, რაც პირდაპირ კავშირშია მათ გამართულ და ობიექტურ საქმიანობასთან. მოსამართლე, რომელიც დანაშაულს ჩაიდენს, მას უვადოდ დანიშვნა ვერ უშველს და ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა მასაც მოუწევს, რადგანაც, უვადოდ დანიშვნა არ ნიშნავს "უკვდავობას", დანაშაულის ჩადენისას მას იმუნიტეტი არ იცავს.

**- მივადექით თემას, რომელიც განსაკუთრებით ბოლო პერიოდშია ძალზე აქტუალური: ძალზე ხშირად მოისმენთ პრეტენზიებს სასამართლოს პოლიტიზირებულობასთან დაკავშირებით, ამ პრეტენზიაზე საუბრისას კონკრეტული საქმეების მაგალითებად დასახელებაც ხდება.**

- სასამართლოს მიმართ მსგავს განცხადებებს 1 ოქტომბრის შემდეგ, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები აკეთებდნენ, თუმცა, ბოლო პერიოდში მსგავსი შეფასებები აღარ კეთდება. ჩემი აზრით, ეს პრეტენზია მთლიანად სისტემის მიმართ არ არის გამოთქმული, რადგანაც, სისტემა ძირითადად, ობიექტურად და დამოუკიდებლად მუშაობს. ბრალდებები გარკვეული კატეგორიის საქმეებიდან გამომდინარეობს. ამ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებებზე პოლიტიკოსები მედიაში საუბრობენ და აცხადებენ, რომ ამა თუ იმ პირის დაპატიმრება პოლიტიკური ნიშნით მოხდა, რაც სრულიად დაუსაბუთებულია.

**- ბატონო კოტე, თქვენ არასდროს გითქვამთ, რომ სასამართლო სისტემა სრულად დამოუკიდებელია, ყოველთვის ამბობდით, რომ არსებობს ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრითაც სასამართლო სისტემის სრული დამოუკიდებლობას მივაღწევთ. მაინტერესებს, მიუხედავად მრავალწლიანი რეფორმისა რატომ ვერ მივიღეთ ბოლომდე შემდგარი სასამართლო სისტემა? რა არის ეს ხარვეზები?**

- გეთანხმებით, არასდროს არ მითქვამს, რომ სასამართლო სისტემა ბოლომდე დამოუკიდებელია და იმიტომ, რომ, როცა ამას ვამბობდი, ვგულისხმობდი მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნას. ეს არის ერთ-ერთი კონსტიტუციური სამართლებრივი გარანტია სასამართლოს ბოლომდე გამართულობისა. ამ რვა წლის განმავლობაში ჩვენ ვქმნიდით პირობებს, სადაც სასამართლო უნდა იყოს დამოუკიდებელი. გავზარდეთ მოსამართლეთა ხელფასები, რადგანაც, მოსამართლეთა ფინანსური დამოუკიდებლობაც სასამართლოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთი საფუძველია. მოვაგვარეთ მეორე საკითხიც - მოსამართლეებს ძალიან კარგი სოციალური პირობები შევუქმენით, გარდა ხელფასისა, მათ აქვთ კარგი სახელმწიფო დაზღვევა, სარგებლობენ სხვადასხვა შეღავათებით, რითაც მოეხსნათ სოციალური პრობლემები. შევქმენით იუსტიციის უმაღლესი სკოლა - მოსამართლეთა შერჩევისა და გადამზადების არაჩვეულებრივი სტრუქტურა. ახლა რვაწლიანი საქმიანობის შედეგებზე საუბარი ძალზე შორს წაგვიყვანს, მოკლედ კი გეტყვით, რომ ამ წლების მანძილზე ვქმნიდით სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის ძალზე საჭირო ბაზას, რომელზეც სტაბილური და დამოუკიდებელი სასამართლო მყარად დადგება. ერთადერთი რაც დარჩა გასაკეთებელი ესაა, მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა.

უვადოდ დანიშვნა კეთილსინდისიერი და პროფესიონალი მოსამართლეებისთვის ერთგვარად იმუნიტეტია, ის სრულად თავისუფალია თავის საქმიანობაში, ვერავინ მას ვერ შეეხება, გადაწყვეტილების გამოტანისას ვერავინ მიუთითებს რა, როგორ და რანაირად გააკეთოს. ეს არის ძალზე დიდი განცდა თავისუფლებისა, მოსამართლე არ იფიქრებს გარკვეულ სოციალურ თუ სხვა გარემო პრობლემებზე. ამიტომაც, როცა ვსაუბრობ სასამართლო სისტემის სტაბილურობაზე ზუსტად ეს მომენტები მაქვს მხედველობაში.

მოსამართლე არ უნდა იყოს ქვეყანაში მომხდარ პოლიტიკური ცვლილებებზე დამოკიდებული, რამდენჯერაც არ უნდა შეიცვალოს პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი, მოსამართლეს არ უნდა ჰქონდეს განცდა, რომ ის ამ ცვლილებების მონაწილეა. მას თავის საქმე უნდა ჰქონდეს გასაკეთებელი და თუ მას მოუწევს სიტყვაზე ფინანსთა მინის-

გაგრძელება შემდეგ გვერდზე

წინა გვერდიდან

ტრის, ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის სარჩელის განხილვა, მან უნდა განიხილოს ობიექტურად.

ის, რომ სასამართლო არ იყო სრულად დამოუკიდებლი სხვა სახის მიზეზებიც აქვს, ის გამომდინარეობს სხვადასხვა გარემო პირობებიდან, ურთიერთობებიდან, მენტალობიდან, ეს მიდგომები რადიკალურად უნდა შეიცვალოს და ჩვენ აქეთ ისედაც მივდიოდით.

ძალზე მნიშვნელოვანი მომენტია და გეტყვით: აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში, სადაც უკვე რამდენჯერმე შეიცვალა პოლიტიკური ხელისუფლება მაგალითები არსებობს, თუ როგორ მყარდებოდა ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად სასამართლო სისტემის უფრო მეტად მდგრადობა. რადგანაც, ძველ ხელისუფლებასთან მისი კავშირები იკარგებოდა, ახალთან ისედაც არ არსებობდა და მოსამართლეებს უჩნდებოდათ სურვილი ეჩვენებინათ, რა შეუძლიათ და რა არა. ასეთი პროცესი მიდის ახლა ჩვენთან და ეს სასამართლოსთვის და, შესაბამისად, ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი პროცესია.

**- 1 ოქტომბრის შემდეგ შეიცვალა სასამართლოში სიტუაცია?**

- რადიკალურად არაფერი შეცვლილა, უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ უკეთესად გამოჩნდა მოსამართლის ის საქმიანობა რასაც მანამდეც აკეთებდნენ, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ამას საზოგადოება ვერ ხედავდა. ახლა, საზოგადოებამ დაინახა, რომ მოსამართლეებს გამოაქვთ ბევრი ისეთი გადაწყვეტილება, რაც მანამდე ჩრდილში ექცეოდა. მაგალითისთვის გეტყვით, ადმინისტრაციული, საგადასახადო დავების 58 პროცენტი კერძო პირთა მოგებით სრულდებოდა, მაგრამ არ ჩანდა, რადგანაც, საერთო ფონი იყო სხვაგვარი.

ზემოთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითი ვახსენე და აქვე გეტყვით, რომ უცხოელებთან შეხვედრისას არა ერთხელ განგვიცხადეს, რომ ახლა ქვეყანაში დემოკრატიის არსებობა უნდა დაადასტუროს სასამართლო სისტემამ, ის, რომ ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები და ხელისუფლება მშვიდობიანი გზით შეიცვალა, დემოკრატიული განვითარებისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ ახლა სასამართლო სისტემამ უნდა თქვას გადამწყვეტი სიტყვა - პოლიტიკურ მოთამაშეებს თამაშის წესები უნდა დაუდგინოს თავის სამართლიანი გადაწყვეტილებით. სასამართლოს ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს ამ ეტაპზე ქვეყნისთვის გლობალური მნიშვნელობა აქვს და დიდი იმედი მაქვს, რომ სასამართლოს როლი კიდევ უფრო გამოიკვეთება.

**- ბოლო პერიოდში სასამართლო აღმკვეთ ღონისძიებად ხშირ შემთხვევაში არ იყენებს დაპატიმრებას, რაც ადრე არ ხდებოდა. რითაა გამოწვეული ეს ცვლილება? არსებული პრაქტიკა შეცვალა სასამართლომ თუ პროკურატურა გახდა უფრო ლმობიერი ?**

- ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ თითქოს ადრე აღმკვეთ ღონისძიებად უმეტეს შემთხვევაში, პატიმრობა გამოიყენებოდა, ეს ასე არ იყო და სტატისტიკას მოვიშველიებ: 2010 წელს აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებისას პატიმრობის გამოყენება 54 პროცენტი იყო, მომდევნო წელს - 49, 2012 წელს - 43 პროცენტზე ჩამოვედით. ეს ტენდენცია არსებობდა და გაგრძელდა 2013 წელსაც - ახლა დაპატიმრების მაჩვენებელი 25 პროცენტია. ამას ისიც განაპირობებს, რომ თუ ადრე პროკურატურა დაპატიმრების მოთხოვნით შემოდიოდა, ახლა საქმეების 8-10 პროცენტზე გირაოს ითხოვს, რამაც ბუნებრივია, შეცვალა პრაქტიკაც და შეიცვალა მოსამართლეთა მიდგომაც.

თავისთავად ეს ძალიან კარგი ტენდენციაა, ჩვენ ისედაც აქეთ მივდიოდით, მაგრამ როგორც გითხარით, არსებულმა სიტუაციამ პროცესი დააჩქარა და კარგია თუ ეს ასე გაგრძელდება.

**- საინტერესოა, როგორია მოსამართლეების განწყობა, მით უმეტეს, როცა მათ მიმართ არა ერთი პრეტენზია გამოითქმის.**

- 2 ოქტომბერს მე შევხვდი სასამართლოს თავმჯდომარეებს და ვუთხარი, რომ მიუხედავად პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილებისა, სასამართლოში არაფერი შეცვლილა და რომ ჩვენ ჩვეულ რიტმში გავაგრძელებდით საქმიანობს. თუმცა, ბუნებრივია, ისინი შეშფოთებული იყვნენ მათზე დაწყებული თავდასხმების გამო, მათ ვამშვიდებდი და ვეუბნებოდი, რომ ეს არის ვერბალურად გამოხატული აგრესია, არავის ხელმოსაკიდი არაფერი აქვს და თუ ჩვენ ჩვენს სიმაღლეზე ვიდგებოდით და ღირსეულად გავაგრძელებდით საქმიანობას, ეს ქვეყნისთვის იქნებოდა სასარგებლო და საზოგადოება გაარჩევდა მტყუან-მართალს. ასეც მოხდა და ბოლო პერიოდში შენელდა სასამართლოს კრიტიკა. მოსამართლეთა საერთო განწყობა დადებითია, ისინი თავიანთ საქმიანობას პასუხისმგებლობით აგრძელებენ. ჩვენ გვყავს პროფესიონალი მოსამართლეები, რომლებზეც არანაირი მოტივით გამოთქმული კრიტიკა არ მოქმედებს, რადგან იციან, რომ მათ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები დასაბუთებულია და ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე უმნიშვნელოვანესია.

იგივეს გავიმეორებ, სასამართლომ ახლა უნდა აჩვენოს, რომ მართალია, პოლიტიკური ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ სასამართლო სისტემა ხელშეუხებელია. სამწუხაროდ, ჩვენთან ასეთი მენტალობაა: ვფიქრობთ, რადგანაც, შეიცვალა ხელისუფლება, უნდა შეიცვალოს ყველა და ყველაფერი - ეს არ არის დემოკრატიული განვითარების გზა, ასე არ ხდება დემოკრატიულ ქვეყნებში. სასამართლოს პოზიციას - ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს ახლა ქვეყნისთვის აქვს დიდი მნიშვნელობა, ჩვენ ჩვენი ობიექტური გადაწყვეტილებებით უნდა შევინარჩუნოთ ამ სისტემის დამოუკიდებლობა, ამ ეტაპზე ეს მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის და არა რომელიმე კონკრეტული მოსამართლისთვის. სამართლებრივი სახელმწიფო ნიშნავს კანონით, სამართლით ზოგადად ხელისუფლების შეზღუდვას, იმ თამაშის წესების დადგენას, რაც კონსტიტუციით არის გარანტირებული დემოკრატიული განვითარებისთვის, ეს მოსამართლეებმა ძალიან კარგად იციან და გააზრებული აქვთ მათი ფუნქციები ამ პროცესში. ისინი ზუსტად ისე მოქმედებენ, როგორც უნდა იმოქმედოს ღირსეულმა მოსამართლემ.

**- ბატონო კოტე, ცოტა ხნის წინ თქვენი და პრემიერ-მინისტრის შეხვედრა შედგა, ამ შეხვედრის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა თქვენი, როგორც პროფესიონალის მიმართ განსაკუთრებული სიმპათია გამოხატა. საინტერესოა, რაზე ისაუბრეთ შეხვედრისას?**

- დადებითად ვაფასებ ფაქტს, როცა პრემიერ-მინისტრმა გამოიჩინა ინიციატივა და უზენაეს სასამართლოს ეწვია. შეხვედრაზე რა თქმა უნდა, ჩემს შესახებ არ გვისაუბრია, ვისაუბრეთ სასამართლო სისტემაში არსებულ სიტუაციაზე, წარმატებებზე, პრობლემებზე, იმ ყველაფერზე რაზეც ახლა ვსაუბრობთ.

პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ ის გარანტი იქნება სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის, რომ მისი ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს არ მისცემს უფლებას რაიმე სახის ზეგავლენა მოახდინოს სასამართლოზე.

პრემიერ-მინისტრს ვუთხარი, რომ ეს ყველაზე მთავარია და თუ ასე მოხდება, თუ სასამართლოზე არ მოხდება ხელისუფლების ზეგავლენა, შედეგიც შესაბამისი იქნება - სასამართლო ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს გამოიტანს. პრემიერ-მინისტრს ვუთხარი, როცა ვხვდები მოსამართლეებს ვეუბნები: მართალია, თავს გესხმიან, მაგრამ არ აყვეთ ემოციებს, საქმეები ობიექტურად განიხილეთ, ხელისუფლებაში ვინც არ უნდა იყოს, თუ სწორი, მყარი პოზიცია აქვს, უნდა დაადგინოთ, რომ ის სწორია, თუ არ არის თავის პოზიციებში მყარი, არც ამის თქმას მოერიდოთ-მეთქი.

მე და პრემიერ-მინისტრმა ვისაუბრეთ არსებულ ხარვეზებზე, მას შეკითხვები ჰქონდა არა კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით, ზოგადად, სასამართლოს პროცედურულ საკითხებზე. პრემიერს მივაწოდე დეტალური ინფორმაცია თუ როგორაა პროცედურული საკითხები კანონმდებლობით მოწესრიგებული. მაგალითად, თუ როგორ ნაწილდება საქმეები, რასაც კანონი არეგულირებს. რა არის სპეციალიზაცია და რატომ შემოვიღეთ, რომ ეს სისწრაფეს და ხარისხს მატებს სასამართლო სისტემას... დეტალურად ვისაუბრეთ მსგავს საკითხებზე, შიდა სტრუქტურულ თემებზე და, საბოლოო ჯამში, შევთანხმდით რომ არ მოხდება სასამართლო სისტემის საქმიანობაში პოლიტიკური ან სხვა სახის ჩარევა. ეს კარგი იქნება არა მარტო სასამართლოსთვის, კარგი იქნება ქვეყნის განვითარებისთვის, რაც ვუთხარი პრემიერს და ისიც დამეთანხმა. აი, ეს იყო ჩვენი შეხვედრის თემა.

ასე, რომ მიუხედავად პატარ-პატარა ხარვეზებისა, სასამართლო ცდილობს იყოს ობიექტური და დამოუკიდებელი, რაც იქნება ამ ქვეყნის ევროპისკენ წამყვანი გზა.

# უზენაეს სასამართლოში მართლმსაჯულების მუზეუმი" გაიხსნა





*უზენაეს სასამართლოში მოსამართლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება "მართლმსაჯულების მუზეუმის" საზეიმო გახსნით დაიწყო. მართლმსაჯულების მუზეუმი" უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილმა, იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ დავით ცხადაძემ გახსნეს. ღონისძიებაზე მოწვეულები იყვნენ კულტურისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელები, ის პირები, ვინც მონაწილეობა მიიღო სამუზეუმო ექსპონატების მოძიებაში.*

მუზეუმში ყველა ის ნივთი და ატრიბუტია განთავსებული, რომელიც მართლმსაჯულებასთან ისტორიულადაა დაკავშირებული.

"მოგეხსენებათ, რომ უზენაესი სასამართლოს შენობა ისტორიული ძეგლია და თითოეული ოთახი, სხდომის დარბაზი მართლაც ისტორიული ღირებულებისაა. სწორედ ამიტომ, ვცდილობთ, ყველაფერი ეს ხელუხლებლად შევინახოთ და მომავალ თაობებს გავაცნოთ ეს შენობა, როგორც ძეგლი, ასევე სხვადასხვა ნივთები, მართლმსაჯულებისთვის აუცილებელი ატრიბუტები, რაც წლების განმავლობაში შემონახულა უზენაეს სასამართლოში. სწორედ ეს იყო საფუძველი იდეისა, რომ უზენაეს სასამართლოში შექმნილიყო "მართლმსაჯულების მუზეუმი". ის ღია იქნება ყველა მსურველისთვის. შევეცადეთ ყველა ნივთი, რომელიც მართლმსაჯულებასთან ასოცირდება, გამოგვეფინა და ახალგაზრდებისთვის მიგვეცა საშუალება, ეხილათ მართლმსაჯულების ისტორია," - განაცხადა კონსტანტინე კუბლაშვილმა მუზეუმის გახსნისას.

**"ჩვენ დიდი სამართლებრივი კულტურის ერი ვართ და ეს არასდროს არ უნდა დაგვავიწყდეს,"** - განაცხადა გახსნის ღონისძიებაზე იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

პროექტს ახორციელებს
"საზოგადოებრივ ინიციატივათა ჯგუფი"
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com

# მსოფლიოში სასურსათო კრიზისი იწყება!



## გაერო-ს სურსათის უვნებლობის სამსახური მოსახლეობას მოუწოდებს, ხოჭოებითა და მატლებით იკვებოს

მერაბ ბერიძე

**საკვები პროდუქტების ვარგისიანობა ის საკითხია, რომელიც ყველას აწუხებს. საქართველოში დღემდე ბევრი ისეთი პროდუქტი იყიდება, რომელიც ევროპის განვითარებულ ქვეყნებში აკრძალულია. მაგალითისთვის, ბაზარი წალეკა უცხოეთიდან შემოტანილმა გაყინულმა ხორცმა, რომლის წარმოშობა და შემადგენლობა, რბილად რომ ვთქვათ, ეჭვს აღძრავს. არ წყდება საუბარი გენმოდიფიცირებული პროდუქტების ავკარგიანობაზე და ამ ფონზე, ჯანმრთელობისთვის სასარგებლო პროდუქტის შეძენა რეალურად რთულია. ამ პრობლემაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯანმრთელი სამყაროს“ ხელმძღვანელს, ზურაბ ფუტკარაძეს ვესაუბრეთ.**

— მომხმარებლის უფლებები ნაკლებადაა დაცული. 2005 წელს მიიღეს კანონი სურსათის უვნებლობის შესახებ. შეიქმნა ახალი სამსახური, სურსათის ეროვნული სააგენტო, რომელსაც კვების პროდუქტები და უსაფრთხოება უნდა ეკონტროლებინა, მაგრამ კანონის სხვადასხვა მუხლი, რეალურად, არ მუშაობდა და ეს სამსახური წლების განმავლობაში გაჩერებული იყო. ჩვენ ევროპულ თანამეგობრობაში ინტეგრაციას ვაპირებთ და ევროკავშირის ერთ-ერთი მოთხოვნაა, აღნიშნული სამსახური სრული დატვირთვით ამუშავდეს. ამისთვის, 2012 წელს გარკვეული ღონისძიებები გატარდა, მაგრამ ეს ზღვაში წვეთი იქნება იმასთან შედარებით, რაც ნორმალურ ქვეყანაში უნდა კეთდებოდეს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალ წლებში კონტროლი გამკაცრდება და ბაზარი მაქსიმალურად უსაფრთხო გახდება. დღეს ჩვენი მოქალაქეები დაცულები არ არიან — გაუგებარია, სად, რა იწარმოება, როგორ, რა პირობებში ხდება მისი რეალიზაცია... ამას ისიც ემატება, რომ გაურკვეველია, უცხოეთიდან რა საკვები პროდუქტები შემოდის და რა დანამატებს ვიღებთ.

**— პრობლემის გადასაჭრელად სურსათის უვნებლობის სამსახურის ამოქმედების გარდა, კიდევ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას?**

— თავდაპირველად, უნდა აღინიშნოს, რომ სურსათის უვნებლობის სამსახურს ბიზნესოპერატორების ინსპექტირება ევალება, მაგრამ შტატების რაოდენობა არასაკმარისია, თან რაიონში თბილისიდან უნდა ჩავიდეს თანამშრომელი და ადგილზე ჩაატაროს შემოწმება; ამიტომ აუცილებელია, გარკვეული შტატები ყველა რაიონში გამოიყოს, ამ სამსახურის წარმომადგენლები აუცილებლად უნდა იყვნენ საბაჟოზეც, რისი გავლითაც შემოდის უცხოური პროდუქცია. დღეს იქ არიან შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც ვერ ერკვევიან, რა პროდუქტი, რატომ შემოდის და მისი შემოტანა-მიღების შემდეგ, რა შედეგი შეიძლება დადგეს. გასარკვევია დოკუმენტაციის საკითხიც და ეს ყველაფერი ერთ კომპლექსში უნდა განვიხილოთ. როგორც ვიცი, მთავრობაში მზადდება ღონისძიებები, რათა ამ კუთხით არსებული მდგომარეობა გამოსწორდეს. იმედია, სისტემის ამუშავების შემდეგ, ბაზარი უფრო უვნებელი გახდება.

**— სანამ ამას მივაღწევთ, მომხმარებელმა როგორ უნდა მოახერხოს უვარგისი საკვები პროდუქციისგან თავის დაზღვევა?**

**— ზაფხული მოდის და მალფუჭებადი პროდუქტი — ხორცი, რძის ნაწარმი... მომხმარებელმა პირდაპირ ქუჩიდან არ უნდა შეიძინოს. მაღაზიაში ნაყიდ პროდუქტზე თუ ეჭვი შეეპარება, ცხელ ხაზზე სურსათის უვნებლობის სამსახურს უნდა დაუკავშირდეს. სპეციალისტები ადგილზე მივლენ და შესაბამის ზომებს გაატარებენ. სხვა მხრივ, ძალიან ძნელია ყველაფრის გაკონტროლება — მაშინ ადამიანი სპეციალისტი უნდა იყოს და ამისთვის დარგის სპეცკურსები უნდა ჰქონდეს გავლილი. თუ პროდუქტს ეტიკეტი არ გააჩნია, შესაბამის სამაცივრო ტემპერატურაზე არ ინახება, ელემენტარული პირობები დაცული არ არის, ვადა არ არის მითითებული ან ვადაგადაცილებულია, ასეთი პროდუქტის შეძენისგან თავი უნდა შევიკავოთ.**

**— სკანდალი არ ცხრება უცხოეთიდან, მათ შორის ინდოეთიდან შემოტანილ გაყინულ ხორცთან, ქათმის ფილესთან... დაკავშირებით. მომხმარებელმა ამ პრობლემას როგორ უნდა გაართვას თავი?**

— ინდური ხორცის შემთხვევაში, ალბათ მთავარია, რა პირობებში მზადდება და ინახება. იმის ცალსახად მტკიცება, რომ ეს ნაწარმი მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისთვის, არ შეიძლება, თუმცა მასზე აუცილებლად უნდა ეწეროს, რისგანაა დამზადებული. ზოგადად, ხორცი ძაღლისაც იჭმევა, ბაყაყისაც, გველისაც... მაგრამ მომხმარებელს არჩევანის საშუალება აუცილებლად უნდა ჰქონდეს და უნდა იცოდეს, რის ხორცს მიირთმევს. ინდურ ხორცზეც, კონკრეტულად, მითითებული უნდა იყოს წარმომავლობა და მოქალაქე თავად გადაწყვეტს, შეიძინოს თუ არა.

**— ყბადაღებულ თემასთან — გენმოდიფიცირებული პროდუქტების მავნებლობასთან დაკავშირებით თქვენი პოზიცია როგორია?**

— მსოფლიოში დღესაც გრძელდება კამათი, რა ზიანი მოაქვს (თუ არ მოაქვს) ასეთ პროდუქტს ადამიანისთვის. ერთი უარყოფითი თვისება ალერგიის პროვოცირებაა, თუმცა კვლევა გრძელდება და საბოლოო დასკვნა არ არსებობს, ამიტომ მოსახლეობა უნდა ეცადოს, შეძლებისდაგვარად, კვების ჯანსაღი პროდუქტი მიიღოს.

**— ამ თვალსაზრისით, ადგილობრივ პროდუქციას უნდა მიენიჭოს უპირატესობა თუ უცხოეთიდან შემოტანილს?**

— პირველ რიგში, ნებისმიერი პროდუქტი შეფუთული უნდა იყოს და წარწერა ჰქონდეს, რას წარმოადგენს, რას შეიცავს... ეტიკეტზე სრული მონაცემები უნდა იყოს დატანილი, რასაც ჩვენთან საშველი არაფრით დაადგა.

**მსოფლიოს ძალიან ბევრი ქვეყანა გენმოდიფიცირებულ კვებაზეა გადასული, რადგან სერიოზულად დგას სასურსათო პრობლემა. რამდენიმე დღის წინ, გაერო-ს სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენელმა მოსახლეობას მიმართა, რომ ხოჭოებით, მატლებით კვება დაიწყონ, რადგან მსოფლიო სასურსათო კრიზისის საფრთხის წინაშე დგას. საბედნიეროდ, ჩვენთან გენურ ინჟინერიას ფესვები არ გაუდგამს და, შესაბამისად, პროდუქცია ეკოლოგიურად უფრო სუფთაა და თუ კარგ პირობებშია დამზადებული, ჩვენი ნედლეული ბევრად უსაფრთხოა, ვიდრე უცხოეთიდან შემოტანილი პროდუქცია.**

# ავღანეთში დაღუპული ქართველი სამხედროები საქართველოში ჩამოასვენეს

13 მაისს, ავღანეთის საერთაშორისო მისიაში მონაწილე ქართველი სამხედროების ბაზაზე, აქამდე ყველაზე მასშტაბური ტერორისტული თავდასხმა განხორციელდა. შემთხვევა ჰელმანდის პროვინციაში, ბაზა „შირგაზზე“ 16:17 საათზე მოხდა. ბაზაზე, სადაც 42-ე ბატალიონია დისლოცირებული, თვითმკვლელმა ტერორისტმა და მეამბოხეთა ჯგუფმა იერიში მიიტანა. ძლიერი აფეთქების შედეგად ტერორისტთა 5-კაციანი ჯგუფი ბაზაზე შეიჭრა. ქართველმა სამხედროებმა თავდასხმა მოიგერიეს და ყველა ტერორისტი ადგილზე გაანადგურეს. შეტევის მოგერიებისას დაჭრილია 27 ჯარისკაცი, კაპრალი ალექსანდრე კვიწინაძე, უმცროსი სერჟანტი ზვიად დავითაძე და კაპრალი ვლადიმერ შანავა კი დაიღუპნენ. დაღუპული ქართველი სამხედრო მოსამსახურეები საქართველოს შეიარაღებული ძალების IV ქვეითი ბრიგადის 42-ე მსუბუქ ქვეით ბატალიონში მსახურობდნენ. უმცროსი სერჟანტი ზვიად დავითაძე (22.11.1979) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2005 წლიდან მსახურობდა და მიღებული აქვს III ხარისხის მედალი „უმწიკვლო სამსახურისთვის“. კაპრალი ალექსანდრე კვიწინაძე (17.12.1986) საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში 2007 წლიდან ირიცხებოდა და მიღებული აქვს მედალი „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“. კაპრალი ვლადიმერ შანავა (01.04.1989) საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2007 წლიდან მსახურობდა და მიღებული აქვს მედალი „სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისთვის”. ქართველი სამხედროები წარდგენილები არიან ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენზე.

ავღანეთში დაღუპული ქართველი სამხედროები სამშობლოში 16 მაისს, ამერიკის საჰაერო ძალების სამხედრო თვითმფრინავით ჩამოასვენეს. მათ ადგილზე დახვდა საპატიო ყარაული, აეროპორტში იმყოფებოდა შეიარაღებული ძალების ეროვნული გვარდიის სამხედრო საჩვენებელი ორკესტრი, რომელმაც სამგლოვიარო მარში შეასრულა. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გამართულ სამგლოვიარო ცერემონიალს საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია და მისი მოადგილეები, ასევე შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ. აეროპორტში იმყოფებოდნენ დაღუპულთა ოჯახის წევრებიც. 42-ე ბატალიონის ჯარისკაცებისთვის პატივის მისაგებად, სამგლოვიარო ცერემონიალზე ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელი უილიამ ლაჰიუ, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ბრიჯიტ ბრინკი და აშშ-ს თავდაცვის ატაშე პოლკოვნიკი ჯეფ ჰარტმანი მივიდნენ. ცერემონიალის დასრულების შემდეგ, თავდაცვის მინისტრი ოჯახის წევრებთან მივიდა და სამძიმარი გამოუცხადა. თავდაცვის სამინისტრო სრულად აანაზღაურებს ავღანეთში დაღუპული ჯარისკაცების დაკრძალვის ხარჯს, ოჯახები კი კანონმდებლობით განსაზღვრულ დახმარებას მიიღებენ.



დაღუპულთა ცხედრები აეროპორტიდან ჯერ ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში, მოგვიანებით კი, ოჯახებში გადაასვენეს. ქაშუეთის ეკლესიაში გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდი.

ავღანეთში დაღუპული ქართველი სამხედროების ხსოვნის პატივსაცემად, 16 მაისი გლოვის დღედ გამოცხადდა. შესაბამისი განკარგულება, რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა საქართველოს მთავრობის ინიციატივით მიიღო, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა.

**„1. ავღანეთში უსაფრთხოების ხელშეწყობის საერთაშორისო ძალების შემადგენლობაში (ISAF) სამშვიდობო მისიაში მონაწილეობისას 2013 წლის 13 მაისს ტერორისტული თავდასხმის შედეგად დაღუპული საქართველოს შეიარაღებული ძალების 3 სამხედრო მოსამსახურის ხსოვნის უკვდავსაყოფად, საქართველოში 2013 წლის 16 მაისი გამოცხადდეს გლოვის დღედ.**

**2. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2013 წლის 16 მაისს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაშვებულ იქნას სახელმწიფო დროშები“**, — ნათქვამია პრეზიდენტის განკარგულებაში.

გლოვის დღესთან დაკავშირებით, ავღანეთში დაღუპული ქართველი სამხედროების პატივსაცემად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა შენობაზე დროშები დაეშვა, ასევე ყველა სამხედრო ბაზაზე, მათ შორის ვაზიანის ბრიგადაშიც, სადაც ქართველი სამხედროების ჩამოსვენებასა და საქართველოში 16 მაისის გლოვის დღედ გამოცხადებასთან დაკავშირებით თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია მივიდა და სამხედროებს მიუსამძიმრა: **„უმძიმესი დღეა საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის, საქართველოსა და, განსაკუთრებით, მეოთხე ქვეითი ბრიგადისთვის. სამშობლოსგან შორს, სამშობლოს სამსახურში, ზვიად დავითაძემ, ალექსანდრე კვიწინაძემ და ვლადიმერ შანავამ ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის გაწირეს თავი. ეს პირადად ჩემთვის, დიდი დარტყმა იყო, რადგან ამ გმირ ბიჭებთან ერთად შევხვდი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს შირგაზის ბაზაზე და პირადად გავიცანი ისინი. საქართველოსთვის თავგანწირვა ღირსეულთა ხვედრია. დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ ამ ბიჭების თავდადება მიგვიყვანს ერთიან საქართველომდე. ღმერთი იყოს საქართველოს შეიარაღებული ძალების მფარველი“.**

ქართველი ჯარისკაცების ავღანეთში დაღუპვის გამო, მწუხარება გამოთქვა ნატო-ს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელმა უილიამ ლაჰიუმაც და განაცხადა, რომ ამ ჯარისკაცებმა არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო უსაფრთხოებისთვის გაწირეს თავი:

**„ჩვენ დღეს აქ ვართ, რათა პატივი მივაგოთ დაღუპულ ქართველ ჯარისკაცებს, რომელთაც თავი გაწირეს არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო უსაფრთხოებისთვის. ჩვენთვის დიდი პატივია, პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას, ასევე სამძიმარი გამოვუცხადოთ საქართველოსა და მის მოსახლეობას, რომელთაც დიდი მსხვერპლი გაიღეს ყოველი ჩვენგანის უსაფრთხოებისთვის“.**

*„ვერსიანიუსი“*

# სასჯელაღსრულების დაწესებულებებში „საჩივრების ყუთს“ დადგამენ, ნარკოდამნაშავეებისთვის კი სპეციალურ ციხეს ააშენებენ




მინისტრი სოზარ სუბარი ჟურნალისტებს შეხვდა

რუსუდან შელია
557-100-768

„საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის“ ფარგლებში, 15 მაისს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი სოზარ სუბარი მედიის წარმომადგენლებს შეხვდა. პრესკონფერენცია მცირე ანგარიშის წარდგენით დაიწყო, სადაც მინისტრმა იმ ცვლილებებზე ისაუბრა, რომელიც უწყებაში უკვე განხორციელდა ან იგეგმება: **„პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ წინა ხელისუფლებისგან უმძიმესი მემკვიდრეობა გვერგო. კერძოდ, დანგრეული და მწყობრიდან გამოსული ინფრასტრუქტურა; ნაწამები და დაინვალიდებული პატიმრები, რომლებსაც ფსიქოტროპულ საშუალებებს უკონტროლოდ აწვდიდნენ... შედეგად, ყოველწლიურად, 140-ზე მეტი პატიმარი იღუპებოდა, როცა ევროპის საშუალო მაჩვენებელი 26 გარდაცვლილ მსჯავრდებულს არ სცილდება. საკმაოდ შეხმატკბილებული ურთიერთობა ჰქონდათ „მაყურებლებსა“ და ციხის ადმინისტრაციას, რომლებიც ციხეს ერთდროულად მართავდნენ და პატიმრებს სცემდნენ. სისტემაში ისეთი მანკიერი გადმონაშთებიც კი დაგვხვდა, როგორიცაა „ობშჩიაკების“ აგროვება და შემდეგ, ციხეში საკმაოდ სოლიდური თანხის შეგზავნა. სწორედ მსგავსი ფაქტების აღმოსაფხვრელად, გენერალური ინსპექცია და სასჯელაღსრულების მონიტორინგი სრული დატვირთვით მუშაობს.**

**სისტემიდან 60 თანამშრომელი უკვე გავათავისუფლეთ, 13-მა კი თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადება გენერალური ინსპექციის დასკვნის გარეშე დატოვა; 181 თანამშრომლის საქმე პროკურატურაში გადაიგზავნა, რომელთა უმრავლესობა პატიმრების წამების შესახებ მიმდინარე გამოძიებას შეემატა.**

**ერთი სიტყვით, დღეს ჩვენი მისია წინა ხელისუფლების ხედვისგან აბსოლუტურად განსხვავდება — ადამიანს, რომელიც დაწესებულებაში მოხვდება, ციხიდან გამოსვლის შემდეგ საზოგადოებაში ინტეგრაციის საშუალება უნდა მივცეთ“.**

სოზარ სუბარის თქმით, სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულების მიმღებში, სპეციალური ყუთების დადგმა იგეგმება, სადაც პატიმრებსა და მათ ახლობლებს წერილობითი საჩივრების ჩაყრა შეეძლებათ.

მინისტრმა მოხსენებაში აღნიშნა, რომ ერთ პატიმარზე დანახარჯი წლიურად 700 დოლარს გაუტოლდა, გაჟღერდა, რომ სასჯელაღსრულების სამინისტრო ნარკოპოლიტიკაზეც აქტიურად მუშაობს და მინისტრის განმარტებით, ერთგვარი ახალი ტიპის დაწესებულებაც იქმნება, სადაც ადამიანები ნარკოდამოკიდებულებისგან გათავისუფლდებიან. უახლოეს მომავალში, გლდანის პრობაციის ახალი დაწესებულებაც მწყობრში ჩადგება: **„ეს იქნება დაწესებულება, სადაც მსჯავრდებულები სასჯელის ბოლო პერიოდს მოიხდიან. მათ მუშაობის, განათლების მიღებისა და კვირაში ორი დღე ოჯახში ყოფნის საშუალება მიეცემათ, ასეთი ტიპის ორი დაწესებულების აშენებას ვგეგმავთ, რომელთაგან ერთი ქალბატონებისთვის იქნება“.**

მინისტრმა დასძინა, რომ „მკაცრი მეთვალყურეობის სისტემის“ ციხის მშენებლობა იგეგმება, სადაც „მაყურებელ“ პატიმრებს განათავსებენ, მეტიც — მსგავსი ტერმინი კანონმდებლობაში შევა. ერთმანეთისგან ქურდული მენტალიტეტის მქონე პატიმრები გაიმიჯნებიან და სხვადასხვა ციხეებში განთავსდებიან.

სოზარ სუბარმა პენიტენციალურ სისტემაში, მისი ხელმძღვანელობის პერიოდში აღმოჩენილ დარღვევებზეც ისაუბრა მედიის წარმომადგენლებთან, მათ შორის, ციხეში ფარულად შეტანილ ტელეფონებზეც: **„6 თვეში 20 ტელეფონი აღმოვაჩინეთ, მაგრამ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში წელიწადში, საშუალოდ, 100-ზე მეტ ტელეფონს პოულობდნენ. იმასაც ვერ ვიტყვი, რომ 6 თვეში „ობშჩიაკის“ პრობლემა ძირეულად აღმოვფხვერით, მაგრამ მსგავსი ფაქტები ყველა დაწესებულებაში არ ფიქსირდება. მთავარია, სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი დარღვევები წახალისებული არ არის. სკოლაშიც დაფიქსირდა შემთხვევა, როცა მასწავლებელმა მოსწავლეს ყური აუწია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ განათლების სამინისტროსგან მსგავსი ფაქტები წახალისებულია. უბრალოდ, უნდა გვესმოდეს, რომ გამონაკლისები ყოველთვის იქნება, მაგრამ ჩვენ სამინისტროში განცხადების შემოსვლის შემთხვევაში, ადეკვატურ რეაგირებას მოვახდენთ. ერთ ფაქტს გავიხსენებ: სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, ერთ-ერთ დაწესებულებაში შევიდა, სადაც სპეცნაზის მიერ სასტიკად ნაცემი 250-მდე პატიმარი დახვდა. მიუხედავად ამისა, ვერც ერთ მსჯავრდებულს საჩივარი ვერ დააწერინეს და სახალხო დამცველიც ფაქტის შესახებ მხოლოდ ზოგადი განცხადებით შემოიფარგლა. დღეს პატიმრებს აქვთ საშუალება პროკურატურას, ჟურნალისტებსა და ოჯახის წევრებს მსგავსი დარღვევების შესახებ აცნობონ“.**

სოზარ სუბარმა დაადასტურა, რომ გეგუთის ციხეში პატიმრებს შორის მომხდარი ჩხუბის შედეგად, 30 წლამდე მამაკაცი დაშავდა, რომლის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა და იგი ქუთაისის, დიაგნოსტიკურ ცენტრშია გადაყვანილი: **„პატიმრებს შორის დაპირისპირება სამი დღის წინ მოხდა, რომლის შედეგად, ერთი მსჯავრდებული დაშავდა. ამბობენ, რომ დაპირისპირებისას, კიბიდან დაგორდა... ამ ინციდენტს წინ რაღაც უძღვოდა, რისი დაკონკრეტებაც ამ ეტაპზე არ შემიძლია... პატიმრის მდგომარეობა არასახარბიელოა და, შესაძლოა, მისი საკითხი კომისიამაც განიხილოს“.** მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დაახლოებით, ერთი კვირის წინ, პროკურატურასთან ერთად, ციხეებში ფარულად გადაღებული ვიდეოების ნაწილს მიაკვლიეს, რაზეც გამოძიება უკვე მიმდინარეობს. კონკრეტულად, რა არის ასახული ამ ფირებზე, ვისი დანაშაული იკვეთება ან სად და როდისაა გადაღებული, სუბარს, გამოძიების ინტერესიდან გამომდინარე, არ დაუკონკრეტებია.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრმა „ვერსიის“ კითხვას უპასუხა:

**— ბოლო დროს, ხშირად გვესმის ამნისტირებული პატიმრების მიერ ჩადენილი საკმაოდ მძიმე დანაშაულების შესახებ. მაინტერესებს, გაქვთ თუ არა სტატისტიკა, რამდენი ამნისტირებული პატიმარი დაბრუნდა ციხეში და არიან თუ არა მათ შორის ისინი, ვინც უშუალოდ, თქვენი რეკომენდაციით გაათავისუფლეს?**

— დღეში, დაახლოებით, 70 ადამიანს აკავებენ, რომელთა ნაწილი ციხეში ხვდება, ზოგს კი გირაოთი ათავისუფლებენ. დიახ, მათ შორის, ამნისტირებული პატიმრებიც არიან, თუმცა ასეთების საერთო რაოდენობა მხოლოდ 120-ია. ეს არ არის მაღალი მაჩვენებელი იმ ფონზე, როცა ციხიდან 14 ათასამდე პატიმარი გათავისუფლდა. ჩემი რეკომენდაციით, მხოლოდ მძიმედ დაავადებული მსჯავრდებულები გაათავისუფლეს, რომელთა 15-20% ცოცხალიც აღარ არის. დანარჩენთაგან, მხოლოდ ერთმა ჩაიდინა დანაშაული გათავისუფლებიდან მეორე დღესვე. სხვა ფაქტი, ჯერჯერობით, არ დაფიქსირებულა.

## საქართველოს მთავარი პროკურატურა

### „რუსთავმეტალის“ დანაშაულებრივი სქემა გახსნილია

შპს „რუსთავმეტალის“ მიერ მიღებული უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის დანაშაულებრივი სქემა გახსნილია. მთავარი პროკურატურის პრესსამსახურის უფროსის, ხათუნა პაიჭაძის განცხადებით, საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი განაგრძობს ინტენსიურ გამოძიებას ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მათთან დაკავშირებულ პირთა მიერ ორგანიზებული კორუფციის გამოვლენის მიზნით. **„ამ ღონისძიების ფარგლებში გახსნილია შპს „რუსთავმეტალის“ მიერ საქართველოდან სილიკომანგანუმის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის დანაშაულებრივი სქემა, რომლის მხოლოდ ერთ ეპიზოდში დადგენილი და დადასტურებულია დაახლოებით ორნახევარი მილიონი ლარის გათეთრების ფაქტი. დასახელებული კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელია ქალაქ რუსთავის მოქმედი მერის, ლაშა მინდელის ძმა მინდია მინდელი“,** — აცხადებენ პროკურატურაში.

საწარმოს წარმომადგენელთა მიერ საგარეო ეკონომიკური ოპერაციების დროს მიღებული მოგების დამალვის მიზნით, ყალიბდებოდა ექსპორტის ამსახველი დოკუმენტები, ნამატი უკანონო შემოსავლები ირიცხებოდა მათ მიერ კონტროლირებადი ერთ-ერთი ოფშორული კომპანიის ანგარიშზე და შპს „რუსთავმეტალს“ უბრუნდებოდა ფიქციური ხელშეკრულების საფუძველზე, როგორც სესხის სახით მიღებული თანხა: **„შემდგომ ეტაპზე უკანონოდ ფულის წარმოშობის წყაროს შენიღბვის მიზნით, კომპანიის ხელმძღვანელები ქმნიდნენ ყალბ დოკუმენტებს სესხის გასტუმრების თაობაზე, რომელთა მიხედვითაც, თანხები თითქოსდა კრედიტორს უბრუნდებოდა ნაღდი ფულით ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. სინამდვილეში, აღნიშნული თანხების ნაწილი გამიზნული იყო წინა ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებისთვის, სამსახურებრივი მფარველობის სანაცვლოდ. მათ შორის, აღსანიშნავია, რომ საწარმო, რომლის ბრუნვა 200 მილიონზე მეტ ლარს შეადგენდა, უკანასკნელი წლების განმავლობაში არც ერთხელ არ შემოწმებულა“.**

პროკურატურის წარმომადგენლების ინფორმაციით, მითითებული თანამდებობის პირთა ვინაობას მოიკვლევენ უახლოეს მომავალში. მას შემდეგ, რაც ყაზახეთიდან და სხვა ქვეყნებიდან მიიღებენ საქართველოს პროკურატურის სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობებზე პასუხებს. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

შპს „რუსმეტალის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ბიზნესმენმა ზაზა მამულაიშვილმა საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ირაკლი ტრიპოლსკი „რუსმეტალის“ მეწილეთა ლობირებაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ ამის შესახებ დადასტურებული ინფორმაცია აქვს. ბიზნესმენის თქმით, იგი შპს „რუსმეტალის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია, თუმცა მეწილეებთან უთანხმოების გამო, ამჟამად, კომპანიის საქმიანობის პროცესში ვეღარ მონაწილეობს: **„დაახლოებით 1,5 წლის წინ, გავარკვიე, რომ კომპანიიდან იფლანგებოდა თანხები. ჰქონდათ შექმნილი ოფშორული კომპანიების სტრუქტურა, საიდანაც ფული გადიოდა, მე კი გაყალბებულ საბუთებს მაჩვენებდნენ. ამის შემდეგ დაიწყო უთანხმოება ჩემსა და სხვა აქციონერს — მინდია მინდელს შორის. შევეცადე, სამართლებრივი გზით მომეპოვებინა ინფორმაცია, თუმცა ყველა გზა ჩამიკეტეს. მივმართე რუსთავში სასამართლოს, მაგრამ მინდია მინდელის ძმა, ამჟამად რუსთავის მერი, ჩაერთო საქმეში და ვერაფერს მივაღწიე“.**

მამულაშვილის თქმით, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, პროკურატურას მიმართა, თუმცა კვლავ უშედეგოდ, რადგან **„ახალი მფარველი ირაკლი ტრიპოლსკი გამოჩნდა. ვცდილობთ, დაკარგული თანხები დაბრუნდეს, მაგრამ ტრიპოლსკის გავლენაში ნამდვილად ვერ მოვერევით. ცდილობდნენ, ჩემთვის წილი წაერთმიათ, მემუქრებოდნენ და ახლაც მემუქრებიან, პროკურატურაში რამდენჯერმე დამიბარეს ახსნა-განმარტების მისაცემად. კომპანიის მუშაობაში ჩართვის საშუალებასაც კი არ მაძლევენ“.**

ზაზა მამულაიშვილის განცხადებას დეპუტატი ირაკლი ტრიპოლსკი გამოეხმაურა. მან „რუსთავმეტალთან“ კავშირი უარყო და განაცხადა, რომ წარმოდგენა არ აქვს, რას საქმიანობს ეს კომპანია ან ვინ არიან მისი მფლობელები: **„აღშფოთებული ვარ ამ სიცრუით. არც ზაზა მამულაიშვილს ვიცნობ, არც მინდელებს, არც ვიცი, რას აკეთებენ. ამ საქმეს ასე არ დავტოვებ და ამ ადამიანს, ჩემი პატივისა და ღირსების შელახვის გამო, პასუხს მოვთხოვ. არასოდეს, არანაირ ბიზნესთან არანაირი კავშირი არ მქონია“.**

**გამოძიების გფარგლებში, პასუხისგებაში უკვე მისცეს ორი პირი — შპს-ს ფინანსური დირექტორი გერონტი ცვარიანი და მთავარი ბუღალტერი თამარ ჯავაშვილი.**

*„ინტერპრესნიუსი“*



## პრეზიდენტის ადმინისტრაცია მთავრობას ოკუპირებული რეგიონების აღიარების რისკის შესახებ აფრთხილებს

15 მაისს, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ საგანგებო განცხადება გაავრცელა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბიძინა ივანიშვილს, ასევე საქართველოს მთავრობას კიდევ ერთხელ მიმართა, დაანებონ თავი აგვისტოს ომის წამოწყებაში საქართველოს წინა ხელისუფლების დადანაშაულებას: „გვსურს, კიდევ ერთხელ მივმართოთ საქართველოს მთავრობას და გავაფრთხილოთ, რომ 2008 წლის ომის გამოძიებაზე მუდმივი აპელირება და საქართველოს მთავრობის დადანაშაულების მცდელობა, განუზომლად ზრდის ოკუპირებული რეგიონების სხვადასხვა ქვეყნების მიერ აღიარების რისკს.

ახალი ხელისუფლების ამგვარ დამოკიდებულებას, შეიძლება, მოჰყვეს კატასტროფული შედეგი ჩვენი ქვეყნისთვის, რაზეც პასუხისმგებლობა მთლიანად ამ გამოძიების ინიციატორებს დაეკისრებათ.

საქართველოს ხელისუფლების დიპლომატიური ჩარევის შედეგად, ოკუპანტმა სახელმწიფომ, ჩვენი ტერიტორიების აღიარების საკითხთან დაკავშირებით, მიზანს თითქმის ვერსად მიაღწია. სწორედ ამ დიპლომატიის შედეგია, რომ ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაცია ისევე, როგორც მსოფლიოს სახელმწიფოები, ერთეული რეჟიმების გამოკლებით, აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და რუსეთის მიერ საქართველოს განუყოფელი რეგიონების ოკუპაციის ფაქტს. ასევე ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტში ასახულია ტერმინი „ოკუპაცია“, რაც ქმნის გარანტიას, რომ გარდაუვლად დადგება დეოკუპაციის დროც.

ნებისმიერი ხელისუფლების ვალდებულებაა, მუდმივად იცავდეს საკუთარი ქვეყნის ინტერესებს, რაც თანმიმდევრულ პოლიტიკასა და მსოფლიო ლიდერებთან აქტიურ ინტერაქციასაც გულისხმობს. სამწუხაროდ, ამჟამინდელი მთავრობის ზემოაღნიშნული პოზიცია 2008 წლის ომის გამოძიებასთან დაკავშირებით, არათანმიმდევრული დიპლომატია და განცხადებები კოსოვოს მოდელის შესახებ, დასახელებულ მიზნებს ვერ მოემსახურება.

საქართველოს პრეზიდენტმა რამდენიმე კვირის წინ სპეციალური წერილით მიმართა პრემიერ-მინისტრს, რომელშიც განუმარტავდა არაღიარების პოლიტიკასთან დაკავშირებულ დეტალებს და სთავაზობდა თანამშრომლობას ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ამ წერილს არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია.

კიდევ ერთხელ, მოვუწოდებთ პრემიერ-მინისტრსა და მთავრობას, კარგად დაფიქრდნენ მათი ქმედებების შესაძლო კატასტროფული შედეგების შესახებ და, საქართველოს სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, მოახდინონ პოლიტიკის კორექტირება ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოს პრეზიდენტი კვლავაც გამოთქვამს მზადყოფნას, მჭიდროდ ითანამშრომლოს საქართველოს მთავრობასთან არაღიარების პოლიტიკისა და რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის ისევე, როგორც ქვეყნის უსაფრთხოებასა და განვითარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმართულებით“.




## 34 წლის მამაკაცმა მეტროში თვითმკვლელობა სცადა

მეტროპოლიტენ „მარჯანიშვილის“ სადგურზე, რელსებში, 34 წლის მამაკაცი ჩავარდა. თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ცნობით, შემთხვევა 15 მაისს, 15:03 საათზე მოხდა, რის გამოც რელსებზე ძაბვა მოიხსნა, რათა ჩავარდნილი მოქალაქე ამოეყვანათ. მამაკაცის ლიანდაგებიდან ამოყვანის შემდეგ მეტროპოლიტენში მოძრაობა აღდგა.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ინფორმაციით, მამაკაცი 34 წლისაა და მას სუიციდის მცდელობა ჰქონდა. სასწრაფო დახმარების ბრიგადამ მამაკაცი ღუდუშაურის კლინიკაში გადაიყვანა, რადგან ფსიქიკური აშლილობა აღენიშნებოდა.

*„ინტერპრესნიუსი“*

# „ნება იბოძონ, ცირკი შეინახონ, დასი აალორძინონ, საცირკო სასწავლებელი კი — აღადგინონ!“

## მსახიობები მოითხოვენ, ცირკი პატარკაციშვილების ოჯახს ჩამოერთვას და სახელმწიფოს დაუბრუნდეს



დავით დევიძე
593-219-042

**უკვე რამდენიმე წელია, ცირკის შენობა უმოქმედო მდგომარეობაშია, მხოლოდ იშვიათად თუ ჩამოიყვანენ საზღვარგარეთიდან უცხოელ მსახიობებს. არადა, იყო დრო, საცირკო სეზონზე თბილისში ცხოვრება დუღდა... 1993 წელს, შევარდნაძის პრეზიდენტობისას, ცირკის შენობა გასხვისდა, თემურ ჯაფარიძემ შეიძინა, რომელმაც გარკვეული პერიოდის შემდეგ, ვანო ჩხარტიშვილს მიჰყიდა, ხოლო ამ უკანასკნელმა, როგორც ამბობენ, 2 მილიონნახევარ დოლარად ბადრი პატარკაციშვილს დაუთმო. მას შემდეგ, ათასი პრობლემის მიუხედავად, ახალი პატრონი არ ჰყოლია — ცირკი დღემდე პატარკაციშვილების ოჯახის კუთვნილებაა, თუმცა როგორც აღვნიშნეთ, ფაქტობრივად, უმოქმედო მდგომარეობაშია. ამ ფონზე, გასაკვირი არაა, რომ პატარკაციშვილების ოჯახისგან შესაბამისი ზომების მიღებას მოითხოვენ. რა იგულისხმება „შესაბამის ზომებში“, ამას, „ვერსიასთან“ საუბრისას, საქართველოს პროფკავშირების კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირის თავმჯდომარე სვეტლანა ჩოჩუა განმარტავს, რომელსაც ქართული ცირკის მსახიობებთან — ნანი ბერიძესა და ნანა მელქაძესთან ერთად შევხვდით.**

— ამბობდნენ, რომ ცირკის საქმიანობის გაჩერების მიზეზი მისი არარენტაბელობა იყო, თითქოს, ქონების გადასახადის 150 ათასლარიანი დავალიანება ჰქონდა... ერთი მხრივ, აქ უჩვეულო არაფერია — დოტაციის გარეშე, მხოლოდ საკუთარი შემოსავლით, ცირკი ვერ იარსებებს, რადგან სეზონურია და ხარჯიც დიდი აქვს. ბადრი პატარკაციშვილს წელიწადში 150 ათასი ლარის გადახდა არ გაუჭირდებოდა, მაგრამ ხელშეკრულების დადებიდან სამი წლის მერე, მგონი, შენობისთვის პროფილის შეცვლა უნდოდა, ამიტომაც გააჩერეს წარმოდგენები... არადა, პროფილი არ უნდა შეცვლილიყო, რადგან ეს ერთადერთი საბავშვო დაწესებულებაა, რომელსაც საქართველოს კი არა, მსოფლიო მასშტაბით ანალოგი ძნელად თუ მოეძებნება. ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ და გეტყვით, რომ მსოფლიოში ცირკის მხოლოდ სამი შენობაა, რომელიც ყველა სტანდარტს აკმაყოფილებს, მათ შორისაა თბილისის ცირკი — აქ ყველაფერია, რაც საცირკო ხელოვნებას სჭირდება... ბატონი ბადრის გარდაცვალების შემდეგ, ცირკი გაჩერდა, წყალიც კი ჩამოდიოდა... შარშან რამდენიმე დღე ამუშავეს, მაგრამ ეს ამინდს არ ქმნის, მთავარი და ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ქვეყანაში, რომელსაც საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ნანა მელქაძე ჰყავს, ვიღაც-ვიღაცებს ვარსკვლავებს უხსნიან, ღვაწლმოსილ მსახიობებს კი ივიწყებენ.

**— საინტერესო საკითხამდე მივედით. ცირკი მხოლოდ შენობა ხომ არაა — იქნებ მისი უმოქმედობის მიზეზი ქართველი მსახიობების დეფიციტია?**

— გეთანხმებით, რომ უნიკალური შენობა საკითხის ერთი მხარეა. საქმე ისაა, რომ გვყავდა ძალიან კარგი საცირკო დასი, მაგრამ უმოქმედობის გამო, დაიშალა — მსახიობები იძულებულები გახდნენ, ქვეყნიდან გადახვეწილიყვნენ თურქეთში, ჰოლანდიაში, საბერძნეთში... იქაურ დასებში მოღვაწეობენ. ადრე არსებობდა საცირკო სასწავლებელი, სადაც მომავალ კადრებს ამზადებდნენ, მაგრამ ისიც დახურეს და გამოდის, ცირკი წინასწარვე გაიწირა უმოქმედობისთვის.

**— უცხოეთში როგორ ინახავენ ცირკს?**

— ჩემი ინფორმაციით, მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, ცირკი სახელმწიფო დოტაციაზე არ არის, მაგრამ არსებობენ სპონსორები და ისინი ინახავენ. ჩვენთან ფულის მეტი რა აქვთ ბიზნესმენებს... თუ არა და, თეატრების ნაწილს ხომ ინახავს კულტურის სამინისტრო, ნება იბოძონ და, ცირკიც შეინახონ, დასი აალორძინონ, საცირკო სასწავლებელი კი — აღადგინონ... პატარკაციშვილებს უნდა დაელაპარაკონ და თუ არ შეუძლიათ, ცირკის ფუნქციონირება უზრუნველყონ, აუცილებლად უნდა დაუბრუნონ ხალხს.

ამ სფეროში ძალიან ბევრი ნიჭიერი ადამიანი გვყავს, მაგრამ რა ქნან, სად წავიდნენ ძველი მსახიობები? კარგი იქნება, თუ ბატონი ბიძინა, ყველაფერთან ერთად, ამ საქმესაც მიხედავს; კულტურის სამინისტროც უნდა დაინტერესდეს ამ საკითხით, რადგან ეს, უშუალოდ, მისი მოვალეობაა, მიუხედავად იმისა, რომ ცირკი კერძო საკუთრებაა. სიმართლე უნდა ითქვას: რაც პატარკაციშვილებმა შეიძინეს, მას შემდეგ დაინგრა ცირკი. ბადრი პატარკაციშვილი დიდი ქველმოქმედი იყო, მაგრამ ეს საკითხი არ აინტერესებდა, შესაბამისად, არც ქართველი მსახიობები გააჭაჭანეს, დასი დაშალეს და დღეს, შენობის გარდა, აღარაფერი არსებობს.

**— კულტურის სამინისტრომ, კონკრეტულად, რა უნდა გააკეთოს?**

— როგორც კულტურის ძეგლების რესტავრაცია-აღორძინებაზე ფიქრობენ, ასევე უნდა იფიქრონ ცირკის რეაბილიტაციაზე. შენობას არ სჭირდება რესტავრაცია, ის ბერიას დროს აშენდა და კარგია, მთავარია, დასი აღდგეს და წარმოდგენები განახლდეს. ვიმეორებ — მერე რა, კერძო საკუთრება რომაა, თუ ვერ ამუშავებენ, ქვეყანას დაუბრუნონ. ჩვენ გვყავს საცირკო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე სანდრო თედიაშვილი, რომელსაც აგვისტოში 100 წელი უსრულდება. კულტურის სამინისტრო ვალდებულია, ასეთი ხალხი მოძებნოს და რაიმე ფორმით ღვაწლი დაუფასოს. ჩვენ კი არ უნდა შევახსენოთ მათი არსებობა, აღრიცხული უნდა ჰყავდეთ. მაგრამ აქ ხომ საქართველოა, სანამ არ ჩააწყობ ან გავლენიანი ნათესავი არ იტყვის, აი, ის კაცი 100 წლისაა, ან ნანა მელქაძე პირველი მოჯირითე ქალია და მისი ვარსკვლავი უნდა იყოს ცირკის შენობის წინო, არაფერი გამოვა. ასე რომ, სანამ ბოლომდე არ დაკარგულა ის, რაც შემოგვრჩა, დაუყოვნებლივ უნდა ვიზრუნოთ აღორძინებაზე — ეს ეროვნული საქმე იქნება. პანტომიმის, თითების თეატრები გვაქვს და ცირკი არ უნდა გვქონდეს?! არ მგონია, პატარკაციშვილების ოჯახი გულგრილად მოეკიდოს ამ ყველაფერს.

საუბარში **ნანი ბერიძე** ჩაგვერთო, რომელიც თავის დროზე, საცირკო სასწავლებელში აკრობატიკას ასწავლიდა: **„სასწავლებელში იმედისმომცემი პატარები გვყავდა, მაგრამ უეცრად, სასწავლებელი დახურეს. მიზეზი არ ვიცი. ჯერ გადასახადი მოგვიმატეს, მერე შენობა გაყიდეს და საერთოდ გააუქმეს. არადა, თავის დროზე, ამ საქმეში არაერთი თაობის შრომაა ჩადებული. ამ შესანიშნავი სანახაობის ხილვის საშუალება ბავშვებს არ აქვთ, რაც ძალიან სამწუხაროა“.**

„ვერსია“ ცირკის სამხატვრო ხელმძღვანელს **ნანა მელქაძესაც** ესაუბრა: **„საქმე ისაა, რომ ამათ არ უნდათ ქართველი მსახიობები. ერთადერთი ადამიანი, ვისი იმედიც გვაქვს, ბიძინა ივანიშვილია, ვიცი, რომ მას ძალიან მოსწონს საცირკო წარმოდგენები. მთავარია, ხელშეკრულება დაიდოს სხვადასხვა ქალაქთან, რომელთა დასებს გასტროლებზე ჩამოვიყვანთ და ცირკი არ გაჩერდება. რაც შეეხება ქართველ მსახიობებს, სურვილის შემთხვევაში, ახლავე შემიძლია დავუკავშირდე მათ, ვინც ჩვენ გავზარდეთ, ყველა ჩამოვა, საბედნიეროდ, ბევრი ძალიან ნიჭიერია“.**

# მოგვატყუეს — „განახლებული“ ბახმარო, სინამდვილეში, გავერანებულია



ნატო გოგელია,
„გურიანიუსი“

**„ეს არქიტექტორები ამ ზონის განვითარებაზე იზრუნებენ, გარკვეული პროექტებიც გვექნება. სპეციალური დანადგარებისთვის ფული გადავრიცხეთ და მშენებლებიც ავიყვანეთ ბახმაროში. ვნახეთ რამდენიმე ადგილი, სადაც ეს დანადგარი უნდა დამონტაჟდეს. მისი საშუალებით ბახმაროს თვისებებზე, თოვლის ხარისხზე, ქარის სიჩქარეზე დეტალური ინფორმაციის მიღება იქნება შესაძლებელი. ეს ჯგუფი მუშაობდა ბაკურიანსა და სვანეთში — გამოცდილები არიან, კარგ პროექტს მივიღებთ და ბახმარო ოთხივე სეზონზე სრული დატვირთვით იმუშავებს. სათხილამურო გზის სიგრძე 2 კმ იქნება, ავაშენებთ სასტუმროს, გაკეთდება მაღაზია, ტუალეტები, ღია ამფითეატრი, კინოთეატრი, აფთიაქი... ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც პირველ ეტაპზე აუცილებელია და ადამიანებს კომფორტს შეუქმნის. საგზაო დეპარტამენტმა გარკვეული თანხები გზის მოწესრიგებისთვის უკვე ჩადო ბიუჯეტში; წყლის კომპანიამ მიიღო დავალება და სწავლობს ადგილებს, სად შეიძლება დამატებითი წყლის მიღება ჭაბურღილებით; პირადად ვესაუბრე ენერგეტიკის მინისტრს და მივიღე წინაპირობა, რომ ელექტროენერგიის მიწოდება ბახმაროში პრობლემა არ იქნება. ეს პირადად პრეზიდენტის დავალებაა — იგი აკონტროლებს ამ საკითხს. სამშენებლო კომპანია უკვე შერჩეულია, ტოპოგადაღება დასრულებულია და პირველადი დოკუმენტაცია, რომელიც კვლევების შეჯერების საშუალებას მოგვცემს, მზადაა“,** — ეს განცხადება ინფრასტრუქტურის ყოფილმა მინისტრმა, რამაზ ნიკოლაიშვილმა ორი წლის წინ გააკეთა. შარშან მშენებლობა დაიწყო და ორ თვეში დასრულდა, განახლებული ბახმარო კი, საქართველოს პრეზიდენტმა ზარ-ზეიმით გახსნა, ოღონდ ზეიმში მონაწილეობის საშუალება მხოლოდ გამონაკლისებს მიეცა. სააკაშვილი ახალაშენებული სასტუმროთი, ამფითეატრითა და ამბულატორიით იწონებდა თავს... არადა, სასტუმრო, რომლის „ფეშენითაც“ იამაყა, კომუნისტების ეპოქაში აიგო, ნაციონალურმა ხელისუფლებამ კი მხოლოდ გაარემონტა და კურორტის სავიზიტო ბარათად აქცია.

ეს მხოლოდ კამერებისთვის დადგმული სპექტაკლი იყო — სასტუმროში ავეჯის ნასახიც არაა, არადა, პრეზიდენტის სტუმრობისას, ლუქსის ტიპის ნომერში ბოლო მოდელის ავეჯთან ერთად, ახალი თეთრეულიც იყო. კითხვაზე — ვინ, სად წაიღო ავეჯი, პასუხი არავის აქვს; მეტიც — დღემდე გაურკვეველია, ვინ უნდა მართოს სასტუმრო. გურიის გუბერნატორის, ვალერი ჩიტაიშვილის თქმით, ბახმაროს ობიექტების მშენებლობისთვის თანხა ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყო: **„თანხა სამხარეო ადმინისტრაციის ანგარიშზე ჩაირიცხა და ყველა კანონის დაცვით განხორციელდა მშენებლობა. ამჟამად სასტუმრო და სხვა ობიექტები ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა“.** სასტუმროს რეაბილიტაცია 879 338 ლარი დაჯდა.

ამფითეატრი, რომელიც ბიუჯეტს თითქმის 200 000 ლარი დაუჯდა, დღეს სავალალო მდგომარეობაშია. გურიის ახალგაზრდული გაზეთის, „21-ს ქვევით“ პროექტის, მედიაკომპასის მონაწილის, მაგდა მამალაძის მიერ გადაღებული ფოტოები ნათელი დასტურია, როგორ აკეთებდა ხალხის ხარჯზე პიარს წინა ხელისუფლება. რეპორტაჟი იმასაც მოწმობს, რომ ახალი ხელისუფლება არ ინტერესდება საქმეებით, რომელთა გამოძიებას მოსახლეობა ითხოვს. არადა, კოჰაბიტაციას გადაყოლილ „მეოცნებეებს“ საზოგადოება საარჩევნო დაპირებებს ახსენებს — მათ შორის იმას, რომ უნდა გაირკვეს, სად და როგორ იხარჯებოდა ხალხის ფული. ამ დრომდე ჰაერშია გამოკიდებული იმ ასობით მოქალაქის საქმე, რომელსაც წინა ხელისუფლების დროს, ბახმაროში მიწები ზეწოლის შედეგად ჩააბარებინეს. ფაქტია, ჯერჯერობით, ოცნება ოცნებად რჩება.





# სტიქიამ გურჯაანის ოთხი სოფელი დააზარალა



ძლიერმა წვიმამ და სეტყვამ ვენახები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები გურჯაანის რაიონის ოთხ სოფელში სრულად გაანადგურა. სტიქიის ზონიდან შევიტყვეთ, რომ უამინდობამ ვეჯინს, კოლაგს, ბაკურციხესა და კარდენახს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა.

ადგილზე ჩავიდნენ კახეთის გუბერნატორის მოადგილე გიორგი ბოტკოველი და გურჯაანის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი ჯონი ოსიაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ ვეჯინში, კოლაგში, ბაკურციხესა და კარდენახში ვენახები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები 100%-ით განადგურდა.

გუბერნატორის მოადგილე რამდენიმე დაზარალებულ ოჯახში მივიდა, ვითარებას ადგილზე გაეცნო და განაცხადა, სტიქიის მასშტაბი ისეთი დიდია, ცენტრალური ხელისუფლების გარეშე დაზარალებულების დახმარება წარმოუდგენელიაო.

დაზარალებულმა მოსახლეობამ აქციაც მოაწყო და ხელისუფლებას დახმარება სთხოვა.

16 მაისს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ საზოგადოებას ამცნო, რომ სტიქიის შედეგად ინფრასტრუქტურისთვის მიყენებული ზარალი უკვე დათვლილია და 300 000 ლარს შეადგენს. 17 მაისს, მთავრობის სხდომაზე გადაწყდება, ხელისუფლება დაზარალებულ მოსახლეობას რა სახის დახმარებას გაუწევს.

*„ინტერპრესნიუსი“*



# „აჯანყებული გურული“ ბრუნდება

ქალაქ ლანჩხუთის ცენტრში „აჯანყებული გურულის“ ძეგლს აბრუნებენ. პოლიციის შემინული შენობის გვერდით მდებარე სკვერში, სადაც ადრე ძეგლი იდგა, ქვაფენილი ამოღებულია. უკვე სახელისუფლო წრეებიც ადასტურებენ, რომ ქალაქის ცენტრში, პირდაპირი გაგებითაც, „პირში წყალჩაგუბებული“, პოლიციაზე „გაკუჭებული გურული“ ბრუნდება.

ძეგლი 2011 წლის 16 ნოემბერს, გვიან ღამით აიღეს, რადგან სამუშაოთა შესრულებაზე ადგილობრივებმა უარი თქვეს, სპეცტექნიკა ფოთიდან ჩამოიყვანეს. თავის დროზე, „აჯანყებული გურულის“ აღებამდე სამიოდე დღით ადრე, 2011 წლის 12 ნოემბერს, ლანჩხუთში იზეიმეს საფეხბურთო კლუბ „გურიის“ ისტორიაში ყველაზე დიდი ტრიუმფიდან 25-ე წლისთავი და დაარსებიდან 85 წლის იუბილე. ლანჩხუთელ ნაცხელისუფლებას ვერავინ დაუკარგავს კლუბის მხარდაჭერას და ღონისძიება გასაკვირი სულაც არ ყოფილა, არც ბანკეტი გაკვირვებია ვინმეს, თუმცა მაშინ მოხდა ის, რაც ნაციონალებმა წინასწარ ვერ გათვალეს — სწორედ საბანკეტო სუფრასთან შეაგროვეს „გურიის“ სახელოვანმა ვეტერანებმა (მათ შორის თემურ ჩხაიძემ, დავით უგრელიძემ, მერაბ თევზაძემ, გია გილიგაშვილმა...) ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის დაბრუნების მხარდამჭერი ხელმოწერები, რამაც ნაცხელისუფლება ააფორიაქა. ღიად არავის დაუფიქსირებია, მაგრამ „ზემოდან“ ადგილობრივებზე ზეწოლა დაიწყო, ეს სკანდალი მმართველი გუნდის წისქვილზე არ დაასხამდა წყალს და სწორედ ამიტომ მოიფიქრეს თემის გადასაფარად, გურულის ძეგლის აღება.

„ნაცსუფრის სკანდალი“ ძეგლის აღებით გამოწვეულმა აღშფოთებამ კი გადაფარა, მაგრამ ნაციონალებმა რეალურად, „კატა გამოთხარეს“ — ხსენებული ხელმოწერების მხარდაჭერის გამო, თემურ ჩხაიძე ერთ-ერთმა თბილისურმა კლუბმა (რა თქმა უნდა, მაშინდელი ხელისუფლების ზეწოლით) მწვრთნელობიდან დაითხოვა, რის შემდეგაც ჩხაიძე პოლიტიკაში ჩაერთო და ნაციონალების კანდიდატი არჩევნებში დაამარცხა კიდეც.

ამ ამბიდან რამდენიმე დღეში, ერთი მეორეს მიყოლებით, კიდევ რამდენიმე ინციდენტი მოხდა — ჯერ, პოლიციის შენობის გახსნის შემდეგ, ბანკეტზე, ვანო მერაბიშვილი წასული რომ დაიგულეს, მაღალჩინოსანმა პოლიციელმა ქვეშევრდომი დარბაზში ჰალსტუხით ათრია; იმავე ღამეს, ორმა სამართალდამცავმა ერთმანეთი უმოწყალოდ სცემა; მეორე დღეს, ახალი შენობიდან ათიოდ მეტრში, მაღაზია გატეხეს, ყველაფერი კი „დააგვირგვინა“ ნაახალწლევს, ერთ-ერთ ოჯახში პოლიცმაისტერის მიერ პისტოლეტიდან გასროლამ.

ძეგლის აღების მეორე დღეს, „აჯანყებული გურული“ აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ფაქტობრივად, ნაგავსაყრელზე აღმოვაჩინეთ; მოგვიანებით, ძეგლი ალუმინის ფირფიტებით შემოღობეს, მხოლოდ ლურჯი ფერის „ბრეზენტით“ დაფარული ძეგლის ხელი მოჩანდა... როგორც მაშინ ითქვა, „გურულის ძეგლი“ რკინიგზის სადგურთან უნდა დაედგათ.

ლანჩხუთის ექსგამგებელი და ახლა ნაციონალების ადგილობრივი „ბოსი“ კახა ასკურავა აცხადებს, რომ ძეგლის არც აღების მომხრე იყო და არც დაბრუნების წინააღმდეგია: **„მაშინ ჩემთვის არავის არაფერი უკითხავს. ეს ძეგლი სიმბოლოა და მისი აღების მომხრე არ ვყოფილვარ. როცა გამგებლის მოვალეობას ვასრულებდი, კოალიციის წარმომადგენლებთან გვქონდა მოლაპარაკება, ძეგლის დაბრუნების თაობაზე, მაგრამ დაახლოებით, 30 ათას ლარამდე ჯდებოდა და ამის გამო თავი შევიკავეთ“.**

გავრცელებული ინფორმაციით, ძეგლს ძველ ადგილზე საქველმოქმედო ორგანიზაცია „ატუ“ დააბრუნებს, რომელიც პარალელურად, „გურიის“ ცენტრალურ სტადიონზე სამუშაოებს ჩაატარებს, რათა არენა მომზადებული შეხვდეს უმაღლეს ლიგას.

*„გურიანიუსი“*

# ჰოროსკოპი

## 17 მაისი

***ვერძი*** — დღეს ადგილს ვერ პოულობთ: ახლობლებში თავს უცხოდ გრძნობთ, უცნობებთან კი — კომფორტულად. შესაძლოა, ახალი სამსახური შემოგთავაზონ, თუმცა ნუ იჩქარებთ დათანხმებას, ყველა პლუს-მინუსი კარგად აწონ-დაწონეთ. დღის მეორე ნახევარი ახლობლებთან ერთად გაატარეთ, მათ თქვენი ყურადღება და მზრუნველობა სჭირდებათ.

***კურო*** — დღე ემოციურად დაძაბული იქნება, შესაძლოა, რაღაც ვერ გათვალოთ, ინტუიციაც გღალატობთ. მოგიწევთ, არჩევანი სასიამოვნოსა და აუცილებელს შორის გააკეთოთ. ნუ დაემორჩილებით ნეგატიურ აზრებსა და გრძნობებს, არავითარ შემთხვევაში, არ დაკარგოთ ოპტიმიზმი.

***ტყუპები*** — შესაძლოა, დღე ძალიან მძიმე აღმოჩნდეს. მამაკაცებისთვის ახალი ნაცნობობა მეტად ხანმოკლე იქნება, უნდობლობა კი ურთიერთობას გაგიფუჭებთ საყვარელ ადამიანთან. სუსტი სქესის წარმომადგენლებმა ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.

***კირჩხიბი*** — დღეს თქვენი ფინანსური მდგომარეობა, შესაძლოა, გაუმჯობესდეს. პასუხისმგებლობის გრძნობა და მათემატიკური აზროვნება წარმატებას მოგიტანთ პროფესიულ საქმიანობაში ან მნიშვნელოვნად აგიმაღლებთ ავტორიტეტს უფროსობასა და კოლეგებში. საღამოს დიდია ალბათობა რომანტიკული შეხვედრისა.

***ლომი*** — ლომებისთვის დღე არასასურველია საქმიანი გარიგებებისა თუ ურთიერთობების გარკვევისთვის. ძალიან გაგიჭირდებათ, ფეხი აუწყოთ სამუშაო რიტმს. სჯობს, აზრები მოიკრიბოთ, ცხოვრება კი თავად გიკარნახებთ გამოსავალს.

***ქალწული*** — კარგი დღეა, თუკი გადაწყვეტთ, დაწყებული საქმე კონკრეტულ შედეგამდე მიიყვანოთ. იზრდება თქვენი შემოქმედებითი და ენერგეტიკული პოტენციალი, თუმცა დღის მეორე ნახევარში, შესაძლოა, პრობლემები ახლობლებთან ურთიერთობაში.

***სასწორი*** — თქვენი ბიუჯეტი ნელ-ნელა ივსება. დღეს არ ღირს, რაიმე ახლით დაკავდეთ, სჯობს, ძველ საბუთებს გადახედოთ, რადგან შესაძლოა, ეს ახლა საკმაოდ აქტუალური იყოს. სასიკეთო დღეა ასევე კონფლიქტური საკითხების მოსაგვარებლად.

***ღრიანკალი*** — დღეს სასიცოცხლო პოტენციალი არც ისე მაღალ დონეზეა, რაც ხელს შეუშლის თქვენი ორგანიზატორული ნიჭის წარმოჩენას, თუმცა ვარსკვლავები არ გირჩევენ სამსახურის შეცვლას ან დამატებითი შემოსავლის ძიებას საქმიანობის სხვა სფეროში, რადგან დიდია ალბათობა, რომ მოგატყუებენ და იმედგაცრუებული დარჩებით.

***მშვილდოსანი*** — ცვლილებების, მოლაპარაკებების, ახალი კონტაქტების დღეა, გამოსწორდება თქვენი ფინანსური მდგომარეობაც. შესაძლოა, გარკვეული თანხა მიიღოთ, მაგრამ უპირველესად, გათავისუფლდით ვალდებულებებისგან. დღის პირველ ნახევარში საქმის წარმატებას ხელი შეიძლება ზედმეტმა სიმკაცრემ შეუშალოს.

***თხის რქა*** — ოჯახში არსებული სიყვარული და ჰარმონია მატერიალურ მდგომარეობაზეც აისახება. თავდაჯერებულობა დაგეხმარებათ, სწორი გადაწყვეტილებები მიიღოთ. ნუ შეეცდებით პრობლემის უმალ გადაჭრას, ცხოვრება თავად გიკარნახებთ საჭირო დროს.

***მერწყული*** — შანსი გეძლევათ, გაიუმჯობესოთ ფინანსური მდგომარეობა. დღე სასიკეთოდ ვითარდება. აუცილებელია, უფრო სერიოზულად მიუდგეთ თქვენს მოვალეობებს, მიღებული თანხა კი, სჯობს, სარფიან პროექტებში დააბანდოთ.

***თევზები*** — ვარსკვლავები გირჩევენ კონტრაქტის გაფორმებას საქმიან პარტნიორებთან, თუმცა საბოლოო შედეგი დამოკიდებული იქნება მხოლოდ თქვენს შრომისუნარიანობაზე. დღის მეორე ნახევარში მოსალოდნელია კამათი ახლობელ ადამიანებთან.




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**

## შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას" სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე"

„ყოველთა დედოფალი პანტანასას" ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი" ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი" კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**

# ჰოროსკოპი

## 18 მაისი

***ვერძი*** — აქტიური და ენერგიული დღე გელით, ეცადეთ, საქმიანი სფერო მკვეთრად გამიჯნოთ პირადისგან და ჩარევის უფლებას ნურავის მისცემთ. დღეს გაგიმართლებთ საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში, ენდეთ საკუთარ ინტუიციასაც.

***კურო*** — შესაფერისი დღეა საკუთარ თავზე სამუშაოდ, მით უმეტეს, თუ მუსიკით, ხელოვნებით დაკავდებით, მოდის სიახლეებითა და ხალხური ტრადიციებით დაინტერესდებით. საკუთარი ძალები ჯეროვნად შეაფასეთ და უკიდურესობას მაქსიმალურად აარიდეთ თავი. გსურთ, პრობლემები მალევე მოაგვაროთ, მაგრამ ვარსკვლავები გირჩევენ, ამისთვის უკეთესი დრო შეარჩიოთ.

***ტყუპები*** — დღის განმავლობაში რთული საქმის შესრულება მოგიწევთ, რაც გამოცდილებასა და ცოდნას მოითხოვს. არ არის გამორიცხული დამატებითი ფინანსური ხარჯი, სამაგიეროდ, ოჯახის წევრები კმაყოფილები დარჩებიან. სამსახურშიც იზრდება თქვენი ავტორიტეტი, პირად ცხოვრებაში კი რადიკალური ნაბიჯებისგან თავი შეიკავეთ.

***კირჩხიბი*** — კარგი დღეა, ახალი და პერსპექტიული საქმის წამოსაწყებად. შეგიძლიათ, ენდოთ თქვენს პარტნიორებს. დღეს დიდია ოჯახური კონფლიქტების ალბათობა. შეეცადეთ, თავი აარიდოთ ახლობლებთან კამათს.

***ლომი*** — განსაკუთრებით გამახვილებული გაქვთ ინტუიცია, წინათგრძნობა, რაც თქვენს სასიკეთოდ უნდა გამოიყენოთ. ბოლო პერიოდში ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები დადებით მუხტს მოგიტანთ პირად ურთიერთობებში. გაითვალისწინეთ, რომ დღეს თქვენი დახმარება ყველაზე მეტად, ოჯახის წევრებს სჭირდებათ.

***ქალწული*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის საკმაოდ წარმატებული დღეა. სწორად ახერხებთ არსებული რესურსების — ფინანსების, დროის, საკუთარი ენერგიის განაწილებას და ამიტომ, ყველაფერი გამოგდით, რასაც ხელს მოკიდებთ. დღეს კარგია ტაქტიკური და სტრატეგიული საკითხების მოგვარება, მსხვილი კაპიტალდაბანდებისა და უძრავი ქონების შეძენისგან კი თავი შეიკავეთ.

***სასწორი*** — სასწორებს ვარსკვლავები ურჩევენ, სიფრთხილე გამოიჩინონ ახალ ნაცნობებთან: დღეს ძალიან გაგიჭირდებათ, სწორი წარმოდგენა შეიქმნათ ადამიანებზე, რომელთაც პირველად ხედავთ. გელით ფინანსური დანაკარგი, გაუთვალისწინებელი ხარჯი... საყიდლებისგან სჯობს, თავი შეიკავოთ.

***ღრიანკალი*** — ვარსკვლავები მიიჩნევენ, რომ თქვენთვის კარგი დღეა, იმიჯთან დაკავშირებით ექსპერიმენტები ჩაატაროთ, გარდერობის განახლებასა და ბინის ახლებურად მოწყობაზე იზრუნოთ. თქვენთვის მნიშვნელოვანია კომფორტი და სიმყუდროვე, მის გარეშე ძალებს ვერ აღიდგენთ. სასიცოცხლო პოტენციალი შესამჩნევად იკლებს, რაც აგრესიასა და გაღიზიანებას იწვევს.

***მშვილდოსანი*** — წარმატებული დღე გელით პირად ურთიერთობებში. ძნელი არ იქნება წონასწორობის შენარჩუნება ახლობლებთან — ურთიერთგაგება თავისთავად წარმოიშობა, საამისოდ არანაირი ძალისხმევა არ დაგჭირდებათ. საქმე თქვენგან სპონტანური გადაწყვეტილებების მიღებასა და მაქსიმალურ რისკს მოითხოვს.

***თხის რქა*** — არაა გამორიცხული, სწორედ დღეს შეხვდეთ თქვენთვის მნიშვნელოვან ადამიანს და მასთან ურთიერთობა ააწყოთ. სამსახურში არსებულ ყველა პრობლემასა და გაუგებრობას დღეს საბოლოოდ, წერტილი დაესმება. პირად ცხოვრებაში სიმშვიდის პერიოდი დგება, ოპტიმიზმი კი საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას გაგიმყარებთ.

***მერწყული*** — კარგი დღეა მგზავრობისთვის. ნებისმიერი საქმე წარმატებით დასრულდება. თქვენი პროფესიონალიზმი და მომხიბვლელობა საკუთარ წვლილს შეიტანს საქმის წარმატებაში. კარგი დღეა ბიზნეს-პარტნიორების მოსაძებნად და გადადებული საქმეების დასასრულებლად. გეძლევათ შესაძლებლობა, საყვარელ ადამიანთან დაათბოთ ურთიერთობა.

***თევზები*** — დღეს, შესაძლოა, გააქტიურდნენ კონკურენტები და ოპონენტები, რომლებიც მოისურვებენ, ხელი შეგიშალონ ახალი იდეების განხორციელებაში, თუმცა თქვენი ჯანსაღი აზროვნება, მონდომება და მოლაპარაკებების გამართვის უნარი, ნებისმიერი რთული სიტუაციიდან გამოგიყვანთ.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | 4 | | 3 | | | 7 |
| | 7 | 1 | | | | | 4 | |
| | | 8 | | 2 | | | | |
| 2 | | | 6 | 1 | | | | |
| | | 9 | | | | 3 | | |
| | | | | 8 | 2 | | | 1 |
| | | | | 4 | | 5 | | |
| | 5 | | | | | 7 | 6 | |
| 9 | | | 1 | | 5 | | | 8 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | | 4 | | 9 | | | |
| | | 9 | | 6 | | | | 1 |
| 4 | | | 8 | | 5 | | | |
| | | 4 | | | | 1 | 8 | |
| | 3 | 8 | | | | 9 | 2 | |
| | 9 | 2 | | | | 7 | | |
| | | | 1 | | 8 | | | 9 |
| 2 | | | | 5 | | 8 | | |
| | | | 6 | | 7 | | | 2 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 6 | | | | 5 | |
| | | 8 | | 7 | | | | 4 |
| | 5 | | 4 | | | | | 1 |
| | | 6 | | 2 | | | 8 | |
| 7 | | 3 | | | | 1 | | 5 |
| | 2 | | | 8 | | 7 | | |
| 8 | | | | | 2 | | 7 | |
| 3 | | | | 9 | | 5 | | |
| | 6 | | | | 1 | | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | 8 | | | 6 | | 1 |
| 8 | | 5 | | 9 | | | | |
| 3 | | | 5 | | | | | |
| | | 1 | | | 5 | 3 | | |
| | 6 | | | 8 | | | 1 | |
| | | 4 | 1 | | | 2 | | |
| | | | | | 4 | | | 6 |
| | | | | 5 | | 1 | | 4 |
| 6 | | 8 | | | 3 | | 9 | |

1. პირი, რომელიც პოლიტიკას პირადი სარგებლობისთვის მისდევს
2. ხელის საგრილობელი
3. ტარზანის ლიტერატ. „მამა“
4. კუნთის ნაწილი, რომლითაც ძვალს ემაგრება
5. რომის „ჩექმებიანი“ იმპერატორი
6. ჩანთა ნანადირევისათვის
7. მართლმსაჯულების რომაული ქალღმერთი
8. ექთანი „თეთრ ბაირაღებში“
9. ლომი სიმბას შვილი (მულტფ.)
10. სმენის არქმონე
11. უბედურების საერთაშ. სიგნალი
12. ნიგერის დედაქალაქი
13. ფიგურის გამოსახვა პერსპექტივაში
14. ედიტ პიაფის ნამდვილი გვარი
15. „ოსტატი და მარგარიტას“ ავტორი
16. ამობურცული გამოსახულება სიბრტყეზე
17. კომუნისტთა ერთ-ერთი პირველი გაზეთი
18. ანტილოპას სახეობა
19. თავდავიწყებით გატაცება რამეთი
20. გრიბოედოვის „... ჭკუისაგან“
21. ალპინ. ფეხსაცმ.
22. მდინ. პრაღაში
23. საკუთარი სახლკარიდან გაქცეული
24. „მქსოველი“ ფეხსახსრიანი ცხოველი
25. ძვ. აღმოსავლური ქალთა ცეკვა
26. ყანის მავნებელი მწერი
27. საფოსტო გზავნილი
28. საჭადრაკო რეიტინგების ავტორი
29. ჩვენი მნათობი
30. ცირკის მოედანი
31. ქართ. მსახიობი მამაკაცი
32. სვანეთში: თემის უფროსი, ხელმძღვანელი
33. მდინ. მონაკვეთი ორ მეზ. კაშხალს შორის
34. უფერო ზეთოვანი ორგანული ნაერთი
35. სცენის გასანათებ. პროჟექტორი
36. ტირიფის სახეობა
37. იაპონ. ავტომწარმოებელი კომპანია
38. ტროას მეორე სახელწოდება
39. რიგელი მოჭადრაკე, მსოფლიოს ჩემპიონი
40. პარკოსანთა ოჯახის მცენარე
41. ქართ. ხალხური სპორტული თამაში
42. ყურით აღქმული ბგერა
43. სოფელი ხელვაჩაურის რაიონში
44. რაჭის უდიდესი ქალაქი
45. განუკურნებელ ავადმყოფთა კლინიკა
46. დიაოხის სამეფოს დედაქალ.
47. ჭაობის მცენარე
48. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
49. მიმზიდველობა, შარმი
50. ავსტრიის დედაქალაქი
51. სამხრეთ სლავებში გავრცელებული ხილის არაყი
52. ინტერიერის მხატვრული გაფორმება
53. მომკილი თავთავის კონა
54. გამოკრული განცხადება კონცერტის შესახებ
55. საგაზაფხულო ხორბლის ქარ. ჯიში
56. ათოსის მსახური
57. ქალის ვარცხნილობის ტიპი
58. მწერალი ... არაგვისპირელი
59. ნახშირბადისა და წყალბადის ატ. ჯგუფი
60. გიორგი დანელიას ფილმი
61. საჯარო კამათი მეცნიერულ თემაზე
62. ფუტკრის „ბინა“
63. ალპების მთიელთა სიმღერა ფალცეტით
64. ბურთის გასვლა სათამაშო მოედნიდან
65. ჰოლანდიის სიმბოლოდ აღიარებული ყვავილი



## წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 9 | 1 | 8 | 5 | 7 | 3 | 6 | 4 |
| 3 | 4 | 8 | 1 | 6 | 2 | 9 | 7 | 5 |
| 7 | 6 | 5 | 9 | 4 | 3 | 2 | 8 | 1 |
| 1 | 7 | 4 | 2 | 3 | 9 | 8 | 5 | 6 |
| 6 | 8 | 3 | 7 | 1 | 5 | 4 | 2 | 9 |
| 5 | 2 | 9 | 4 | 8 | 6 | 1 | 3 | 7 |
| 4 | 5 | 2 | 6 | 9 | 8 | 7 | 1 | 3 |
| 9 | 3 | 7 | 5 | 2 | 1 | 6 | 4 | 8 |
| 8 | 1 | 6 | 3 | 7 | 4 | 5 | 9 | 2 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 2 | 7 | 9 | 5 | 8 | 4 | 3 | 1 |
| 3 | 9 | 1 | 4 | 7 | 2 | 8 | 6 | 5 |
| 8 | 5 | 4 | 3 | 6 | 1 | 7 | 2 | 9 |
| 2 | 8 | 9 | 1 | 4 | 7 | 3 | 5 | 6 |
| 1 | 7 | 6 | 5 | 3 | 9 | 2 | 4 | 8 |
| 4 | 3 | 5 | 8 | 2 | 6 | 1 | 9 | 7 |
| 9 | 4 | 3 | 7 | 8 | 5 | 6 | 1 | 2 |
| 7 | 1 | 2 | 6 | 9 | 4 | 5 | 8 | 3 |
| 5 | 6 | 8 | 2 | 1 | 3 | 9 | 7 | 4 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 9 | 3 | 8 | 7 | 5 | 2 | 4 | 1 |
| 7 | 4 | 2 | 3 | 1 | 6 | 9 | 5 | 8 |
| 8 | 1 | 5 | 4 | 2 | 9 | 3 | 7 | 6 |
| 5 | 3 | 8 | 2 | 9 | 7 | 6 | 1 | 4 |
| 4 | 7 | 1 | 6 | 3 | 8 | 5 | 9 | 2 |
| 2 | 6 | 9 | 1 | 5 | 4 | 8 | 3 | 7 |
| 3 | 2 | 7 | 5 | 8 | 1 | 4 | 6 | 9 |
| 1 | 8 | 6 | 9 | 4 | 3 | 7 | 2 | 5 |
| 9 | 5 | 4 | 7 | 6 | 2 | 1 | 8 | 3 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 7 | 2 | 1 | 4 | 6 | 9 | 8 | 5 |
| 6 | 4 | 9 | 5 | 3 | 8 | 1 | 2 | 7 |
| 1 | 5 | 8 | 2 | 7 | 9 | 3 | 6 | 4 |
| 2 | 3 | 7 | 9 | 1 | 5 | 8 | 4 | 6 |
| 9 | 1 | 4 | 8 | 6 | 7 | 5 | 3 | 2 |
| 8 | 6 | 5 | 4 | 2 | 3 | 7 | 1 | 9 |
| 7 | 8 | 6 | 3 | 5 | 4 | 2 | 9 | 1 |
| 5 | 2 | 3 | 6 | 9 | 1 | 4 | 7 | 8 |
| 4 | 9 | 1 | 7 | 8 | 2 | 6 | 5 | 3 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 9 | 2 | 6 | 4 | 8 | 7 | 5 | 1 |
| 1 | 7 | 5 | 3 | 2 | 9 | 8 | 6 | 4 |
| 8 | 6 | 4 | 1 | 7 | 5 | 2 | 3 | 9 |
| 2 | 8 | 6 | 5 | 1 | 7 | 4 | 9 | 3 |
| 9 | 1 | 3 | 2 | 8 | 4 | 6 | 7 | 5 |
| 5 | 4 | 7 | 9 | 3 | 6 | 1 | 2 | 8 |
| 7 | 5 | 1 | 8 | 6 | 3 | 9 | 4 | 2 |
| 4 | 2 | 9 | 7 | 5 | 1 | 3 | 8 | 6 |
| 6 | 3 | 8 | 4 | 9 | 2 | 5 | 1 | 7 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 4 | 2 | 3 | 9 | 1 | 8 | 7 |
| 9 | 1 | 8 | 7 | 4 | 6 | 5 | 3 | 2 |
| 7 | 3 | 2 | 5 | 8 | 1 | 6 | 9 | 4 |
| 3 | 8 | 1 | 9 | 7 | 5 | 4 | 2 | 6 |
| 2 | 4 | 9 | 1 | 6 | 3 | 8 | 7 | 5 |
| 5 | 6 | 7 | 4 | 2 | 8 | 3 | 1 | 9 |
| 1 | 2 | 6 | 3 | 5 | 7 | 9 | 4 | 8 |
| 4 | 9 | 5 | 8 | 1 | 2 | 7 | 6 | 3 |
| 8 | 7 | 3 | 6 | 9 | 4 | 2 | 5 | 1 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 2 | 8 | 1 | 9 | 6 | 5 | 4 | 3 |
| 6 | 5 | 1 | 8 | 4 | 3 | 2 | 7 | 9 |
| 4 | 3 | 9 | 7 | 2 | 5 | 1 | 8 | 6 |
| 8 | 1 | 7 | 9 | 6 | 4 | 3 | 5 | 2 |
| 9 | 6 | 5 | 3 | 8 | 2 | 4 | 1 | 7 |
| 2 | 4 | 3 | 5 | 1 | 7 | 9 | 6 | 8 |
| 5 | 9 | 6 | 2 | 7 | 1 | 8 | 3 | 4 |
| 3 | 8 | 4 | 6 | 5 | 9 | 7 | 2 | 1 |
| 1 | 7 | 2 | 4 | 3 | 8 | 6 | 9 | 5 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 8 | 7 | 4 | 3 | 2 | 6 | 1 | 5 |
| 4 | 6 | 5 | 8 | 1 | 9 | 3 | 7 | 2 |
| 3 | 1 | 2 | 7 | 6 | 5 | 8 | 9 | 4 |
| 7 | 4 | 8 | 1 | 2 | 6 | 5 | 3 | 9 |
| 2 | 5 | 3 | 9 | 4 | 8 | 1 | 6 | 7 |
| 6 | 9 | 1 | 5 | 7 | 3 | 4 | 2 | 8 |
| 5 | 7 | 9 | 6 | 8 | 1 | 2 | 4 | 3 |
| 1 | 3 | 4 | 2 | 5 | 7 | 9 | 8 | 6 |
| 8 | 2 | 6 | 3 | 9 | 4 | 7 | 5 | 1 |

მე-17 გვერდი: 1. აკვამარინი; 2. ჩუი; 3. სოდომი; 4. მუჰამედი; 5. „რომენი“; 6. ნინევია; 7. ტერფსიქორა; 8. ელია; 9. ფარია; 10. იუვენტა; 11. ოქრო; 12. მკითხავი; 13. ჰემინგუეი; 14. არლეკინი; 15. იმამი; 16. რევერსი; 17. ირმა; 18. პიზა; 19. იალაღი; 20. მიომა; 21. სვლა; 22. კვარტა; 23. მანავი; 24. კაენი; 25. ირიდიუმი; 26. უქმე; 27. მანათი; 28. სოკრატე; 29. მადრიდი; 30. დინამიკა; 31. ომლეტი; 32. ლამა; 33. ხომლი; 34. „დანაე“; 35. ინრო; 36. აიდი; 37. ეტლი; 38. „მაზდა“; 39. რეპლიკა; 40. სარა; 41. აკიდო; 42. მამაი; 43. კოსა; 44. სიმდი; 45. ზიდანი; 46. ნიჟი; 47. ღლავი; 48. ცია; 49. ლოდი; 50. კუპრი; 51. კამელია; 52. ედიცია; 53. იავა; 54. ცა; 55. დონ; 56. იამალი; 57. ცრუ; 58. ვერდი; 59. ირაო; 60. იდილია; 61. აკინი; 62. დუკატი; 63. ირა; 64. არუე; 65. ოდა; 66. ივანე.

მე-20 გვერდი: 1. ლეკალო; 2. ეგერი; 3. ალიზი; 4. ცხვირი; 5. ხალთა; 6. იმაგო; 7. მეტისი; 8. მამაცი; 9. ატიმია; 10. ალდაგი; 11. დისონანსი; 12. იდიში; 13. ერმაკი; 14. ტიკი; 15. აყირო; 16. იადონი; 17. ნარდი; 18. პრესლი; 19. ფაუ; 20. უილ; 21. რინგი; 22. ცუცა; 23. ავი; 24. იენა; 25. კეროლი; 26. პრაიმ; 27. დრო; 28. რენე; 29. ლეკვი; 30. ცა; 31. რეზერვი; 32. ბაჩანა; 33. ფიუნესი; 34. აცტეკა; 35. „ვრემია“; 36. პირენეი; 37. ასპიტი; 38. ჩე; 39. ბურე; 40. მიტროპოლიტი; 41. ინანთი; 42. კონან; 43. „ბმვ“; 44. ეირე; 45. ნეზვი; 46. არი; 47. ცინიკოსი; 48. ერე; 49. ფიქსაცია; 50. ნესი; 51. ურნა; 52. ლიხი; 53. ანანასი; 54. სემი; 55. გურამ; 56. ნია; 57. ემირ; 58. აპი; 59. ნინო; 60. აპდაიკი; 61. ლიმა; 62. ათინათი; 63. დიახ; 64. თეორემა; 65. ომალო; 66. იონი; 67. არსენ; 68. ომი; 69. რელე; 70. ომარ; 71. იხვი; 72. ევა; 73. მზე; 74. ლიტი; 75. ბრა; 76. სრა; 77. ხეთა; 78. იგორი; 79. კორა; 80. მონე; 81. კეტა; 82. კენკიშვილი; 83. რკო; 84. ფშა; 85. ქვრიმა; 86. პი; 87. ჯერემი; 88. ბუა. სურათზე: ამერიკის პირველი ლედი.



# ჰოროსკოპი
## 19 მაისი

***ვერძი*** — დღის პირველი ნახევარი, შესაძლოა, წარმატებული აღმოჩნდეს კონტრაქტების გაფორმებისა და საქმიანი მოლაპარაკებებისთვის. პარტნიორებთან მნიშვნელოვან საკითხებსაც წარმატებით მოაგვარებთ, თუმცა დღის მეორე ნახევარში დაიკლებს თქვენი სასიცოცხლო ენერგია, იმედგაცრუებას ძნელად გადაიტანთ, თავდაჯერებულობასაც თანდათან კარგავთ, ამიტომ სჯობს, ყველა საქმეს შეეშვათ და დაისვენოთ.

***კურო*** — კარგი დღეა საქმიანი და შემოქმედებითი აქტიურობისთვის. შესაძლოა, დღეს არავითარ წინააღმდეგობას არ გადააწყდეთ, დროებით დაივიწყეთ კამათი, გაუგებრობა, განშორება... საღამოს საყვარელ ადამიანთან ერთად გაისეირნეთ და დრო მყუდრო გარემოში გაატარეთ.

***ტყუპები*** — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის კარგი დღეა კოსმიური ენერგიის ასათვისებლად, ახალი სიყვარულისთვის, პატიებისთვის. წარმატებული დღეა მსხვილი შენაძენისთვის, უძრავი ქონების შესყიდვისთვის. დღის მეორე ნახევარში საკუთარ ჯანმრთელობასაც მიხედეთ.

***კირჩხიბი*** — დღე წარმატებული იქნება როგორც პროფესიული საქმიანობისთვის, ისე პირადი ცხოვრებისთვის. ამ ნიშნის წარმომადგენელ ქალებს ახალი გატაცება ელით, თუმცა ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ თქვენთვის დამახასიათებელმა იდეალიზმმა, შესაძლოა, ხელი შეგიშალოთ თაყვანისმცემლის ღირსებებისა და ნაკლის სწორად შეფასებაში.

***ლომი*** — დღე განსაკუთრებით საშიშია ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ. ფრთხილად და ყურადღებით იყავით: ნებისმიერი ნაკაწრი სხეულზე დიდხანს არ შეგიხორცდებათ, რომ არაფერი ვთქვათ სერიოზულად დაშავებაზე. დროის მეორე ნახევარში გადადეთ ყველა ვიზიტი და შეხვედრა. უფრო მეტი დრო დაუთმეთ ძილსა და დასვენებას.

***ქალწული*** — დღეს შეგიძლიათ, უკეთესობისკენ შეცვალოთ ვითარება. კარგი დღეა მსხვილი შენაძენისთვის. ვარსკვლავები კი გაფრთხილებენ, რომ ემოციების გამოვლენისგან თავი შეიკავოთ, რათა შესაძლო კონფლიქტებს აერიდოთ.

***სასწორი*** — ჰარმონიული დღეა სასწორებისთვის. გამოირჩევით ფსიქიკური წონასწორობით. თამამად დაიწყეთ ნებისმიერი საქმე, რადგან წარმატება გარანტირებული გაქვთ, მაგრამ საღამოს, შესაძლოა, მეგობრებთან ურთიერთობის გარკვევის აუცილებლობა გაჩნდეს.

***ღრიანკალი*** — თქვენთვის, შესაძლოა, მძიმე დღე აღმოჩნდეს. დიდია ალბათობა, რომ პროფესიულ სფეროში უფრო მოკრძალებული ადგილი დაიკავოთ, ვიდრე იმსახურებთ. შეგხვდებათ წინააღმდეგობები კარიერაში წინსვლის გზაზე და დასახული მიზნის მიღწევაშიც შეგეშლებათ ხელი.

***მშვილდოსანი*** — ეს დღე წარმატებებით სავსე უნდა იყოს: თქვენს ნებისმიერ წამოწყებას შესანიშნავი დასასრული ექნება. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, თავს ყველაზე ბედნიერ ადამიანად იგრძნობთ, ბავშვები კი საკუთარი წარმატებებით გაგახარებენ, თუმცა დიდ დროს ნუ დაკარგავთ გართობასა და შეხვედრებზე.

***თხის რქა*** — კარგი დღეა მუშაობისთვისაც და სიყვარულისთვისაც, თუმცა, შესაძლოა, მცირე ფინანსური დანაკარგიც. თუ რაიმეს ყიდვას გეგმავთ, ჯერ დაფიქრდით, ღირს კი დიდი ფულის დახარჯვა. დღის პირველ ნახევარში, სჯობს, დაწყებული საქმეები ბოლომდე მიიყვანოთ, საღამოს კი გართობისა და დასვენებისთვისაც დაგრჩებათ დრო, შეგიძლიათ, ესტუმროთ მეგობრებს, ამით მათ ძალიან გაახარებთ.

***მერწყული*** — დღე წარმატებული იქნება: წინააღმდეგობების, უსიამოვნებების გარეშე, ყველაფერს მიაღწევთ, რასაც დაისახავთ მიზნად. ამ ნიშნის წარმომადგენელი მანდილოსნები ეფექტურად გამოავლენენ საკუთარ ნიჭსა და უნარს. სავარაუდოა ახალი გატაცებები ან მსუბუქი ფლირტი, თუმცა ვარსკვლავები გაფრთხილებენ, ემოციებს ნუ გამოხატავთ — წამოწყებულმა რომანმა, შესაძლოა, ბევრი ტკივილი მოგიტანოთ.

***თევზები*** — დღე შესაძლოა, მძიმე აღმოჩნდეს და იმედგაცრუებამაც არ დააყოვნოს, თუკი არ მოძებნით საკუთარი პოზიციების გასამყარებელ გზებსა და მეთოდებს, არ გამოიჩენთ ინიციატივასა და შეუპოვრობას. დიდია ალბათობა წინააღმდეგობებისა, რაც ახალ სამსახურს შეიძლება ეხებოდეს. საღამოს არ არის გამორიცხული, განწყობა გაგიფუჭდეთ. თუ გექნებათ საშუალება განმარტოებისა, ამ შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ.

# ჩემოდანი მფლობელს „მისდევს"

მათთვის, ვისაც მძიმე ჩემოდნების თრევა ეზარება და ამის გამო, სახლში ჯდომას ირჩევს, არაჩვეულებრივი საშუალება გამოიგონეს — ჩემოდანი Hop! რომელიც მადრიდელმა დიზაინერმა როდრიგო გონსალესმა შექმნა. ამ ჩემოდანს ძებნა არ სჭირდება, ის თავად მოგძებნით და სადაც უნდა წახვიდეთ, უკან გამოგყვებათ. სიახლე აღჭურვილია სამი რესივერით, რომელიც მფლობელის სმარტფონს ბლუთუსის მეშვეობით უკავშირდება, ჩემოდნის ელექტრონულ შიგთავსს გადაეცემა და ისიც ავტომატურად მიყვება კოორდინატებს.



# მამის პროფესია ჩანასახზე გავლენას ახდენს



ამერიკელი მეცნიერები ირწმუნებიან, რომ მუცლად ყოფნის დროს ბავშვის ჯანმრთელობაზე გავლენას არა მხოლოდ დედის, არამედ მამის საქმიანობის სფეროც ახდენს. მკვლევარებმა თანდაყოლილი დეფექტის მქონე და ჯანმრთელი ათასზე მეტი ბავშვის მშობლების მონაცემები შეადარეს, რის საფუძველზეც გამოავლინეს პროფესიები, რომელიც საფრთხეს უქმნის შთამომავლობას. სპეციალისტებმა რისკის ჯგუფში შეიყვანეს მხატვრები, ფოტოგრაფები, პარიკმახერები, ფიზიკოსები, სტამბის მუშები, მძღოლები, მნეები, ნავთობისა და გაზის კომპანიების, ქიმიური და კვების მრეწველობის მუშაკები; ზოგიერთი პროფესია კი პირდაპირ უკავშირდება ბავშვის ამა თუ იმ კონკრეტულ დაავადებას. მაგალითად, მებაღეების შვილებს ნაწლავის დაავადებებისკენ აქვთ მიდრეკილება, მხატვრების მემკვიდრეებს გულის, მხედველობისა და სმენის დაავადებები ემუქრებათ, ფოტოგრაფებმა და მძღოლებმა კი საკუთარი შვილები, შესაძლოა, კატარაქტითა და გლაუკომით „დაასაჩუქრონ". როგორც სწავლულები განმარტავენ, მავნე ნივთიერებებთან კონტაქტი უარყოფით გავლენას ახდენს სპერმის ხარისხზე, რაც თავის მხრივ, ნაყოფის ნორმალურ განვითარებას უშლის ხელს.

# შამპანური მეხსიერებას აუმჯობესებს



ყოველდღიურად მცირე რაოდენობით შამპანურის მიღება ხელს უწყობს ისეთი დაავადებების განვითარების რისკის შემცირებას, როგორიც არის დემენცია და ალცჰეიმერი, — აცხადებენ ბრიტანელი სწავლულები როდინგის უნივერსიტეტიდან. სხვათა შორის, მკვლევარები პირველად არ ალაპარაკდნენ ამ სასმელის პოზიტიურ გავლენაზე: 2009 წელს მეცნიერებმა ის წითელი ღვინისა და კაკაოს პოლიფენოლებს გაუთანაბრეს, რაც გულისთვისაა სასარგებლო, ახალი კვლევების მიხედვით კი დამტკიცდა, რომ შამპანური სასიკეთო გავლენას ახდენს მეხსიერებაზეც. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ფენოლის მჟავა, რომელსაც ეს შუშხუნა სასმელი შეიცავს, სივრცობრივ მეხსიერებას აუმჯობესებს. ექსპერიმენტი მღრღნელებზე ჩაატარეს, რომელთაც ექვსი კვირის განმავლობაში საკვებში შამპანურს ურევდნენ. შედეგად მათი 70% გაცილებით უკეთართმევდა თავს დავალებას. შამპანური იმ ცილების კონცენტრაციას 200%-ით ზრდიდა, რაც მეხსიერების ნორმალური მუშაობისთვის არის საჭირო. მეცნიერების განცხადებით, ახლა სასმელის ეფექტის გამოცდას ისინი მოხალისე პენსიონერებზე აპირებენ.

# იაპონელები პამპერსით დადიან



ამომავალი მზის ქვეყანაში მცხოვრებ მანდილოსნებს ურჩევნიათ, მთელი დღე მოუხერხებელი პამპერსი ეცვათ, ვიდრე საპირფარეშოში შევიდნენ. იაპონური მედია წერს, რომ დიდებისთვის განკუთვნილი საფენები სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს აქაურ ქალბატონებში, ერთ-ერთი გამოცემა კი წერს, რომ იაპონელი ქალები გაზარმაცდნენ — ისინი სულ უფრო იშვიათად ალაგებენ სახლს, ან საკუთარ ოთახს, არ რეცხავენ საცვლებს და არ ზრუნავენ ჰიგიენაზე, თუმცა, პამპერსის დამკვიდრების ტენდენცია მაინც ბოლო წვეთი აღმოჩნდა. გამოცემამ სუსტი სქესის ერთ-ერთი ასეთი წარმომადგენლისგან ინტერვიუ აიღო. 25 წლის კაორი ადაჩი, რომელიც უძრავი ქონების აგენტად მუშაობს, უკვე ნახევარი წელია, პამპერსით დადის. ახალგაზრდა ქალი აცხადებს, რომ მისი დაძაბული გრაფიკის გამო, ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ტუალეტში შესვლის დრო არ აქვს, პამპერსი კი ამ პრობლემის მოგვარების უნივერსალური საშუალებაა. ადაჩის თქმით, საფენს მხოლოდ მაშინ იხსნის, როცა მეგობარ მამაკაცს ხვდება. ამ ტენდენციას ჟურნალში გამოქვეყნებული ფოტოც ადასტურებს, რომელზეც კარგად ჩანს, რომ პამპერსი ქალების ჰიგიენურ განყოფილებაში იყიდება.


**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი" გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

# სუდოკუმანია

**ადვილი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | | 7 | | | 2 | | |
| | | | | 5 | | | 6 | 7 |
| | 8 | 7 | | | 1 | | | |
| | | | | | 9 | | 7 | 6 |
| | 9 | | 5 | | 8 | | 2 | |
| 1 | 5 | | 6 | | | | | |
| | | | 8 | | | 3 | 4 | |
| 9 | 7 | | | 3 | | | | |
| | | 3 | | | 2 | | 1 | |

**სტანდარტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 5 | | | 1 | | 2 | 9 | 7 |
| 9 | | | | 2 | | | 1 | |
| | | 1 | 5 | | | | | |
| | | | 4 | | | | | 5 |
| 5 | 9 | | 3 | | 1 | | 8 | 2 |
| 8 | | | | | 5 | | | |
| | | | | | 7 | 3 | | |
| | 7 | | | 5 | | | | 6 |
| 2 | 6 | 4 | | 3 | | | 5 | |

**რთული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 6 | 8 | | | | | | 2 |
| | | 3 | | | 2 | | | 9 |
| | 2 | | | | | 3 | 8 | |
| | | | | 4 | 3 | | | |
| 8 | | | 1 | | 7 | | | 4 |
| | | | 6 | 8 | | | | |
| | 5 | 4 | | | | | 9 | |
| 3 | | | 7 | | | 4 | | |
| 2 | | | | | | 8 | 6 | 1 |

**ექსპერტი**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 4 | | 7 | | 2 | | | 8 |
| 3 | | | 1 | 5 | | | 6 | |
| | 7 | 6 | | | | | | |
| | 1 | | 9 | 3 | | 6 | | |
| | | 5 | | | | 3 | | |
| | | 7 | | 8 | 6 | | 2 | |
| | | | | | | 4 | 9 | |
| | 6 | | | 2 | 1 | | | 3 |
| 7 | | | 3 | | 9 | | 1 | |

## მილიარდერი ცოლს ვერ ირჩევს



ამერიკელი მილიარდერი, 47 წლის ლარი გრინფილდი, რომელიც უოლ-სტრიტის ყოფილი მოვაჭრეა, აცხადებს, რომ სრული ბედნიერებისთვის მეუღლე სჭირდება. სასურველი პარტნიორის ძიებაში მან ნახევარი ცხოვრება გაატარა, საკუთარი უიღბლობის გამო გაოცებას ვერ მალავს და ამაზე ჟურნალისტებთანაც წუწუნებს. უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში მილიარდერმა გაცნობის საიტებსა და მაჭანკლებში 65 ათასი დოლარი დახარჯა, პაემანზე 250-ჯერ არის ნამყოფი, მაგრამ — უშედეგოდ. მართალია, ლარი საკუთარ თავს უიღბლოს უწოდებს, მაგრამ მისი კოლეგები ამბობენ, რომ გრინფილდის მარტოობის ძირითადი მიზეზი მისი მაღალი მოთხოვნებია — მილიარდერის მეუღლე უნდა იყოს ებრაელი, ტანადი, მხიარული და არ აღელვებდეს კარიერა.



## პლანეტის ყველაზე სექსუალური ქალი დაასახელეს

მამაკაცებისთვის განკუთვნილმა პოპულარულმა ჟურნალმა Maxim ყველაზე მიმზიდველი და სექსუალური ვარსკვლავების ყოველწლიური რეიტინგი გამოაქვეყნა. წელს გამოცემის სიას ლიდერობს 20 წლის ამერიკელი მსახიობი და მომღერალი მაილი საირუსი. სხვათა შორის, ახალგაზრდა მსახიობი ამ თემაზე პიარს არ მოერიდა და პატარა სკანდალიც კი მოაწყო — ვიდრე ჟურნალი რეიტინგს გამოაქვეყნებდა, მან საკუთარი პირველობა მსოფლიოს სოციალური ქსელით ამცნო. სიის მეორე ადგილი ერგო მომღერალ სელენა გომესს, მესამეზე კი რიანა აღმოჩნდა. ამჯერად მეოთხე პოზიციას დასჯერდა უკრაინული წარმოშობის ჰოლივუდელი მსახიობი მილა კუნისი, რომელიც კიდევ ერთი ცნობილი გამოცემის, FHM-ის „მსოფლიოს 100 ყველაზე სექსუალური ქალის“ რეიტინგში ლიდერობს.






## შინაურ ცხოველებს კომენდანტის საათი დაუწესეს



ამომავალი მზის ქვეყნის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, შინაური ცხოველებისთვის კომენდანტის საათი შემოიღეს. ამიერიდან, ოთხფეხა მეგობრებს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში საღამოს რვა საათის შემდეგ გამოჩენა ეკრძალებათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხოველის პატრონს დააჯარიმებენ. ასეთი ღონისძიების მოტივი ცხოველებზე ზრუნვაა, ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, გვიან სეირნობა დამღლელია. აღსანიშნავია, რომ იაპონიაში ცხოველების საყოფაცხოვრებო კულტურის განვითარების დონე დიდი ხანია ადამიანებისას გაუთანაბრეს და ახლა ეს ოთხფეხების თავისუფლებასაც ეხება. ქვეყანაში აკრძალულია ზოომაღაზიებში ლეკვებისა და კნუტების გაყიდვა საღამოს საათებში, ამ დადგენილების დამრღვევ სავაჭრო დაწესებულებებს საჯარიმო სანქციებს უწესებენ და არ არის გამორიცხული ვაჭრობის ლიცენზიის ჩამორთმევაც. იაპონიის ეკოლოგიის სამინისტროში აცხადებენ, რომ ეს ქმედებები მხოლოდ დასაწყისია.



1. დღის წინა დღეს ანუ ...
2. მადაგასკარის დედაქალაქი
3. სავალ-დებული ლოცვა ისლამში
4. ფართო ქუჩა და-სავლეთის ქვეყნებში
5. იესო ქრისტეს ჯვარცმის ადგილი
6. წელქვევით ჩასაცმელი ტოტებიანი სამოსი
7. გერმანიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი
8. ელექ-ტროდენის ძალის ერთეული
9. თან-დაყოლილი ჭკუასუსტობა
10. მცხეთელი ბერი, ქრისტეს კვართის ჩამომტანი
11. მსუბუქი არშიყი
12. იმპერა-ტორ კალიგუ-ლას მამა
13. ფრთოს-ანი მწერის განვითარების ბოლო სტადია
14. სკან-დალური საქციელი
15. სულელი, ჩერჩეტი
16. თავ-დავიწ-ყების მდინარე ბერძნულ მითოლოგიაში
17. მილა იოვოვიჩის კინოროლი „V ელემენ-ტში“
18. კლასიკური ცეკვის ერთ-ერთი პოზა
19. ალ. ტოლსტოის ფანტასტ. რომანი
20. ვარცხნილობა ხელოვნური თმებით
21. დაუკო-დავი ღორი
22. მსახ. კეტრინ ...
23. ძვ. ეგვიპ-ტის უზენაესი ღვთაება
24. სპორტ. შეჯიბრება იალქნიანი ნავებით
25. იტა-ლიური ნუშის ლიქიორი
26. საყოველ-თაო გლოვა
27. ცურვის ყველაზე სწრაფი ხერხი
28. მეც-ნიერების გამოჩენილი მოღვაწე
29. ჯგუფ „33 ა“-ს ლიდერი ... დიასამიძე
30. პატარა გამოქვაბული კლდეში
31. დაქი-რავებული ჯარისკაცი იაპონიაში
32. ჯავშნიანი ამფიბია
33. მზის ღმერთი ინკების მითო-ლოგიაში
34. პუერტო-რიკოელი მომღერალი რიკი ...
35. ბალ-ნეოლოგიური კურორტი ჩრდილო კავკასიაში
36. „ადამი-ანი-ამფიბიის“ სახელი
37. ნაპოლეო-ნის ერთ-ერთი მარშალი
38. ჩაპლი- ნის ცოლი
39. ძვირფას-მერქნ. ხე
40. იგივეა, რაც კოპიტი
41. ნავის ყუთი
42. ნახევრად ძვირფასი ქვა
43. ფრანგი კომიკოსი ... დე ფიუნესი
44. პატარის ანტონიმი
45. ებრაელთა შვიდსანთელა
46. ფოთოლ-მცვივანი ხე ტირიფი-სებრ-თა ოჯახიდან
47. ლე-გენდარული ქართველი ფეხბურთელი
48. პერსევსის დედა ბერძ. მითოლოგიაში
49. ხე-ლოვნების დარგი
50. მიმართვა ინგლისელი ქალბატო-ნისადმი
51. წყლის ზედაპირზე მცურავი მსხვილი სასიგნალო ტივტივა
52. კათოლიკე ქრისტიან სასულიერო პირთა დაუქორ-წინებლობა
53. ომარ ხაიამის სალე-ქსო ფორმა
54. დიდი ზომის მღრღნელი
55. (ძვ.) ღამის დარაჯი, გუშაგი
56. დეკო-რატიული ბოლქვიანი მცენარე
57. კოლხეთის მითიური მეფე
58. უბე-დურების საერთაშორი-სო სიგნალი
59. ხოხბის ბარტყი
60. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა
61. მექსიკ. წარმოშობის ამერიკელი კინორეჟისორი
62. ევროპის უდიდესი მტკნარი ტბა
63. გიორგის კნინობითი ფორმა
64. პარკოსანი მცენარე
65. „დავით აღმაშენე-ბლის“ პერსონაჟი ... ბაკურიანი
66. დიდი მუწუკი
67. კაბო-ვერდეს დედაქალაქი
68. დღის მონაკვეთი
69. დიდი ჩაქუჩი
70. საკონ-დიტრო ნაწარმი
71. მოლდავ-ელი კომ-პოზიტორი
72. ისტორი-ული ოლქი შუა საბერ-ძნეთში
73. ბაშკირეთის დედაქალაქი
74. სტან-დარტული მოკლე ამოცანა
75. ამაზონის მტაცებელი თევზი
76. ღმერთი-შემოქმედი სომხურ მითოლოგიაში
77. რქებ-დახრილი ხარი
78. უმაღლესი ხარისხის ქვანახშირი
79. სოფელი ქედის რაიონში
80. დანიის ადმინისტრ.-ტერიტო-რიული ერთეული
81. უმცი-რესი სამნიშნა რიცხვი
82. მიმართვა ფრანგი მეფისადმი

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.